სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების ფაკულტეტი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ია ხასაია

უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასებში

დისერტაცია

(განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ ხელმძღვანელები:

განათლების დოქტორი, პროფესორი - ლ. თავდგირიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიურ დოქტორთან

გათანაბრებული), ასოცირებული პროფესორი - თ. შავლაძე

ბათუმი - 2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომი არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შინაარსი

შესავალი ---------- გვ 4

თავი 1.უცხოური ენის შესწავლა და ასაკობრივი თავისებურებანი

1.1. უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნები დაწყებით კლასებში ---------- გვ 12

1.2. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები ---------- გვ 17

1.3. მოსწავლეთა გონებრივი, ემოციური და ფსიქომოტორული უნარების განვითარების ხელშემწყობი სასწავლო აქტივობები ---------- გვ 23

თავი 2. უცხოური ენის შესწავლის ეფექტური მეთოდები

2.1. მოსწავლის უნარებსა და ინტელექტზე მორგებული სასწავლო გარემო ------გვ 31

2.2. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის აუცილებლობა საგაკვეთილო პროცესში ---------- გვ 47

2.2.1. ჯგუფური მუშაობის პრიორიტეტები უცხოური ენის შესწავლაში ---------- გვ 62

2.2.2. თამაშის როლი სწავლების პროცესში ---------- გვ 75

2.3. სასწავლო რესურსისა და თვალსაჩინოების როლი ენის შესწავლის დროს --გვ 83

თავი 3. უცხოური ენის სამეტყველო უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე

3.1. კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები ----------გვ 100

3.2. წერის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები ----------გვ 118

3.3. მოსმენის როლი უცხოური ენის შესწავლის დროს ---------- გვ 126

3.4. მეტყველების უნარის განვითარების ხელშემწყობი საშუალებები ----------გვ 133

3.4.1. საშინაო დავალების როლი სამეტყველო უნარების განვითარების პროცესში ---------- გვ 139

დასკვნები და რეკომენდაციები---------- გვ 149

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- გვ 157

დანართები---------- გვ 165

შესავალი

თემის აქტუალობა. „საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომაც, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს“ (ესგ, 2016:454). უცხოური ენის შესწავლა ემსახურება საქართველოში სასკოლო განათლების მთავარი მიზნის განხორციელებას - თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. უცხოური ენის ცოდნა ევროპაში ადამიანის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფასეულობადაა მიჩნეული. ამიტომ, რამდენიმე უცხოური ენის სწავლება სკოლაში ევროპის საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლა უცხოური ენის ათვისების მთავარი წყაროა. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. შესაბამისად, სკოლაში აუცილებლად უნდა შეიქმნას უცხოური ენების დაუფლებისათვის საჭირო გარემო. ეს ემსახურება მნიშვნელოვან მიზანს - საერთო-ევროპული ღია, მობილური სივრცის შექმნას.

საქართველოში გატარებული განათლების რეფორმის ფარგლებში, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სავალდებულოა ორი უცხოური ენის სწავლება. ინგლისური არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ენა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. აქედან გამომდინარე, სასკოლო გარემოში მისი შესწავლა ხდება პირველი კლასიდან XII კლასის ჩათვლით. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მეორე უცხოური ენა ისწავლება V კლასიდან XII კლასის ჩათვლით. თუ სკოლას აქვს სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსი, მას შეუძლია კლასების სხვადასხვა განაყოფს სხვადასხვა ენა შესთავაზოს მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. საშუალო საფეხურიდან კი სკოლას შეუძლია მოსწავლეს შესთავაზოს არჩევით საგნად ნებისმიერი მესამე უცხოური ენა თავისი რესურსების, მშობელთა და მოსწავლეთა

ინტერესების გათვალისწინებით. პირველ უცხო ენას I და II კლასებში ეთმობა კვირაში 2-2 საათი, III-VI კლასში 3-3 საათი. მეორე უცხო ენას VII კლასიდან ეთმობა 2-2 საათი“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018: მუხლი 67).

ენა უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით ხდება ინფორმაციის გადაცემა და მიღება, ე. წ. კომუნიკაცია. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „უცხო ენის ადრეული ასაკიდან შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოებას და სამყაროში უკეთ ორიენტირების მიზნით, უცხოური კულტურის შემეცნებას, უცხოური ენების მიმართ ინტერესის გაღვიძებას და ენის სწავლის პროცესში დადებითი ემოციის გამოწვევას“ (სიხარულიძე, 2012:12).

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი უცხოური ენების ცოდნის აუცილებლობის შესახებ წერს: „ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასთვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია... მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო. ეს იქნება მეორე უკიდურესი უკუღმართობა, არა ნაკლებად მავნებელი პირველის უკუღმართობისა. მისი მიუცილებელი შედეგი იქნებოდა: სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივიწროე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესის, წარმატებისა, დამყარება უძრავის ცხოვრებისა. ამიტომ, ყოველმა მოკეთემ ქართველობისამ დაჟინებით უნდა ურჩიოს მათ: ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედ-მიწევნით, ევროპული ენები და სვით ევროპული მეცნიერება ხარბად და გაუმაძღრად...მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპიელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენასა და მხოლოდ მასუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას“ (გოგებაშვილი, 1974: 223).

„თუ ყრმა ბავშვობიდანვე ილაპარაკებს რომელიმე უცხო ენაზე, ამის გამო მისი სულიერი განვითარება არაფერს დაჰკარგავს. შესაძლოა კიდევაც მოიგოს“ (უშინსკი, 1954: 152) აღნიშნავს რუსი მეცნიერი კ. დ. უშინსკი და იქვე მიუთითებს, “უცხო ენის შესწავლა არასდროს არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწყებოდეს მანამდის, სანამ არ შევამჩნევთ, რომ დედაენამ ღრმა ფესვები

გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში. ამ მხრივ რაიმე საერთო ვადის დაწესება შეუძლებელია“ (უშინსკი, 1954: 162). მთავარია სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მოსწავლის ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, დასწავლის სტილს, ინტერესებს და ემსახურებოდეს მათი ინტერესების სფეროს გაფართოებას.

ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებმა წამოაყენა ახალი მოთხოვნები უცხოური ენის სწავლების მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. ყველა სახის საგანმანათლებლო სივრცეში ჩამოყალიბდა ურთიერთობის ახალი მიდგომები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ეს საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ავამაღლოთ სწავლის მოტივაცია. უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებული რეფორმების მიუხედავად ჩვენს რეალობაში მაინც პრობლემად რჩება იმ კომპეტენციების ჩამოყალიბება და შესაბამისად საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელსაც განათლების ეროვნული მიზნები გვისახავს. სწორედ აღნიშნული დაედო საფუძვლად ჩვენ საკვლევ პრობლემას. სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ ის პრობლემები და თავისებურებები, რომლებიც უკავშირდება უცხო ენის შესწავლას დაწყებით საფეხურზე, ვინაიდან, სწორედ დაწყებითი საფეხური წარმოადგენს სამეტყველო უნარ-ჩვევების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარების სასტარტო ეტაპს. შევიმუშავეთ სწავლების ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს დაწყებით კლასებში აღნიშნული უნარების განვითარებას. უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანს სწავლის ამ ეტაპზე წარმოადგენს მოსწავლეებში უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველება (მოსმენა - ლაპარაკი და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენა. მნიშვნელოვანია დაწყებითმა საფეხურმა უზრუნველყოს უცხოური ენის სწავლებისას მოზარდის მომზადება მომდევნო, საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლისათვის და მოსწავლეს გამოუმუშავოს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; შეუქმნას დადებითი განწყობა ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და ჩამოუყალიბოს სწორი მოქალაქეობრივი ცნობიერება, ღირებულებებისადმი დამოკიდებულება.

დაწყებით საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლეებს შევაყვაროთ ენის სწავლის პროცესი და თავად ენა, გავუღვიძოთ ინტერესი ამ ენის შესწავლისადმი. ამისათვის კი მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლების მეთოდების შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, მოსწავლეთა დასწავლის სტილი და მათი უნარები. ყოველივეს გათვალისწინებით, უცხო ენის მასწავლებლები აქტიურად ჩართული არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. მათ სისტემატურად უტარდებათ ტრენინგები, რომლებიც მიზანმიმართულია მასწავლებლებს გააცნოს თანამედროვე მიდგომები, მეთოდები, აქტივობები. ეს ერთგვარი წინაპირობაა, რათა მათი გაკვეთილები იყოს ბევრად უფრო საინტერესო და ეფექტური. მიუხედავად აღნიშნულისა, რეგიონის სკოლებში ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორი უცხო ენის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის, რაც განაპირობებს იმას, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სადისერტაციო ნაშრომში ფოკუსირებას ვახდენთ მოსწავლის შესაძლებლობებისა და იმ უნარების განვითარებაზე, რომლებიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებს და მასწავლებლებს დაეხმარება უცხო ენის უკეთ სწავლებასა და ათვისებაში.

კვლევის მიზანია

- უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა დაწყებით კლასებში;

-უცხოური ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა/შესწავლა დაწყებით კლასებში და გადაჭრის გზების დასახვა;

- უცხოური ენის შესწავლისადმი ეფექტური მიდგომის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

კვლევის ამოცანები

- დაწყებით კლასებში უცხოური ენის შესწავლასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და აღნიშნულის საფუძველზე სასწავლო პროცესში პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების ეფექტური საშუალებების დანერგვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

- კითხვის, წერის, მოსმენის და მეტყველების უნარის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა და მათი საგაკვეთილო პროცესში გამოყენება;

- უცხოური ენის სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი გამოყენების პრაქტიკაში დანერგვა.

კვლევის საგანი და ობიექტი - თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში დაწყებით საფეხურზე უცხო ენის სწავლების მდგომარეობის შესწავლა, არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათი გადაჭრის ხელშემწყობი სტრატეგიების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გავეცანი როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო კვლევებს, რომელთა შედეგების გათვალისწინება სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი საკვლევი საკითხის ეფექტურად კვლევისათვის. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა: ჯიმ სქრივენერის, ქეთი ვათეროთის, მოლთრი ბელჩერის, ჯერემი ჰარმერის, ლილი თომლინის, ანა გილ გარსიას, სუზან ჰალიველის, ენე სილვია სარვის, პიტერ სენჯის, ნელდა ქემბრონ მქაბეს, ლუკას თიმოთეს, ბრაინ სმიტის, ჯანს დუტონის, არტ კლაინერის, დონალდ ფრიმენის, ფათ მორანის, ბონი მენელის, ჯექ მილეთის, ჯენიბელ გარდინის, ქალებ გატეგნოს, ჯეიმს აშერის, ლინ დორითის, სუზან ლანზანო, დიანა ლარსენ-ფრიმენის და სხვათა კვლევები. სადისერტაციო ნაშრომში გავითვალისწინე ავსტრიის განათლების უნივერსიტეტში სტაჟირებაზე ყოფნის პერიოდში მიღებული გამოცდილება. ამ საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს, ისიც რომ უახლოეს წარსულში საქართველოში, კერძოდ ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა არაერთი კვლევა და შეიქმნა სადისერტაციო ნაშრომები: მიქელაძე ნინო - „უცხოური ენის დაუფლების ტექნოლოგიები სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით“; გოგუაძე ლეილა - „ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების პრობლემა უცხოური ენის სწავლებაში“; ნაკაშიძე-მახარაძე თათია - „უცხო ენის როგორც მეორე ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ ასახვა უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში“; მჟავანაძე ეკატერინე- „ტექსტზე ორიენტირებული კომპენტენციების სწავლება/სწავლა უცხოური ენების

მაგალითზე"; ნანა ფუტკარაძე „მხატვრული ტექსტის ანალიზი, როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების საშუალება" და სხვა.

კვლევა ჩავატარეთ ქალაქ ბათუმის კერძო და საჯარო სკოლებში: № 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 14, 15, 16, 20, 22 , 25, შპს „სკოლა-ევრო 2000", შპს „სკოლა-ლიცეუმი-მასტერკლასი", ბათუმის საერო ელიტარული სკოლა „გორდა", შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა. კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებლები და მოსწავლეები.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის შექმნის დროს ვეყრდნობით უცხო ენის შესწავლისადმი ეროვნულ სახელმწიფოებრივი მიდგომის მეთოდოლოგიას.

კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოყენებული იქნა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევა: კითხვარი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფები, ლიტერატურული წყაროების, პირველი და მეორე კლასების ინგლისური ენის სასკოლო სახელმძღვანელოების დამუშავება და ანალიზი, უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. ასევე, პირადი გამოცდილება.

კვლევის ჰიპოთეზა

- სამიზნე ენის გამოყენება და შესაბამისი სასწავლო გარემოს ორგანიზება

დაწყებით კლასებში უზრუნველყოფს უცხოური ენის შესწავლას.

- სწავლების თანამედროვე მეთოდების და სტრატეგიების დანერგვა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში კითხვის, წერის, მოსმენის, საუბრის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობი პირობაა.

კვლევის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლება/სწავლის მისაღწევი შედეგებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით, შევეცადეთ შეგვექმნა ინგლისური ენის შესწავლის პროცესში

სასწავლო გარემოს ორგანიზების მნიშვნელოვანი კომპონენტების ერთიანი სისტემა, რომელთა კომპლექსური გამოყენება ხელს შეუწყობს დაწყებით საფეხურზე ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. კერძოდ, შევისწავლეთ უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნები დაწყებით კლასებში, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თვისებები. შევიმუშავეთ მოსწავლეთა გონებრივი, ემოციური და ფსიქოლოგიური უნარების განვითარების ხელშემწყობი სასწავლო აქტივობები, მათ უნარებზე მორგებული სასწავლო გარემო, უცხოური ენის სამეტყველო უნარების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული მასალები და პრაქტიკული კვლევის შედეგები დიდ დახმარებას გაუწევს დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებლებს, მშობლებს, განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს, განათლებისა და სწავლების მეთოდიკით დაინტერესებულ საზოგადოებას.

კერძოდ, გააცნობს თანამედროვე მიდგომებს უცხოური ენის სწავლების მეთოდებსა და ტექნოლოგიებში, ურთიერთობის მნიშვნელოვან ფორმებს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშემწყობ სტრატეგიებს. სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ ის პრობლემები და თავისებურებები, რომლებიც უკავშირდება უცხო ენის შესწავლას დაწყებით საფეხურზე, ვინაიდან, სწორედ დაწყებითი საფეხური წარმოადგენს სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარების სასტარტო ეტაპს.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შემუშავებული სწავლების ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები, ხელს შეუწყობს დაწყებით კლასებში აღნიშნული უნარების განვითარებას.

ნაშრომის აპრობაცია: დისერტაცია მომზადდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, კვლევის შედეგებს ვაქვეყნებდით

სამეცნიერო სტატიების სახით. სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად, ეტაპობრივად ვაცნობდით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. სადისერტაციო ნაშრომი შეფასებული და რეცენზირებული იქნა პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტში (2017 წლის 19 ივნისი, ოქმი N 13).

ნაშრომის მნიშვნელოვანი მასალები და პრაქტიკული კვლევის შედეგები აისახა ჩემს მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ სტატიებსა და საკონფერენციო მოხსენებებში:

1. როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს კოგნიტური განვითარებისათვის შესაბამისი გარემო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია თემაზე: სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2015 წ.

2. Students' attitude towards teaching models, IISTE, Research on Humanities and Social Sciences, Journal of Education and Practice, Vol 6, No 22 (2016). მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი, ნიუ ჯერსი, ჰუდსონის ქუჩა 24-84a/101, 21 სართული, 07302

http://iiste.org/Journals/index.php/RHSS/article/view/34290

3. ჯგუფური მუშაობა, როგორც მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი,2015 წ.

4. EFFECTIVE WAYS OF GIVING HOMEWORK, მე-10 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე «Современные технологии обучения иностранным языкам». 20 იანვარი 2016 წ., უცხოენების კათედრა, ულიანოვსიკის უნივერსიტეტი. УлГТУ, ულიანოვსკი, რუსეთი.

http://www.ulstu.ru/main/view/article/18641

5. კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2017 წ.

თავი 1. უცხოური ენის შესწავლა და ასაკობრივი თავისებურებანი

1.1. უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნები დაწყებით კლასებში

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება, ეს მიზანი - ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდაა, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია ზრუნვა მოსწავლის პლურილინგვური კომპეტენციისა და ორ უცხოურ ენაზე სამეტყველო უნარების (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) განვითარებისთვის, რათა მას გამოუმუშავდეს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჩამოუყალიბდეს დადებითი განწყობა ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და გააცნობიეროს იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება; მოემზადოს თანამოღვაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან; განუვითარდეს ენების ეფექტურად სწავლისა და განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უცხოური ენის სწავლებას სკოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები აქვს. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლების აღმზრდელობითი მიზანია მოზარდის მომზადება მომდევნო - საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლისთვის. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს:

- მოზარდის გონებრივი და ფსიქოემოციური პოტენციალის ამოქმედება და განვითარება (აღქმა, მეხსიერება, ფანტაზია, წარმოსახვა, მრავალგვარი აზროვნება და სხვა);
- დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება საკუთარი თავის, სხვების, სწავლის, საგნის, უცხო სამყაროს მიმართ;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელთაგან სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია ნებისყოფა, ყურადღების მობილიზება, წესების დაცვა და

პატივისცემა, სასწავლო ნივთების/საქმიანობის მოწესრიგება, თანამშრომლობა (მუშაობა წყვილად, გუნდურად, ჯგუფებში, ურთიერთდახმარება), შემოქმედებითობა (ესგ 2016:454).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება: შესაბამისად, მოზარდებმა უნდა შეიყვარონ ენის შესწავლის პროცესი და თვით უცხოური ენა და კულტურა. სწავლის პროცესში წარუმატებლობის, მარცხის განცდა უნდა გამოირიცხოს. ამისათვის სწავლების მეთოდიკამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქიკური განვითარების თავისებურებები და გამოიყენოს სწავლების შესატყვისი ხერხები.

უცხოური ენების სწავლების საგანმანათლებლო მიზანი დაწყებით საფეხურზე არის უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველება (მოსმენა-ლაპარაკი) და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენა. ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას: ,,სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა: გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა; მართლწერისა და მართლმეტყველების საბაზისო ნორმების ცოდნა; უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობა; წერის, მოსმენის, კითხვისა და ლაპარაკის ცოდნა. სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება: სამეტყველო უნარ-ჩვევები; ენობრივი უნარ-ჩვევები; სტრატეგიული უნარ-ჩვევები; ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, როგორიცაა თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა; პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ; უცხოური ენების სწავლის სურვილი“ (ესგ, 2016: 455).

ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს უცხოური ენის სწავლებას შვიდი მიმართულებით: „მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება“ (ესგ, 2016: 458).

,,სწავლის დაწყებით ეტაპზე პრიორიტეტული ადგილი უჭირავს უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებას (მოსმენა-ლაპარაკი) და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენას. დაწყებით და საბაზო-საშუალო საფეხურზე სწავლა/სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მოსმენას, ლაპარაკს, კითხვასა და წერას განსხვავებული დიდაქტიკური დატვირთვა აქვს“ (ესგ, 2016:455). ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში უცხოური ენის სწავლების 3 ძირითადი ეტაპი გამოიყოფა:

პირველი (საწყისი) ეტაპი მოიცავს დაწყებითი საფეხურის პირველ სამ დონეს, ასევე, საბაზო-საშუალო საფეხურების პირველ და მეორე დონეებს, ანუ dI, dII, dIII, sI, sII;

მეორე (შუა) ეტაპი მოიცავს დაწყებითი საფეხურის სამ დონეს, ასევე, საბაზო-საშუალო საფეხურების მესამე და მეოთხე დონეებს, ანუ dIV, dV, dVI, sIII, sIV;

მესამე (ბოლო) ეტაპი მოიცავს საბაზო-საშუალო საფეხურის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე დონეებს, ანუ sV, sVI, sVII, sVIII“ (ესგ, 2016: 459).

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც აღნიშნულ პარაგრაფში განვიხილავთ, არის ის, რამდენად გამართლებულია უცხო ენის სწავლება პირველი კლასიდან.

2011 წლიდან, საქართველოს სკოლებში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან დაიწყო. ეს სიახლე მასწავლებელთა და განათლების ექსპერტთა ერთ ნაწილს მოსწონს, მეორე ნაწილს კი – არა. თუმცა, ყველა მხარე ერთპიროვნულად თანხმდება, რომ პირველკლასელებს ინგლისური ენის სწავლა უჭირთ.

ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, იაკობ გოგებაშვილი, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აუცილებლობას უსვამდა ხაზს. ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ის ცდილობდა ბავშვებს განათლება დაწყებით კლასებში მიეღოთ მშობლიურ ენაზე – ყველა საგანი შეესწავლათ დედაენაზე. თუმცა ის სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა უცხოური ენების შესწავლას, პირიქით, მშობლიური ენის კარგად ცოდნა მას უცხო ენების უკეთ შესწავლის იარაღად ესახებოდა. იაკობ გოგებაშვილის აზრით, პედაგოგიკაში აქსიომად არის აღიარებული, რომ ბავშვმა უცხო ენის შესწავლა მაშინ უნდა დაიწყოს, როცა კარგად აქვს ათვისებული თავისი მშობლიური

ენა. სწორედ, დედაენა ესახებოდა მას უცხო ენათა გონივრული შეთვისების საძირკვლად.

გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნა მოსწავლეებს უადვილებდა უცხო ენების წერა-კითხვის შეთვისებასაც და რომ მშობლიურ ენაზე წიგნების კითხვის შემდეგ სრულიად ადვილად გადადიან ყმაწვილები უცხოენოვანი წიგნების კითხვაზე. ხოლო „თუ ბავშვი ააცდინეს თავის ღვიძლს მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებასა … გამართვა ქართულ მეტყველებაში ძლიერ შველის შეთვისებას უცხო ენისას“ (გოგებაშვილი, 1974:224). მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ყველამ უნდა ისწავლოს ევროპული ენები, რადგან მათ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი. მისი აზრით, ,,უცხო ენის სწავლების დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას" (გოგოლაშვილი, 2013: 3). მშობლიური ენის ცოდნა უმზადებს ბავშვს ახალი ენის შესწავლისათვის ნიადაგს, უადვილებს მის აღქმა-გაგებას. ამიტომ, უპირველესად, ბავშვი კარგად უნდა ფლობდეს მშობლიურ ენას და შემდეგ დაიწყოს უცხოური ენის შესწავლა.

უცხოური ენის შესწავლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვი ადვილად სწავლობს ნებისმიერ ენას, თუ ბუნებრივ გარემოში მოხვდება. სამწუხაროდ, როგორც წესი, ასეთი გარემოს შექმნა სკოლაში ვერ ხერხდება. ამიტომ, სკოლებში (და რეპეტიტორებთანაც) ბავშვები საუკეთესო შემთხვევაში სწავლობენ ცალკეული სიტყვების და ზოგჯერ ფრაზების მნიშვნელობებს. სიტყვებს კი იზეპირებენ, მაგრამ „ენის ფლობა არ არის უბრალოდ სიტყვების ცოდნა, ენა კომუნიკაციის საშუალებაა და შესაბამისად, თუ ბავშვს არ შეუძლია მეტყველება, მოსმენილის გაგება და წერა-კითხვა, მან ენა არ იცის“ (სულაკაური, 2010: 2).

დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან მუშაობა პედაგოგისგან უდიდეს პასუხისმგებლობას და გამოცდილებას მოითხოვს. ინგლისური ენის დაწყებით ეტაპზე სწავლებისას, მოსწავლეებთან ნაყოფიერი მუშაობისათვის, აუცილებელია

პედაგოგმა კარგად გააცნობიეროს, ერთი მხრივ, რა მოთხოვნები შეიძლება წაუყენოს დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, სწავლების რა მეთოდები შესთავაზოს ენის უკეთ ათვისების მიზნით და, მეორე მხრივ, რა მოთხოვნები უნდა წაუყენოს საკუთარ თავსაც - რისი გაკეთება ევალება მას და როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. სასწავლო მასალა და გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები, აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, დასწავლის სტილს, ინტერესებს და სხვ.

1.2. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები.

ბავშვებს აქვთ ენის შესწავლის ხელშემწყობი სხვადასხვა უნარი, როგორიცაა მიმბაძველობა, მექანიკურად დამახსოვრების უნარი, სამყაროს შემეცნების თანდაყოლილი უნარი, ზეპირობის უნარი (ვინაიდან ისინი უფრო ზუსტად იმახსოვრებენ, ვიდრე ზრდასრული ადამიანები), მათ შეუძლიათ ინტონაციის ზუსტი ინტერპრეტაცია, თამაშით დასწავლა და დამახსოვრობა. პედაგოგის მოვალეობაა დააკვირდეს „პატარა“ ენის შემსწავლელებს და შეძლოს ამ უნარების ეფექტური განვითარება სასწავლო პროცესში.

ბავშვებს აქვთ ინტერპრეტაციის უნარი. ისინი იგებენ ნათქვამის აზრს მაშინაც კი, როცა არ იციან ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა. ისინი ენის მცირეოდენი ბაზის საშუალებითაც ახერხებენ ენობრივი საშუალებების შემოქმედებითად გამოყენებას და მოსაუბრესთან კომუნიკაციას; ხშირად უკეთ სწავლობენ არაპირდაპირი სწავლების გზით, ვიდრე პირდაპირი სწავლების გზით; სიამოვნებით ებმებიან სახალისო აქტივობებში, აქვთ წარმოსახვის უნარი; მოსწონთ და ამავე დროს, სიამოვნებას ღებულობენ ინტერაქციის/ კომუნიკაციის პროცესით.

ენის უკეთ შესწავლის მიზნით, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: ბავშვების მიერ ენობრივი ერთეულების შემოქმედებითად გამოყენება, თამაშისა და გართობის უნარის ჩართვა სწავლებაში, წარმოსახვის როლი ენის შესწავლაში, ინტერაქციის და საუბრის სურვილის გაღვიძება მოსწავლეებში, პრიორიტეტების განსაზღვრა; ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების ჩვენება ბავშვებისათვის, უსაფრთხო ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა შეცდომების გასწორების დროს. ასევე აუცილებელია ბავშვებს განვუვითაროთ ინტერპეტაციის უნარი - ჩაწვდნენ უცნობი სიტყვის მნიშვნელობას მათ ხელთ არსებული მცირე ენობრივი რესურსით, რათა შეძლონ გაიგონ ნათქვამი მანამდე, სანამ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას გაიგებდნენ. ინტონაცია, ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, მოქმედებები და გარემოება – ეს ყველაფერი ეხმარება მათ გაიგონ, რა შეიძლება იგულისხმებოდეს მათთვის უცხო სიტყვებსა თუ ფრაზებში. „ეს ფენომენი ფუნდამენტურია ენის განვითარებისთვის.

ის ყველა ბავშვს გააჩნია და თავს იჩენს მშობლიური ენის დაუფლების დროს. მშობლიური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზეც კი ბავშვები ქმნიან გრამატიკულ ერთეულებს მცირე ენობრივი რესურსის გამოყენებით. ისინი, ასევე, ქმნიან გრამატიკულ ფორმებს, ცნებებს, ანალოგიებს, ახალ სიტყვებს, რომლებიც შემდგომში ადგილს იკავებს მათ ლექსიკაში“ (ჰალიველი, 1992:7).

უცხო ენაზე საუბრის დროს ზოგჯერ ჩვენ გვიჭირს სათანადო სიტყვის თუ გრამატიკული სტრუქტურის პოვნა აზრის გადმოსაცემად. აზრის სწორად გამოსახატავად უბრალოდ ვიგონებთ სიტყვებს, ან მშობლიურ ენაში არსებულ სიტყვებს მოვიშველიებთ და მათ უცხოური აქცენტით წარმოვთქვამთ. ამ გზით ვცდილობთ ჩვენს ხელთ არსებული ენობრივი რესურსის სრულ რეალიზაციას. ამ დროს, სავსებით შესაძლებელია, რომ შევქმნათ არასწორი და სრულიად შეუსაბამო ენობრივი ერთეულები. თუმცა ყველაზე მთავარია, რომ მოვახერხოთ კომუნიკაცია. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: „დაწყებითი კლასის მოსწავლემ მასწავლებელს უთხრა, რომ ჰყავდა ,,ერთი, ნახევარი ძმა“. მასწავლებლისათვის გაუგებარი დარჩა, რას გულისხობდა მოსწავლე ამ სიტყვათშეთანხმებაში. ბავშვმა კი მის მიერ შექმნილი სიტყვათა კომბინაცია შემდეგნაირად განმარტა: ,,ძალიან პატარა“, და ხელით აჩვენა მასწავლებელს, თუ რამხელა ძმა ჰყავდა. როგორც ვხედავთ, ბავშვმა გადალახა მის წინაშე არსებული პრობლემა და საკუთარი აზრის გამოსახატავად გამოიყენა ის ენობრივი რესურსი, რომელიც მას გააჩნდა. ანუ, გამოიყენა მისთვის თითქმის უცნობი ენობრივი ერთეული, რათა ხორცი შეესხა საკუთარი აზრებისათვის. სწორედ ეს არის მასწავლებლის მიზანი - მოსწავლემ შეძლოს ენის გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის“ (ჰალიველი, 1992:8).

მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მასწავლებელმა შექმნას ენის შესწავლისთვის ხელშემწყობი გარემო. კერძოდ, ააგოს სასწავლო პროცესი ბავშვთა ბუნებრივ უნარებსა და ინსტინქტებზე დაკვირვებით, სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალფეროვანი ლექსიკა, შექმნას ენის შესწავლისთვის პოზიტიური გარემო.

სწავლის სტიმული გარემოდან მოდის, მაგრამ სწავლის ინიციატორი თავად მოსწავლეა. ეს პროცესი ადამიანისაგან პირად ჩართულობას მოითხოვს. იგი მთლიანად პიროვნებაზე, მის შეხედულებებსა და მოქმედებაზე ახდენს გავლენას. მოსწავლე სწავლის პროცესის შეფასებას შინაგანად, საკუთარი მოთხოვნილებების გათვალისწინებით ახდენს. კარლ როჯერსი მიიჩნევს, რომ მასწავლებელი გამოდის, როგორც სწავლის ფასილიტატორი, ხელის შემწყობი. მისი ძირითადი ფუნქციაა - ხელი შეუწყოს მოსწავლის სწავლას ისეთი პირობების შექმნით, რომლის შედეგად მოსწავლეები დამოუკიდებლად წარმართავენ სწავლის პროცესს. მასწავლებლის მიზანია შექმნას მოსწავლეთა ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი წევრი თავად იქნება. ასეთ საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობას გზა ხსნილი აქვს. გაგებისა და შეცნობის სურვილი იღვიძებს, მთელი სამყარო კვლევის და შესწავლის საგანი ხდება. ამგვარი გარემო ხელს უწყობს სწავლას და ამასთანავე, იმის სწავლასაც, თუ როგორ ვისწავლოთ.

მასწავლებელი უცხო ენის სწავლებისას ორ მიზანს ისახავს: რა ასწავლოს, ე.წ. content goals (სასწავლო კურსის შინაარსი) და როგორ ასწავლოს, ე. წ. attitude goals. შევეცდებით, უფრო ნათლად განვმარტოთ ზემოთ დასახელებული ცნებები. ტერმინში „content goals“ იგულისხმება, თუ რომელი გრამატიკული ფორმები და თემატური ლექსიკა უნდა აათვისებინოს მასწავლებელმა დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. მასწავლებელზეა დამოკიდებული, ენის სწავლების რომელ სტრატეგიას (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) აირჩევს იგი ამა თუ იმ გაკვეთილზე თუ კონკრეტულ სიტუაციაში. მასწავლებელს, ასევე, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რა შედეგს მიიღებს ამგვარი სწავლებიდან და რაში გამოიყენებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას.

„კარგ სასწავლო პროგრამაში მხოლოდ შინაარსი როდია ასახული. მასში მინიშნებულია, თუ რა მეთოდებით მოხდება სწავლება და რა შედეგებზე გავა მასწავლებელი. ზოგჯერ სილაბუსში აღნიშნულია: სასწავლო კურსის გავლის შედეგად ბავშვებს ჩამოუყალიბდებათ საკუთარი თავისადმი რწმენა, გახდებიან გამბედავები, გაუჩნდებათ კომუნიკაციის სურვილი. სწორედ ეს გახლავთ ე. წ. "attitude goals" (ჰალიველი, 1992:10).

ენა უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის, რადგანაც სწორედ მისი საშუალებით ხდება ინფორმაციის გადაცემა (მიწოდება) და მიღება, ე. წ. კომუნიკაცია. ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზე ინფორმაციის მიღება და მიწოდება ხორციელდება შეზღუდული რაოდენობის ენობრივი რესურსის შემოქმედებითი გამოყენებით. „ბავშვის ასაკობრივ ზრდასთან ერთად, იცვლება ბალანსი ე. წ. "atitude goals" და "content goals" შორის. თუკი დაწყებით კლასებში უმთავრესი პირველი მათგანია, სწავლების გვიან ეტაპზე მეორე მათგანი ხდება დომინანტი. ვინაიდან, აუცილებელია ბავშვს პატარაობიდანვე ჩამოუყალიბდეს ისეთი თვისებები, როგორიცაა: თავდაჯერებულობა, გამბედაობა, წინსვლის სურვილი. თუკი დაწყებით კლასებში არ მოხდება ენის მიმართ დადებითი და თავდაჯერებული განწყობის ჩამოყალიბება, მაშინ ეს ერთგვარ ხელის შემშლელ ფაქტორად გადაიქცევა მასწავლებლისთვის მაღალ კლასებში. ზოგადად ყველა საგანში, არა მარტო უცხო ენაში, მოსწავლეთა დამოკიდებულება საგნის მიმართ მნიშვნელოვანია მათი პროგრესისათვის“ (ჰალიველი, 1992:10).

„უცხო ენის დაუფლების დროს ბავშვისთვის ყველაფერი არ არის გასაგები, მაგრამ მაინც ცდილობს გაიაზროს მისთვის გაუგებარი სიტყვები და ფრაზები, ან თავი მოიკატუნოს თითქოს ყველაფერი გასაგებია. თუმცა მოსწავლეების შემოწმების მიზნით მასწავლებელი ხშირად სთხოვს მათ ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების გადათარგმნას მშობლიურ ენაზე“ (ჰალიველი, 1992:12). ცხადია, ეს ყველაფერი ხდება კეთილი განზრახვით. პედაგოგი ცდილობს დარწმუნდეს, რომ ბავშვებისათვის ყველაფერი გასაგებია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივი შემოწმება ზოგჯერ არასასურველ შედეგს იძლევა. ბავშვები იწყებენ ფიქრს, რომ ისინი ვერ შეძლებენ წინადადების შინაარსის გაგებას, თუკი მათთვის გასაგები არ იქნება თითოეული სიტყვა. რა თქმა უნდა, აუცილებელია მასწავლებელმა შეამოწმოს, რამდენად გასაგებია ბავშვისთვის მასალა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მოსწავლისათვის შეუმჩნევლად. ასეთ დროს მასწავლებელი უმჯობესია დააკვირდეს ბავშვის ქცევას, სახის გამომეტყველებას, მიმიკას. ამის შემდეგ მას შეუძლია მოახდინოს წინადადების პერიფრაზი ან ხელახლა აჩვენოს მოსწავლეს, თუ რას გულისხმობდა ამა თუ იმ სიტყვაში, ფრაზასა თუ წინადადებაში.

საუბრის დროს შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტის დაცვა. მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვახერხებთ გამართული წინადადების ფორმულირებას, ხშირად მოსაუბრისთვის ჩვენი ნათქვამი არ არის გასაგები. ვერც იმაში ვიქნებით დარწმუნებული, რომ ის გვიპასუხებს ჩვენთვის ნაცნობი სიტყვებით და ფრაზებით. როგორც ვხედავთ, კომუნიკაცია გამბედაობას მოითხოვს. ნახევრად ფორმირებული ცოდნის გამოყენება ცოდნის სრულყოფილი ფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილია. გამბედაობისა და შეცდომების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით ვერაფრის შესწავლას.

სკოლაში მოსული ბავშვი საკმაოდ თავდაჯერებული და მოტივირებულია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ მოლოდინი იმისა რომ სასწავლო პროცესში დასმული ყველა ამოცანის და მოთხოვნის შესრულებას და განხორციელებას ერთბაშად შეძლებენ, თუმცა ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ შეეძლებათ ყველა სიძნელის გადალახვა. მასწავლებლები ყოველთვის ვამჩნევთ, რომ ბავშვებში ნებისმიერი სახის შეცდომა თუ მარცხი იმედგაცრუებას იწვევს. ცხადია, რომ თითქმის ყველაფერი, რასაც ბავშვი აღწევს, დიდ დროს, ძალისხმევასა და მონდომებას მოითხოვს მისგან. „სამწუხაროდ, ხშირად ბავშვები იწყებენ ფიქრს იმაზე, რომ შეცდომების დაშვება მეტისმეტად „ცუდია“. სიძნელეების გადალახვის დროს მათ იპყრობთ დაბნეულობა ან აღელვება. ისინი ცდილობენ დამალონ დაბნეულობა სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაცინვით, ცდილობენ თავი აარიდონ ისეთ სიტუაციებს, სადაც, შესაძლოა, თვითონაც დაუშვან შეცდომა. ამიტომაც უარს ამბობენ ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემაზე“ (ჰალიველი, 1992:13).

აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში შეცდომების გასწორებას. ხშირად უცხო ენის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლის მიერ დაშვებულ ყველა გრამატიკულ თუ ფონეტიკურ შეცდომას ასწორებს. უფრო მეტიც, მოითხოვს მოსწავლისგან - შეასწოროს ან გაიმეოროს ერთხელ უკვე არასწორად წარმოთქმული სიტყვა. სამწუხაროდ, ამგვარი ქმედებით მასწავლებელი ხელს უშლის ბავშვის მცდელობას - ჩამოაყალიბოს აზრი. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას წერით სამუშაოზეც. მაგალითად, თუ ბავშვის

ნაწერში ხდება ყველა წვრილმანის შესწორება, ამან, შესაძლოა, მოსწავლეს საერთოდ გაუქროს წერის სურვილი.

ცხადია, მასწავლებლის მიერ შეცდომების მუდმივი და ზედმეტად დეტალური შესწორება ხდება კეთილი განზრახვით. მასწავლებელს სურს მოსწავლემ ნებისმიერი სახის სამუშაოს წარმატებულად გაართვას თავი. საბედნიეროდ, ადამიანთა შორის კომუნიკაცია არ ითხოვს აბსოლუტურ სიზუსტეს. ჩვენთვის სრულიად გასაგებია მოსაუბრის ნათქვამი მაშინაც კი, როდესაც ის ცუდი აქცენტით და შეცდომებით საუბრობს. თუკი ყურადღებით მოვუსმენთ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებს, აღმოვაჩენთ, რომ ისინიც კი ხშირად ძალიან უცნაურ და გრამატიკულად არასწორ ფორმებს მიმართავენ. მაგ: „წყალი ამოვიდა ადამიანების გზაზე“. ქართულ ენაზე გამოთქმული ეს წინადადება არასწორია, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის სწორი აზრის გაგებაში.

რა თქმა უნდა, არ მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს შეცდომების უგულებელყოფა. გაკვეთილის პროცესში ზოგჯერ აუცილებელია მასწავლებელმა გარკვეული დრო მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების შესწორებას დაუთმოს, თუმცა ასევე უნდა დაეთმოს დრო გაბმული მეტყველების დახვეწას და თუკი მასწავლებელს სურს ხელი შეუწყოს ბავშვებში თავდაჯერებულობის განვითარებას, მაშინ მან თავი უნდა შეიკავოს შეცდომების ხშირი შესწორებისგან. ამრიგად, მასწავლებელი, მისი პიროვნება, პროფესიონალიზმი, მეთოდები, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები განაპირობებს ენის შესწავლის ეფექტურობას, რაც არის დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი ერთ-ერთი პირობა.

1.3. მოსწავლეთა გონებრივი, ემოციური და ფსიქომოტორული უნარების განვითარების ხელშემწყობი სასწავლო აქტივობები.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომლებიც ეხმარება რეალური ინტერაქციის წარმოშობას და მოსწავლეებში წარმოსახვის უნარის გაღვიძებას. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვის შემოქმედებითი ენობრივი უნარების გამოვლენას, აუცილებელია შევქმნათ გარემო, სადაც მოსწავლეებს აქვთ კომუნიკაციის სურვილი, რომელიც ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას იპოვონ თვითგამოხატვის გზები.

„აქტივობებით სწავლება სახალისოა, რადგანაც გართობის ელემენტი ხელს უწყობს კომუნიკაციის სურვილის გაღვიძებას და არაპროგნოზირებადი გარემოს შექმნას“ (ჰალიველი, 1992:2). აქტივობებში ჩართული მოსწავლე იყენებს არაპროგნოზირებად ენობრივ ერთეულებს და არა უბრალოდ დაზეპირებულ ფრაზებს. კომუნიკაციის საშუალებით მოსწავლეები ახდენენ სხვადასხვა ენობრივი ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებას. რაკი არაპროგნოზირებადი გარემო ენის სწავლების დროს აუცილებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი აქტივობები უნდა შეურჩიოს, რომელსაც ისინი მასწავლებლის ჩარევის გარეშეც გაართმევენ თავს.

აქტივობების გამოყენება და „თამაშით სწავლება არაპირდაპირი სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. თამაში არ არის დროის ფუჭი ხარჯვა - ის რეალური მუშაობის პროცესია (ჰალიველი, 1992:6). ბავშვებს არაპირდაპირი მეთოდით სწავლება აძლევს საშუალებას გაუცნობიერებლად დაეუფლონ ახალ ლექსიკურ ერთეულებს და გრამატიკულ ფორმებს, ამიტომაც აუცილებელია, სასწავლო პროცესში პედაგოგმა გამოიყენოს ისეთი აქტივობები, რომლებიც იქნება არა მხოლოდ ენის გავარჯიშების საუკეთესო საშუალება, არამედ მისცემს მოსწავლეებს შესაძლებლობას ქვეცნობიერად იმუშაონ ენაზე და ყურადღება ჰქონდეთ მიპყრობილი კონკრეტული ამოცანის განხორციელებისაკენ. ეს კი სავსებით შესაძლებელია თამაშის დროს. თამაშის დროს ვლინდება თითოეული ბავშვის ინდივიდუალობა და მსახიობური მონაცემები, მოქმედებაში მოდის ბავშვის როგორც გონებრივი, ისე ემოციური და ფსიქომოტორული უნარები.

სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია ინტერაქციის გარეშე, ვინაიდან ის არის ენის გამოყენების ყველაზე ძლიერი ,,მოტივატორი". მისი გამოყენებით უცხო ენის მასწავლებელს საკმაოდ წარმატებულად შეუძლია ააგოს სასწავლო პროცესი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად გაიგებთ უკმაყოფილო მასწავლებლის გამოთქმებს: „ვერ ვახერხებ ამ კლასში ინტერაქციული აქტივობების განხორციელებას. მოსწავლეები განუწყვეტლივ საუბრობენ ერთმანეთთან. არადა, სწორედ იმის გამო, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ ლაპარაკის გარეშე, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ამ სახის აქტივობები სასწავლო პროცესში" (ჰალიველი, 1992:8).

„იმისათვის, რომ გაკვეთილი უფრო სახალისო იყოს, მასწავლებელმა ხშირად უნდა გამოიყენოს აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს ფიზიკურად ჩაერთონ მათში. საკმაოდ ეფექტურია მოსწავლეთა ჩართვა კვლევით აქტივობებში, სადაც მათ უხდებათ ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის მოძიება. მაგალითად:

- ვავალებთ მოსწავლეებს დაუსვან კლასელებს კითხვები მათი საყვარელი სათამაშოების შესახებ, აღწერონ სათამაშო, მოგვითხრონ ვინ აჩუქა მათ ეს სათამაშო. მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას და გაუზიარებენ კლასს.
- ვთხოვთ მოსწავლეებს დაუსვან კითხვები თანაკლასელებს მათი საყვარელი კერძის, ხილის ან ბოსტნეულის შესახებ, აღწერონ ისინი.
- დაადგინონ რომელია თანაკლასელების საყვარელი დღესასწაული. როდის აღნიშნავენ მას. აღწერონ რას აკეთებენ ამ დღესასწაულზე.
- დაადგინონ რომელია მათი მეგობრის საყვარელი წელიწადის დრო, აღწერონ წელიწადის ეს დრო.
- ვთხოვთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია მათი მეგობრების საყვარელი მულტფილმის გმირებზე.
- გვესაუბრონ მათი საყვარელი სპორტული ან გასართობი აქტივობის შესახებ.

„მსგავსი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას" (კანტი, 1997:68). ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, ინფორმაციას, ყველა მოსწავლე თანაბრად არის ჩართული. ყველაზე მთავარია ის, რომ ბავშვები ამ პროცესში აქტიურად იყენებენ საკუთარ ენობრივ რესურსს და

ქმნიან ცოცხალ ენობრივ ლექსიკურ ერთეულებს, რაც მნიშვნელოვანია ენის შესწავლის დროს.

სასწავლო პროცესში აქტივობების გამოყენება ხდება განსხვავებული მიზნით ეს შეიძლება იყოს ახალი მასალის წარდგენა, შესწავლილი მასალის გამეორება, ნასწავლი მასალის შეჯამება და ა.შ. სწორად დაგეგმილი აქტივობები უწყობს ხელს საკლასო ოთახში სასიამოვნო გარემოს შექმნასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. რა თქმა უნდა, ამ აქტივობებში უნდა ჩავრთოთ ოთხივე სამეტყველო უნარი: მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა.

საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ზოგიერთი აქტივობა ხმაურიან გარემოს ქმნის. თუმცა სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია ხმაურის გარეშე. თუკი მასწავლებელი ატარებს ინტერაქტიულ გაკვეთილს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერაქციას, შემოქმედებითობასა და დამოუკიდებლობას, მაშინ მისთვის მისაღები უნდა იყოს მოსწავლეთა მიერ კლასში შექმნილი დასაშვები ხმაური. ასეთ აქტივობებს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე: ერთი მხრივ, ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა გამოცოცხლებას და მათ ჩართულობას გაკვეთილის პროცესში, მაგრამ, მეორე მხრივ, იწვევს მოსწავლეთა ზედმეტ აღგზნებას და ხელს უწყობს მათ მოუსვენრობას. „არსებობს ისეთი აქტივობებიც, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა დაწყნარებას. ამ აქტივობების დადებითი მხარე არის ის, რომ მათი საშუალებებით მოსწავლეები მშვიდდებიან, თუმცა მათი ხშირი გამოყენება იწვევს მოსწავლეთა მოდუნებას“ (ჰალიველი, 1992:20).

მასწავლებელმა, შეიძლება დაგეგმოს გაკვეთილი ისე, რომ ის არც ძალიან მოსაწყენი იყოს და არც ზედმეტად ხმაურიანი. სასურველია, მას ჰქონდეს ორივე ტიპის აქტივობების ჩამონათვალი. ასეთი სია მისცემს შესაძლებლობას - მარტივად გააკეთოს არჩევანი გაკვეთილის დაგეგმვის დროს. მაგალითად, გადაწერა ყოველთვის ამშვიდებს ბავშვებს. იგივე ეფექტი აქვს გაფერადებას. შეჯიბრება კი, პირიქით, ბავშვებში იწვევს ხმაურსა და აღელვებას. ზეპირი სავარჯიშოები ყოველთვის ხმაურიან ფონზე მიმდინარეობს, მოსასმენი სავარჯიშოები კი - მშვიდ გარემოში. ნებისმიერი აქტივობის გამოყენებამდე, სასურველია, მასწავლებელი

დაფიქრდეს, ნამდვილად ეხმარება თუ არა მას შერჩეული აქტივობა დასახული მიზნის მიღწევაში.

„აქტივობა პედაგოგს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას - მოახერხოს მოსწავლეთა როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური ჩართვა სასწავლო პროცესში. ეს სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტურია განსაკუთრებით მრავალრიცხოვან კლასებში“ (ჰალიველი, 1992:35). აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: გაკვეთილზე მასწავლებელი იყენებს აქტივობას, სადაც მოსწავლეებს უხდებათ სხვადასხვა სიტყვის გამოცნობა “Guessing Game”. მოცემულ აქტივობაში მოსწავლეებს ეძლევათ უკვე ნასწავლი სიტყვებისა და ფრაზული გამონათქვამების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა. მაგ., მასწავლებელს სურს მოსწავლეებს გააცნოს გრამატიკული კონსტრუქცია ‘going to‘. ის იყენებს დასურათებულ ბარათებს, რომელზეც გამოხატულია სხვადასხვა ადგილი, მაგალითად, ბიბლიოთეკა, პარკი, სუპერმარკეტი, კინოთეატრი, სკოლა, ზოოპარკი, თეატრი და ა.შ. მოსწავლე იღებს მაგიდიდან ბარათს, ისე, რომ არავის უჩვენებს მას. მასწავლებელი ნიმუშისთვის სვამს კითხვას: Are you going to the library? მოსწავლე გასცემს ან დადებით ან უარყოფით პასუხს ბარათზე მოცემული ნახატის მიხედვით - Yes, I am going to the library/ No, I am not goint to the library. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სხვა ბავშვებსაც დასვან მსგავსი შეკითხვები და გამოიცნონ, რომელი ადგილით დასურათებული ბარათი უჭირავს ხელში მოსწავლეს. მოსწავლე, რომელიც გამოიცნობს სწორად, იღებს მაგიდიდან შემდეგ ბარათს და ისევ გრძელდება თამაში. იმისათვის, რომ ჩაერთონ მოცემულ აქტივობაში, მოსწავლეები იმახსოვრებენ, რომელი ადგილების სურათებია მოცემული აღნიშნულ ბარათებზე. ისინი სვამენ სხვადასხვა კითხვას ამ ადგილების შესახებ. საბოლოოდ კი გამორიცხვის მეთოდით გამოიცნობენ, რომელი ადგილით დასურათებული ბარათი აქვს მათ თანაკლასელს. აღნიშნული აქტივობა სახალისოა. ყველა მოსწავლე შეპყრობილია სურვილით - გამოიცნოს სწორი პასუხი. ამ ფორმით მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ ჩართულობას და საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური გარემოს შექმნას.

მოსწავლეთა ამ ტიპის ჩართულობა სრულიად განსხვავდება უბრალოდ გადაწერისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, მექანიკურად ხდება და არ მოითხოვს გონებრივ ჩართულობას. მაგ, როდესაც ბავშვებმა, უბრალოდ, სწორად უნდა გადაწერონ სიტყვები, ფრაზები, წინადადებები, მათ არ უხდებათ ამ მასალაზე დიდხანს დაფიქრება. ამ აქტივობის დადებითი მხარე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მოსწავლე ფიზიკურად მშვიდად არის ჩართული სასწავლო პროცესში, ვინაიდან აღნიშნული აქტივობის შესრულების დროს ყველა მოსწავლე ერთდროულად დაკავებულია წერითი დავალების შესრულებით.

მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს კონკრეტულ კლასზე მორგებული აქტივობა. გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა, აქტივობები ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ სასწავლო პროცესში ჩაერთოს მთელი კლასი, როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურადაც.

საკლასო ოთახში შემოსული მოსწავლეები ზოგჯერ ზედმეტად ამაღლებულ განწყობაზე არიან და ხმაურობენ. ამას არაერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ფიზკულტურის გაკვეთილი, შესაძლო ექსკურსიის ან მათთვის საინტერესო ღონისძიების შესახებ ინფორმაცია, ან, უბრალოდ, ლანჩი. ბუნებრივია, მასწავლებელს უჩნდება სურვილი - დააწყნაროს კლასი. ის, ჩვეულებრივ, იწყებს გაკვეთილს განვლილი მასალის განმეორებით, რასაც უმეტესად მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვის ფორმა აქვს. შემდეგ ხდება ახალი სიტყვებისა თუ მასალის ზეპირი პრეზენტაცია, რასაც, შესაძლოა, სხვა ზეპირი აქტივობებიც მოჰყვეს. იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს საგაკვეთილო პროცესის დარეგულირება, უმჯობესია გამოიყენოს სწორად შერჩეული ხანმოკლე აქტივობები, როგორიცაა ე.წ. warmer, filler და cooler-ბი, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას და სასწავლო განწყობის ამაღლებას. ამ სახის სახალისო, წამახალისებელი აქტივობების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია შუა გაკვეთილზეც, თუკი ამჩნევს, რომ გაკვეთილი მეტისმეტად მოსაწყენი გახდა. ყველაზე მთავარია, მასწავლებელმა მოახერხოს სათანადო აქტივობის შერჩევა. შერჩეული აქტივობა ხელს უნდა უწყობდეს მთელი კლასის ჩართულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეები დაკარგავენ ინტერესს.

ამავე დროს აქტივობა მოსწავლეებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას - გაიგონონ ახალი სიტყვები და ფრაზები, შეძლონ მათი აღქმა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მისცეს მასწავლებელმა მოსწავლეებს მათი გამოყენების შესაძლებლობა. „გაკვეთილი აგებული უნდა იყოს თანმიმდევრული, პატარა და მარტივი სახის აქტივობებისაგან, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს გაკვეთილი იყოს მრავალფერვანი და სახალისო“ (ჰალიველი, 1992:35). მაგალითად, როცა მასწავლებელს მიზნად აქვს დასახული შეასწავლოს მოსწავლეებს ახალი სიტყვები, არაეფექტური იქნება, თუკი მათ სიტყვების გადაწერას დაავალებს. ბევრად უფრო ეფექტური იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს ამ სიტყვების კატეგორიზაციას და საკუთარ მაგალითებში გამოყენებას მოსთხოვს. ამ შემთხვევაში ბავშვები ფიქრობენ მოცემულ სიტყვებზე, ნაცვლად იმისა, რომ მექანიკურად გადაწერონ ისინი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ „მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ილუსტრირებული აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტების გაგება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ამოიცნობს პერსონაჟს, ცხოველს, საგანს და აკავშირებს მას შესაბამის ნახატთან/ჟესტიკულაციით განასახიერებს/ხატავს/ მიუთითებს რეალურ საგანზე; ამოიცნობს პერსონაჟს, ცხოველს, საგანს აღწერილი ნიშან-თვისებების მიხედვით (მაგ., წითელი, მრგვალი, დიდი, პატარა) და მიუთითებს/აფერადებს/შემოხაზავს მას; ამოიცნობს კონკრეტულ მოქმედებებს და განასახიერებს, ან მიუთითებს მათ სურათზე (თამაშობს, ხატავს, დახტის და სხვა)“ (ესგ, 2016 : 466).

ამ უნარის განვითარების ხელშესაწყობად, დაწყებით კლასებში გამოყენებული სახელმძღვანელო „English world” გვთავაზობს უამრავ აქტივობას. წიგნში ვხვდებით აღწერითი სახის სურათებს, მასში მოცემული სავარჯიშოები გვაძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეებმა აღწერონ სურათი, შეასრულონ სხვადასხვა აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს როგორც კითხვის, ასევე, წერის, ლაპარაკის და მოსმენის უნარების განვითარებას. მოსწავლის სახელმძღვანელოში მრავლად არის მოცემული აქტივობები, რომლებშიც ისინი უსმენენ აუდიომასალას, რის შემდეგაც ასრულებენ იქვე მოცემულ დავალებებს. მაგალითად:

- წიგნში მოცემულია ანბანის ასოები. მოსწავლეები უსმენენ სიმღერას ანბანის ასოებზე. სიმღერის მოსმენის დროს ისინი თითს ადებენ გაგონილ ასო ბგერას და იმეორებენ მას ხმამაღლა. ეს ხელს უწყობს ანბანის ასო ბგერის დამახსოვრებას და მის სწორად გამოთქმას.

- სურათზე მოცემულია სხვადასხვა საგნის გამოსახულება. მოსწავლეები უსმენენ აუდიოჩანაწერს და ნომრავენ საგნებს მოსმენილი აუდიო ჩანაწერის თანმიმდევრობით;

- მოსწავლეებს ვთხოვოთ სკოლაში პატარა ჩანთით მოიტანონ მათთვის სასურველი საგანი. კლასელები ცდილობენ ამ საგნის გამოცნობას, სხვადასხვა კითხვის დასმით. ისინი სვამენ კითხვებს ფერების, ზომის, მასალის და სხვა თვისებების შესახებ.

- დავყოთ კლასი ჯგუფებად. დაფასთან გამოვიყვანოთ ჯგუფის 1 წევრი. დავსვათ სკამზე ზურგით დაფისკენ. დაფაზე კი, მოსწავლის ზურგს უკან განვათავსოთ რომელიმე საგნის, ადგილის ან აქტივობის ამსახველი ფოტო. სხვადასხვა ჯგუფის წევრებს მივცეთ შესაძლებლობა დასვან კითხვები სურათის ირგვლივ, რომლებიც მისცემს დაფასთან გამოსულ მოსწავლეს გამოიცნოს რა არის ასახული ფოტოზე.

- მასწავლებელი მაგიდაზე დაალაგებს სხვადასხვა საგნის ფოტოსურათებს. მოსწავლეები უსმენენ აუდიო ჩანაწერს და მაგიდიდან იღებენ აუდიო ჩანაწერში გაგონილი საგნის ამსახველ სურათს. შეაჯიბრეთ მოსწავლეენი ერთმანეთს. გამარჯვებული იქნება ის მოსწავლე, რომელსაც უფრო მეტი სწორად შერჩეული სურათი ექნება.

- მოსწავლეებს ვურიგებთ გასაფერადებელ ნახატებს, ვასმენინებთ აუდიო ჩანაწერს და ვთხოვთ გააფერადონ სურათები აუდიო ჩანაწერში მოცემული ფერების მიხედვით.

- მოსწავლეებს ვასწავლოთ სხვადასხვა ზედსართავი სახელი. მაგალითად: sad, happy, fast, slow, beautiful, ugly, hot, cold, fat, thin. შემდეგ გამოგვყავს სხვადასხვა მოსწავლე და ვთხოვოთ მიმიკებით და ჟესტებით აღწერონ ნასწავლი ზედსართავი

სახელები. დაფასთან გამოსული მოსწავლე ცდილობს აღწერას, ხოლო დანარჩენი კლასელები კი ცდილობენ სწორი ზედსართავი სახელის ამოცნობას.

- შემდეგი აქტივობა შეგვიძლია გავითამაშოთ ზმნების სწავლების შემდეგ. მაგ: მოსწავლეებს ვასწავლეთ შემდეგი ზმნები: drink, eat, drive, float, fly, fold, hop, jump, juggle, lift, lock, look. შემდეგ გამოგვყავს სხვადასხვა მოსწავლე, რომელიც მოქმედებით, ჟესტებით ცდილობს გამოხატოს ზმნით გამოხატული მოქმედება. დანარჩენი ბავშვები კი სიტყვიერად ასახელებენ ზმნებს.

- სემესტრის ბოლოს, მას შემდეგ რაც უკვე ვასწავლეთ მოსწავლეებს რამდენიმე მოთხრობა, დავამზადოთ გვირგვინები, რომლებზეც დავაწეროთ სხვადასხვა პერსონაჟის სახელები. დაფასთან გამოვიყვანოთ მოსწავლე. თავზე გავუკეთოთ რომელიმე გვირგვინი, ისე რომ ის ვერ ხედავდეს პერსონაჟის სახელს. დაფასთან გამოსული მოსწავლე სხვადასხვა კითხვებით ცდილობს გამოიცნოს რომელი პერსონაჟია. ის სვამს კითხებს, კლასის დანარჩენი წევრები კი პასუხობენ და ეხმარებიან პერსონაჟის გამოცნობაში.

- სურათზე გამოსახულია საკლასო ოთახი, სადაც შესვენებაზე ბავშვები ჩართული არიან განსხვავებულ აქტივობებში: ერთი მღერის, მეორე კითხულობს, მესამე მიირთმევს ღვეზელს, მეოთხე ხატავს, მეხუთე თამაშობს ბურთს და ა. შ. მოსწავლეები უსმენენ აუდიო ჩანაწერს და სახელებით გამოიცნობენ, თუ რომელი ბავშვი ასრულებს ნახატზე მოცემულ მოქმედებას.

სწორად დაგეგმილი აქტოვობა ხელს უწყობს საკლასო ოთახში სწავლისადმი კეთილგანწყობილი, სასიამოვნო გარემოს შექმნას, მოსწავლეებში გონებრივი, ემოციური, ფსიქომოტორული უნარების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას, მათ სრულ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ამაღლებს და სრულყოფს შემსწავლელში კითხვის, მოსმენის, წარმოთქმის უნარის განვითარებას.

თავი 2. უცხოური ენის შესწავლა და ეფექტური მეთოდები

2.1. მოსწავლის უნარებსა და ინტელექტზე მორგებული სასწავლო გარემო

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებელი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე, უზრუნველყოფს მათ სწავლას და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, აქვს ნებისმიერი მოსწავლის წარმატების მოლოდინი; აცნობიერებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და იყენებს რეკომენდაციებს მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად; შეიმუშავებს თემატურ სასწავლო გეგმებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად; გეგმავს გაკვეთილს ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით; იცის სწავლების თეორიები და გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე სთავაზობს მოსწავლეებს სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას; სასწავლო პროცესში იყენებს სკოლაში არსებულ რესურსებს; მოიძიებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლების ინოვაციურ ფორმებს (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2014:6).

გაკვეთილი რთული პროცესია, რომელშიც მონაწილეობს განსხვავებული ინტერესების, შესაძლებლობების, პიროვნული თავისებურებების მქონე 20-35-მდე მოსწავლე. მასწავლებლის წინაშე დგას ამოცანა: თითოეულ მოსწავლეში გააღვიძოს ინტერესი და მოტივაცია უცხოური ენის შესწავლისადმი, უზრუნველყოს მათი ჩართულობა, შექმნას შემოქმედებითი აღმოჩენების ხელშემწყობი გარემო. დაწყებით კლასებში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისათვის, უპირველესად, მნიშვნელოვანია მოზარდებში სასწავლო პროცესისადმი დადებითი განწყობის შექმნა, მეხსიერების გასააქტიურებლად ეფექტური მეთოდების გამოყენება; მოსწავლის უნარებსა და ინტელექტზე მორგებული სასწავლო გარემოს ორგანიზება; სწავლების თანამედროვე და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ, რომელი ფაქტორი ზრდის მოსწავლეში სწავლის უნარს და როგორ შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისია. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობები,

მიდგომა და ტექნიკა. ეფექტური საგაკვეთილო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, როგორ გეგმავს მასწავლებელი გაკვეთილს და როგორ აღიქვამს მას მოსწავლე.

ინგლისური ენის მასწავლებელს დღეს საკმაოდ საინტერესო და სახალისო გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობა აქვს. განსხვავებით ავტორიტარული მართვის სტილისაგან, კლასის მართვის დემოკრატიული სტილის შემთხვევაში, მასწავლებელი და მოსწავლე ერთნაირად არიან ჩართული გაკვეთილის პროცესში. აქედან გამომდინარე მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ კეთილგანწყობილი საგაკვეთილო გარემო აუცილებელი პირობაა ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის და აქტიური, შემოქმედი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. როდესაც მასწავლებელი ცდილობს შექმნას ორმხრივი ნდობის, აღიარების, თანასწორუფლებინობის ხელშემწყობი გარემო, ეს ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობის განცდას, მის მოტივაციასა და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, რაც ამაღლებს აკადემიურ მოსწრებას. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს უამრავი სახალისო და ეფექტური სასწავლო მეთოდი და სტრატეგია, მათ შორის: თანამშრომლობითი სწავლა, დემოკრატიული საკლასო, სასწავლო და საგანმანათლებლო გარემო, მდიდარი რესურსი, სწავლების სტილი, მულტიკულტურული მიდგომა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ა. შ.

ინგლისური ენის შესწავლის დროს მოსწავლეები უამრავ პრობლემას აწყდებიან. ეს პრობლემები ხშირად საკლასო გარემოს და მასწავლებელთა მიერ გამოყენებულ მეთოდებს უკავშირდება. წინამდებარე პარაგრაფის მიზანია განვიხილოთ, რომელი ფაქტორი ზრდის მოსწავლეში სწავლის უნარს და როგორ შევქმნათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისი იქნება. განათლების ექსპერტები, მეთოდისტები, მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი გახადონ. ამისათვის ისინი გვთავაზობენ მოსწავლის შესაძლებლობებზე, დასწავლის სტილზე მორგებულ სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და სასწავლო მიდგომები, პედაგოგის მიერ წამოყენებული სასწავლო მოთხოვნები. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის: გუნდურობა, თანამშრომლობა, დაცულობა, ნდობა, პიროვნული ღირსების შეგრძნება. მოსწავლე უნდა გრძნობდეს მასწავლებლისა და თანატოლების მხრიდან თანადგომას, დახმარების სურვილს, წარმატების გაზიარებას და იმასაც რომ მოსწავლეს დაშვებული შეცდომების გამო არავინ დასჯის; ამგვარი გარემო მოსწავლის პიროვნული ღირსების შეგრძნებას ამაღლებს, და, შესაბამისად, მისი მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში უფრო აქტიური და შედეგიანი ხდება. „ძველი სასკოლო მეთოდები - პარაგრაფის მონიშვნა, ტესტის ჩატარება და შემდგომ მისი შედეგების განხილვა სულაც არ ნიშნავს ხარისხიან სწავლებას და არ უწყობს ხელს მოსწავლეთა ღრმა აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები არ არიან მაგნიტოფირები, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან „სიბრძნის საბადოს“ მიღებას. ისინი ადამიანები არიან, რომლებიც ვერ უძლებენ ხანგრძლივ გაკვეთილებს მათივე ჩართულობისა და აქტივობის გარეშე“ (ლომბარდი, 2004:1). გაკვეთილი არ არის მკაცრად განსაზღვრული სასწავლო პროცესი. მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვაგვარად „წაახალისოს“ მოსწავლის თავისუფლება: ვიდეოთამაშებში მონაწილეობით, ტელეფონზე საუბრით, მუსიკის მოსმენით, მოსწავლეთა სურვილით შერჩეული აქტივობების გამოყენებით.

ყოველი ადამიანი განუმეორებელი ინდივიდია, უნიკალურია მათი გონებრივი შესაძლებლობებიც. ადამიანის ტვინს გააჩნია როგორც თანდაყოლილი, ასევე, გამოცდილების და სწავლების შედეგად ფორმირებული ფუნქციები. ამის გათვალისწინება აუცილებელია სწავლების პროცესში. საჭიროა შეიქმნას ბავშვის გონებრივი განვითარების ხელშემწყობი ბუნებრივი სასწავლო გარემო, რომელიც დაეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.

ტვინი სოციალური ფენომენია. როგორც ჯონ დონი აღნიშნავს: „ადამიანი არ არის უკაცრიელი კუნძული“. ტვინს უყვარს სოციალური ჩართულობა და ის საკმაოდ კარგად რეაგირებს მასზე (ლომბარდი, 2004:2). თანამშრომლობითი სწავლება ერთ-ერთი ეფექტური საგანმანათლებლო მეთოდია, რომელსაც არსებითი

მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით, ინგლისური ენის სწავლების დროს. კონკრეტული ამოცანის სტრუქტურირება, როლებისა და გუნდების გადანაწილება, მასალის გაზიარება, გუნდის წევრებს შორის ურთიერთ-დამოკიდებულების მოთხოვნა არის აუცილებელი და არსებითი ხარისხიანი თანამშრომლობითი სწავლების დროს საკლასო გარემოში. თანამშრომლობითი სწავლება მნიშვნელოვანია ინგლისური ენის შესწავლის დროს, ეს განსაკუთრებით ეხება სასაუბრო აქტივობებს.

ტვინს გააჩნია უნარი - აითვისოს და დაიმახსოვროს ახალი მასალა გარემოს შესაბამისად. ამიტომაც მას მოქნილს უწოდებენ. მ. სფრენგერი აღნიშნავს: ,,რაც უფრო ახალგაზრდაა ინდივიდი, მით უფრო მარტივია ტვინისთვის ცვლილებების განხორციელება. მოსწავლე ადვილად დაეუფლება ახალ მასალას, თუკი მოხდება მისი სისტემატური და ინტენსიური დამუშავება. ამისთვის კი საჭიროა მასწავლებელმა შექმნას მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, რესურსით გამდიდრებული გარემო და მიმართოს ისეთ აქტივობებს, რომელთა მეშვეობით მოხდება ტვინის იმ ნაწილის ამუშავება, რომელიც მანამდე არ ახორციელებდა ენის შესწავლის ფუნქციას“ (ქოსე, 2011: 117). როდესაც ტვინი ეცნობა ახალ იდეას, ის იწყებს წინარე ცოდნისა და გამოცდილების ძიებას, რომელიც მსგავსია ახალი ცნებისა. ეფექტური მასწავლებელი მასალის წარდგენას იწყებს გრაფიკული ორგანიზატორების ინტეგრირებით, ვარაუდების სტრატეგიების გამოყენებით, სიტყვების გაცნობით, ვიდეოკლიპის პრეზენტაციით; ამზადებს ტვინს ახალი ცოდნის მისაღებად. თუ დაეხმარებით ენის შემსწავლელებს ახალი იდეების უკვე არსებულ ცოდნასთან დაკავშირებაში, სასწავლო პროცესი ბევრად უფრო საინტერესო გახდება.

ცნობილია, რომ ტვინი იყოფა მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებად. ტვინის მარცხენა ჰემისფერო დაკავშირებულია ლინგვისტურ და ანალიტიკურ პროცესებთან, ხოლო მარჯვენა - შემეცნებით და სივრცით პროცესებთან (დონალდ, 1991:342). ტვინის ორივე ნაწილი მონაწილეობს სასწავლო ამოცანების შესრულებაში, იქნება ეს ვერბალური, ვიზუალური, ანალიტიკური, გლობალური, ლოგიკური თუ კრეატიული. მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეების ჩართვა ისეთ

სამუშაოებში, რომლებიც მოითხოვს ტვინის ორივე ნახევარსფეროს გააქტიურებას. მას შეუძლია შექმნას მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, რესურსით გამდიდრებული გარემო და მიმართოს აქტივობებს ტვინის იმ ნაწილის ასამუშავებლად, რომელიც მანამდე არ ახორციელებდა ენის შესწავლის ფუნქციას. უცხო ენის გაკვეთილებზე სავსებით შესაძლებელია ურთიერთსაპირისპირო დისციპლინების ჩართვა და ტვინის მრავალმხრივი ასპექტის გამოყენება სასწავლო პროცესში. ე. კოჰენსი თავის ნაშრომში „A mind at a Time“ - გვირჩევს ვერბალური ამოცანის ვიზუალურ ამოცანად, ხოლო ვიზუალური ამოცანის კინესთეტიკურ ამოცანად გარდაქმნას. იგი თვლის, რომ მასწავლებელმა არ უნდა მოადუნოს მოსწავლეთა გონება, თუმცა არც მოსწავლეთა გონების გადატვირთვას გვირჩევს; უბრალოდ, საჭიროა გაკვეთილი გააქტიურდეს სახალისო აქტივობებით. აქტივობათა მუდმივი ცვლა და სწავლების სხვადასხვა სტილის გამოყენება ზრდის სტიმულსა და მოტივაციას, ხელს უწყობს აქტიურ აზროვნებას უცხო ენის შესწავლის დროს. სწავლების პროცესში მასწავლებლები ისახავენ მიზნად მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, სხვადასხვა კოგნიტური უნარის (აღქმა, გაგება, დამახსოვრება, მეტყველება, აზროვნება) გააქტიურების საშუალებით. მოსწავლეები, რომლებიც იცნობენ ტვინის სტრუქტურას, ფუნქციას და შესაძლებლობებს, იაზრებენ, რომ სწავლა ბუნებრივი პროცესია. მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერი რამის შესწავლა, თუ აქვს საკმარისი განწყობა, დრო და სწავლა/სწავლების შესაბამისი გარემო. ამ შემთხვევაში ძალიან ეფექტურია ყველა სახის ინტელექტის და სტილის გამოყენება. ინტელექტი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Intelectus) და ნიშნავს გაგებას, შემეცნებას. ეს არის პიროვნების აზროვნების უნარი, რომელიც აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ინტელექტი ენის გაგების უნარია. უნარი - გადაიტანოს ვერბალური აღწერა მოქმედებაში და იმოქმედოს საკუთარი კულტურის, წესების შესაბამისად. ინტელექტს, ანუ გონებრივ უნარსა და ნიჭს, ბევრი განსაზღვრება აქვს, მაგ: „ინტელექტი არის ცოდნის დაუფლების ანუ სწავლის უნარი: ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ დარგში მაღალი ინტელექტი აქვთ, უფრო ადვილად და სწრაფად ითვისებენ ახალ ინფორმაციას და სწავლობენ ახალი ამოცანების შესრულებას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად

ინტელექტუალურები არიან; ინტელექტი არის შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალ სიტუაციაში გამოყენების უნარი; ინტელექტის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ გააანალიზონ და გაიგონ ახალი მოვლენები და სიტუაციები. ინტელექტს გააჩნია ადაპტაციიას უნარი; ინტელექტის საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ ახალ მოვლენებსა და სიტუაციებზე და გადაჭრან სხვა პრობლემები“ (ჯანაშია, 2011: 135).

„ინტელექტი ეწოდება გამოცდილებიდან სარგებლის მიღებისა და გარემოს შესახებ მოცემული ინფორმაციის გარღვევის ზოგად უნარს. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის განსაზღვრა საკმაოდ რთული ამოცანაა, მეცნიერთა 52-კაციანი ჯგუფი მაინც შეთანხმდა დეფინიციაზე, რომელიც არსებულ ვერსიებს შორის ყველაზე ამომწურავია. ამ განსაზღვრების მიხედვით, ინტელექტი ძალზე ზოგადი, გონებრივი შესაძლებლობაა და სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ლოგიკური მსჯელობის, აბსტრაქტული აზროვნების, რთული იდეების წვდომის, სწრაფად დასწავლისა და გამოცდილების მიღების უნარს“(ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში).

ინტელექტი ყოველთვის მოიაზრებოდა, როგორც ადამიანის უნარი, გადაეჭრა ახალი ამოცანა ან შეექმნა პროდუქტი, რომელიც ღირებული იქნებოდა მოცემული კულტურისათვის. დღეს ინტელექტი განიხილება არა როგორც უნარი, რომლის „გაზომვა შეიძლება, არამედ როგორც პოტენციალი, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს იმის მიხედვით, თუ რა არის მოცემულ კულტურაში მიღებული ღირებულებად, რა შესაძლებლობები ეძლევა ადამიანს და როგორი გარემო აქვს. დღეისთვის საუბრობენ არა ერთი სახის ფიქსირებულ ინტელექტზე, რომელიც ადამიანს აქვს ან არა აქვს, არამედ მრავალმხრივ ინტელექტზე, რომელიც სხვადასხვა სფეროში ვლინდება“ (ბოჭორიშვილი, 2017: 76)

ჰოვარდ გარდნერი თვლის, რომ ადამიანებს აქვთ, სულ ცოტა, 8 ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარი:

1. ლინგვისტური/ენობრივი ინტელექტი - ამ ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ენის ეფექტურად გამოყენების უნარი (როგორც წერაში, ასევე კითხვაში). მათ შეუძლიათ დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა, ლექსების წერა.

2. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი - გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების უნარი; მათემატიკური ოპერაციების ეფექტურად შესრულების უნარი. მათ შეუძლიათ მათემატიკური ამოცანების სწრაფად ამოხსნა, მათემატიკური თეორიების დატკიცება, ჰიპოთეზის ფორმულირება და გამოცდა.

3. სივრცული ინტელექტი - გააჩნიათ ვიზუალური სამყაროს სწორად აღქმის უნარი. შეუძლიათ ვიზუალური ობიექტების გონებაში წარმოსახვა.

4. მუსიკალური ინტელექტი - აქვთ მუსიკის შექმნის, შესრულების, აღქმისა და შეფასების უნარი. შეუძლიათ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, მუსიკალური ნაწარმოების შექმნა, მუსიკის ძირითადი სტრუქტურის ცოდნა/გაგება.

5. ფიზიკურ-კინესტეტიკური ინტელექტი - გააჩნიათ კოორდინაციის, ბალანსის, ხელების მარჯვედ გამოყენების, მოქნილობის, სისწრაფისა და შეხების შეგრძნების უნარი. მათ შეუძლიათ ცეკვა, კალათბურთის თამაში, პანტომიმის შესრულება.

6. ინტერპერსონალური ინტელექტი - აქვთ სხვა ადამიანთა განწყობების, განზრახვების, მოტივაციების და გრძნობების აღქმის და დანახვის უნარი. მათ შეუძლიათ ადამიანთა განწყობის შეგრძნება, სხვა ადამიანთა განზრახვებისა და სურვილების წაკითხვა.

7. ინტრაპერსონალური ინტელექტი - აქვთ თვითშემეცნების უნარი; საკუთარი გრძნობების, მოტივებისა და სურვილების ცოდნა; თვითდისციპლინის უნარი. შეუძლიათ საკუთარი საქციელის მოტივის ამოცნობა, საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გამოყენება ადამიანებთან წარმატებული ურთიერთობის დასამყარებლად.

8. ნატურალისტური ინტელექტი - აქვთ ბუნებაში არსებული სიცოცხლის ფორმების (ფლორა და ფაუნა) და ობიექტების (მაგ., მთები, ტბები) ამოცნობისა და განსხვავების უნარი. შეუძლიათ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების ამოცნობა, ბუნების ობიექტების (მაგ., მთებისა და ქვების ნაირსახეობა) კლასიფიკაცია, ბუნების შესახებ ცოდნის გამოყენება (ჯანაშია, 2011: 137-138).

ავტორთა ჯგუფი სახელმძღვანელოში „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ აღნიშნავენ, „აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს მიმართოს, რომლებიც ბავშვის უნარებს არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. ამით ხელს შევუწყობთ მათ

მრავალმხრივ განვითარებას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას ბავშვის კარგად გაცნობა და მისი შედარებით განვითარებული თუ გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს“ (ჯანაშია , 2011: 139).

მრავალმხრივი ინტელექტის სწავლის სტილის გათვალისწინება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ინგლისური ენის შესწავლისას. ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი ლინგვისტურ/ენობრივი ინტელექტი, აზროვნებენ სიტყვების საშუალებით, უყვართ წერა, კითხვა, ამბების მოყოლა, სიტყვებთან დაკავშირებული თამაშები, სჭირდებათ წიგნები, კასეტები, საწერი ნივთები, ქაღალდი, დღიურები, დიალოგი, დისკუსია, დებატები, ამბები და ისტორიები.

ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ მსჯელობის გზით, უყვართ ექსპერიმენტების ჩატარება, გამოკვლევა, ლოგიკური თავსატეხების ამოხსნა, ანგარიში და გამოთვლა. მათ სჭირდებათ საგნები, რომლებთანაც შეძლებენ ექსპერიმენტების ჩატარებას, სამეცნიერო ნივთები და დანადგარები, ხელებით მანიპულირებადი საგნები, ექსკურსიები პლანეტარიუმში და სამეცნიერო მუზეუმში.

სივრცული ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ გამოსახულებების და ნახატების მეშვეობით, მათ უყვართ დაგეგმარება, კონსტრუირება, აგება, ხატვა, გონებაში წარმოსახვა. მათ აუცილებლად სჭირდებათ ხელოვნების ნივთები, ფილმები, სლაიდები, წარმოსახვითი თამაშები, ლაბირინთები, თავსატეხები, ილუსტრირებული წიგნები, ექსკურსიები ხელოვნების მუზეუმში.

მუსიკალური ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ რითმისა და მელოდიების საშუალებით. მათ უყვართ სიმღერა, ღიღინი, ხელების კაკუნი, ფეხების ბაკუნი, მოსმენა; სჭირდებათ სიმღერის დრო/გაკვეთილები, კონცერტებზე სიარული, მუსიკის მოსმენა სახლსა და სკოლაში, მუსიკალური ინსტრუმენტები.

ფიზიკურ-კინესტეტიკური ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ ფიზიკური შეგრძნებების საშუალებით. მათ უყვართ ცეკვა, სირბილი, ხტუნვა, აშენება, შეხება, ჟესტების გამოყენება; სჭირდებათ სპორტული და ფიზიკური თამაშები, შეხებით შესაგრძნობი გამოცდილებები, პრაქტიკაში სწავლა.

ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ სხვა ადამიანებთან იდეების გაზიარების საშუალებით. მათ უყვართ ლიდერობა,

ორგანიზება, კავშირის დამყარება, მანიპულირება, მედიტირება, წვეულებებზე ყოფნა; სჭირდებათ მეგობრები, ჯგუფური თამაშები, სოციალური თავყრილობები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, წრეები/კლუბები, მენტორები/დამრიგებლები.

ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე ბავშვები აზროვნებენ საკუთარი მოთხოვნილებების, გრძნობებისა და მიზნების მიმართ; მათ უყვართ მიზნების დასახვა, ოცნება, დაგეგმვა, ფიქრი; სჭირდებათ საიდუმლო ადგილები, მარტოდ ყოფნა, არჩევანი.

ნატურალისტური ინტელექტის მქონე ბავშვები კი აზროვნებენ ბუნებასთან ურთიერთობით; უყვართ ცხოველებთან თამაში, ბუნების გამოკვლევა/შესწავლა, ცხოველების მოვლა, დედამიწაზე ზრუნვა. სჭირდებათ ბუნებასთან სიახლოვე, ცხოველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ბუნების გამოსაკვლევად საჭირო ნივთები (ჯანაშია, 2011: 140-141).

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინებით ინგლისური ენის გაკვეთილები ისე შეიძლება დავგეგმოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ინტელექტი გააქტიუროთ. მაგალითად, როცა გაკვეთილის ნაწილს საუბარს, დიალოგს, კითხვასა და დაფაზე წერას ვუთმობთ მოსწავლეებში ენობრივ-ლინგვისტურ ინტელექტს ვავითარებთ. ახალი სიტყვების შემოტანის დროს ეფექტურად ვიყენებთ ჟესტებს, მიმიკას, რითაც ხელს ვუწყობთ ფიზიკურ-კინესტეტიკური ინტელექტის განვითარებას. როდესაც ვასმენინებთ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, სიმღერებს, რომელშიც უნდა ამოიცნოს ესა თუ ის ფრაზა, აქცენტი გააკეთოს წარმოთქმაზე, მახვილებზე, ამით ვავითარებთ მუსიკალურ რითმულ ინტელექტს; თვალსაჩინოების, ვიდეო მასალის გამოყენებით, ტექსტის შინაარსის, ნახატის სახით წარმოდგენით ან პირიქით სურათის ინგლისურად აღწერის დროს მოსწავლეებში ვავითარებთ სემიოტიკურ კომპეტენციას, ვიზუალურ სივრცით ინტელექტს; როცა მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას - მომიყევით ინგლისურად თქვენს განწყობაზე, ოჯახზე, სამომავლო გეგემებზე, საყვარელ სათამაშოზე, ამით ხელს ვუწყობთ მათში ინტრაპერსონალური ინტელექტის განვითარებას. ხშირად საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, როლურ თამაშებს. მოსწავლეები წარმოადგენენ დიალოგებს, აკეთებენ შესწავლილი მოთხრობის, ლექსის,

დიალოგების, როლებით წარმოდგენას. ეს ინტერპერსონალური ინტელექტის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლებზე ბევრადაა დამოკიდებული გამოავლინონ და დაეხმარონ მოსწავლეებს თავიანთი უნარების უკეთ შეცნობაში. „საგაკვეთილო პროცესში დასწავლის სტილის გათვალისწინება, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს ინფორმაციის მოკლევადიანი მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანას. მ.ფლეთჩერი ამ აქტივობებში მოიაზრებს: გამეორებას, სურათებისა და ფერების გამოყენებას, იმიტაციას, დრამის და მუსიკის გამოყენებას, იუმორს, ძილის წინ მასალის გადახედვას და განმეორებას“ (ქოსე, 2011: 120).

იმ მოსწავლეებს, რომლებშიც დომინირებს ვერბალურ-ლინგვისტური ინტელექტი, ყოველთვის სურთ გამოიყენონ სიტყვები, ენა და მისი სტრუქტურა. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს აქვთ მიდრეკილება და უნარი დაასაბუთონ, გამოიანგარიშონ, შეაფასონ და ამოხსნან სიტყვები არავერბალურად. კინესტეტიკური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ მოძრაობა, სიარული, ცეკვა, დემონსტრირება და ა.შ. ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის მქონე მოსწავლეებს აქვთ მიდრეკილება შექმნან სივრცული სამყაროს მენტალური მოდელი და წარმოიდგინონ საგნები სხვადასხვა კუთხით. მუსიკალური ინტელექტის მქონე მოსწავლეები ძალიან მარტივად რეაგირებენ მუსიკაზე. მათ მოსწონთ თამაში და ჩართულობა ყველა მელოდიურ აქტივობაში. ინტერპერსონალური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს აქვთ უნარი იმუშაონ და ითანამშრომლონ სხვებთან. ინტრაპერსონალური ინტელექტის მქონე მოსწავლეები კი ყოველთვის გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს და იზიარებენ სხვათა შეხედულებებს. ნატურალისტური ინტელექტის მქონე მოსწავლეებს იზიდავთ ბუნება და გარე სამყარო.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა უცხოური ენის შესწავლის გაკვეთილზე შექმნას გარემო, გამოიყენოს მოსწავლის დასწავლის სტილეზე (სმენითი, ვიზუალური, კინესტეტიკური) და ინტელექტზე მორგებული ყველა სახის ტექნიკური აღჭურვილობა და აქტივობა. რაც ხელს შეუწყობს ბუნებრივი სასწავლო პროცესის განხორციელებას, სწავლის ტემპის დაჩქარებას, მოსწავლეთა აქტიურ

ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოყენებული ალტერნატიული აქტივობები და მეთოდები, რომელშიც ჩართული იქნება ყველა სახის ინტელექტი, ამარტივებს სწავლების პროცესს და ხდის მას უფრო სასიამოვნოს. ამ ტიპის სასწავლო გარემო ზრდის სწავლების მოტივაციას, იძლევა სასწავლო პროცესის წარმატებულად განხორციელების საშუალებას და ქმნის მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების შესაბამის გარემოს.

მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად, ჩართულია სასწავლო პროცესში ის მონაწილეობს ისეთ პროცესებში, როგორიცაა ფიზიკური დახმარება, ერთობლივად კეთება, სიტყვიერი მითითებით დახმარება და დამოუკიდებელი შესრულება. დავალებების მიწოდება მარტივიდან რთულისკენ გადადის და მოსწავლე ოსტატდება კონკრეტული დავალების დამოუკიდებლად შესრულებაში. „აქედან გამომდინარე, მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება -ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ცოდნისმოყვარეობაში ე. წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს. შესაბამისად, ბავშვს თვითონ გაუჩნდება სწავლის მოთხოვილება და მისი შესაბამისი განწყობაც“ (ჯანაშია, 2011: 69).

კვლევებმა აჩვენა, რომ „მოსწავლეთა უმრავლესობა, მასალის სირთულის მიუხედავად, ძირითადად, სწავლების პრიმიტიულ სტრატეგიებს, მაგალითად, გამეორებას იყენებს. მაგრამ გამეორება არ არის ახალი ინფორმაციის დამახსოვრების საუკეთესო სტრატეგია. ეფექტური სწავლა და მეცადინეობა საკლასო მასალის აქტიურად გააზრებას და გადამუშავებას მოითხოვს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გავაცნოთ სწავლის ეფექტური სტრატეგიები და ვასწავლოთ მათი გამოყენება“ (ჯანაშია, 2011:125). რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია დავამახსოვრებინოთ მოსწავლეებს მასალა ხშირი გამეორებით, მაგრამ ეს არის ტექნიკა, რომელსაც იყენებენ ტრადიციულ კლასებში, ხოლო იმისათვის, რომ

რეალურად შევუწყოთ ხელი გონებრივ განვითარებას, სწავლის დროს უნდა შეიქმნას ისეთი უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს თავისუფლად იაზროვნოს და იყოს კრეატიული; ეს ზრდის სწავლების მოტივაციას და საბოლოოდ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებულ განხორციელებას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კლასში იყოს საინტერესო ფიზიკური და პოზიტიური გარემო, რომელიც შეამცირებს სტრესს და დაეხმარება მოსწავლეებს - ყურადღება მიაპყრონ ასათვისებელ მასალს და აქტივობებს, შესწავლილი მასალა დააკავშირონ რეალურ ცხოვრებასთან. ოლსენ კარენი და სუსან კოვალი აღნიშნავენ, რომ „ასეთი სასწავლო გარემო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაატარონ კვლევები, დაადგინონ და გაიგონ, როგორ განავითარონ თავიანთი ინტერესები და გააკეთონ მათი შესაძლებლობების შესაბამისი სწორი პროფესიული არჩევანი. მაშინ მოახდენენ სწორად თავიანთი შესაძლებლობების მობილიზებას და წარმართვას, შეეძლებათ მომავალში საკუთარი ცოდნის რეალურ სამყაროში რეალიზება“ („ITI Classroom Stages of Implemintation“, 2001: 15). რაოდენ ამომწურავადაც უნდა ვასწავლიდეთ მოსწავლეს საგანს, თუ მან ის ვერ დააკავშირა ყოველდღიურ გამოცდილებასთან, საგნის შესწავლის ხარისხი მცირდება. შესაბამისად, ქვეითდება მოსწავლის მოტივაცია და აკადემიური მოსწრებაც. მასალას, რომელსაც ვთავაზოთ, არ გააჩნია მისთვის მნიშვნელობა და არ არის მისთვის ბოლომდე გასაგები. თუკი მასწავლებელი ვერ გაითვალისწინებს ცალკეული მოსწავლის სასწავლო მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, ინდივიდულურ თავისებურებებს, ეს დაბლა დასწევს მოსწავლეთა მოტივაციის დონესა და სწავლის ხარისხს.

სასწავლო პროცესის წარმატებით ორგანიზებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მეხსიერების შესწავლა. მასწავლებელს შეუძლია შემოგვთავაზოს სწავლების ახალი მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას და მეხსიერებაში შენარჩუნებას. პატრიცია ვულფი მიიჩნევს: „როდესაც ჩვენ ვახერხებთ ერთი და იმავე საგნის მრავალჯერ დანახვას, ეს აძლიერებს უნარს - შევინახოთ მოცემული სიახლე და მოგვიანებით მოვახდინოთ ტრანსფერი. აღნიშნული ინფორმაცია აღწევს ტვინში გრძნობის ორგანოების მეშვეობით, მაგრამ თუკი არ მოხდება ამ ინფორმაციის დამუშავება, მისი უდიდესი ნაწილი მაშინვე იკარგება დაახლოებით

5-დან 20 წამის ინტერვალში. შესაბამისად, არ ხდება მისი შენახვა მეხსიერების სისტემაში“ (ქოსე, 2011: 120). ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, თავდაპირველად ფიქსირდება მოკლევადიან მეხსიერებაში და მხოლოდ სათანადოდ დამუშავების შემდეგ ხდება მისი დაფიქსირება ხანგრძლივ მეხსიერებაში. მოკლევადიანი მეხსიერება არის ორი სახის: წამიერი და სამუშაო მეხსიერება. დევიდ სოუსა აღნიშნავს, რომ „წამიერი მეხსიერების სივრცე მოგვაგონებს დაფას, სადაც ჩვენ ვათავსებთ ინფორმაციას ხანმოკლე დროით, მანამ, სანამ ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, როგორ განვალაგოთ ის. ის ქვეცნობიერად ამუშავებს მოცემულ ინფორმაციას და ინახავს მას დაახლოებით 30 წამის განმავლობაში. ყოველი ადამიანი თავისი გამოცდილების მიხედვით განსაზღვრავს მის მნიშვნელობას. თუკი მოცემული ინფორმაცია არის უმნიშვნელო, ამ მოკლე დროის განმავლობაში ხდება მისი გაქრობა მოცემული სისტემიდან. სამუშაო მეხსიერება არის მოკლევადიანი მეხსიერების კიდევ ერთი ტიპი. ის წარმოდგენილია, როგორც შეზღუდული ტევადობის მქონე სამუშაო მაგიდა, სადაც ხდება იდეების დახარისხება, იმისათვის, რომ შემდგომში მოხდეს მათი შენახვა. როდესაც ინფორმაცია მოქცეულია სამუშაო მეხსიერებაში, ის მუდმივად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. სამუშაო მეხსიერების ფუნქციონირება ხორციელდება ტვინის ფრონტალურ ნაწილში, თუმცა, ამავე დროს, ტვინის სხვა ნაწილებიც ახორციელებენ ფუნქციონირებას. ამის შემდეგ ობიექტები სამუშაო მეხსიერებიდან გადაადგილდებიან ხანგრძლივ მეხსიერებაში, იმისათვის, რომ მომავალში მოხდეს მათი აღდგენა. გამორჩეული ღირებულების ინფორმაციის შენახვა ხდება მაშინვე. მეხსიერებას აქვს უნარი დაიმახსოვროს ყველაზე სასიამოვნოდ და ყველაზე არასასიამოვნოდ მოსაგონარი ფაქტები. ტვინი არ ინახავს მოგონებებს ხაზოვნად, როგორც ამას აკეთებს ხმის ჩამწერი მაგნიტოფონი ან ვიდეოკამერა. ის ინახავს მოგონებებს ქსელებად“ (ქოსე, 2011:37).

„ინფორაციის აღქმა ხდება შემდეგი გრძნობის ორგანოების საშუალებით: მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოვნება. მასწავლებელმა უნდა დაადგინოს, რომელი დომინირებს მის მოსწავლეებში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტოს, სწავლების რომელ მიდგომას შეარჩევს“ (ქოსე, 2011:124).

ყოველივეს გათვალისწინებით, მეთოდები და აქტივობები, რომლებსაც სასწავლო პროცესში გამოვიყენებთ, ზეგავლენას ახდენს დამახსოვრების სიძლიერესა და ხანგრძლივობაზე. არსებობს მეხსიერების ხუთი ტიპი: სემანტიკური, ეპიზოდური, პროცედურული, ავტომატური და ემოციური. მასწავლებელმა უნდა შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ხუთივე ტიპის მეხსიერების აქტივაციას და მობილიზებას.

სემანტიკური მეხსიერება ეს მეხსიერების ის ტიპია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება საკლასო ოთახში. როდესაც მოსწავლეებს ვთხოვთ, შეისწავლონ ახალი სიტყვები ან დაიმახსოვრონ გრამატიკული წესები, სიტყვების ან ფრაზების ჩამონათვალი, გარკვეული ტექსტის დეტალები, ჩვენ ვიყენებთ სემანტიკურ მეხსიერებას.

ეპიზოდურ მეხსიერებას შეხება აქვს ადგილმდებარეობასთან. ის ყოველთვის ახდენს ასოცირებას იმ ადგილთან, სადაც ხდებოდა სასწავლო პროცესის განხორციელება.

პროცედურული მეხსიერება ვითარდება განმეორებული აქტივობების მეშვეობით. ის გვეხმარება დავიმახსოვროთ ფაქტები მექანიკურად, არ მოითხოვს ყურადღების მობილიზებას და გარემოსთან ადაპტაციას; საჭიროა მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის სისტემატური გადამუშავება სახალისო აქტივობების გამოყენებით, სადაც მოხდება თითოეული მოსწავლის აქტიური ჩართვა.

ემოციური მეხსიერება ინახავს იმ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის განცდებთან და ემოციასთან. მასწავლებელმა უნდა შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ხუთივე ტიპის მეხსიერების აქტივაციას და მობილიზებას.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროს აქვს სხვადასხვა ფუნქცია, ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. თითოეულ ნახევარსფეროს აქვს სპეციფიკური ძალა. მარჯვენა უფრო ჰოლისტურია, ინტუიციური, უფრო მეტად ემყარება სენსორულ აღქმას, ვიდრე აბსტრაქტულ შემეცნებით უნარს. ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა, მასწავლებელმა უფრო ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოახდინოს მისი განზოგადება. ამ შემთხვევაში საინტერესოა არა უბრალოდ თითოეული ნახევარსფეროს შესაძლებ-

ლობა, არამედ ის, თუ როგორაა ისინი ჩართული სასწავლო პროცესში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ტვინის განვითარების თითოეული არეალი, რაც დაეხმარება მიიღოს სწორი გადაწყვეტილება - რა ასწავლოს და როგორ ასწავლოს.

საგაკვეთილო პროცესში აუცილებელია შეიქმნას ბავშვის გონებრივი განვითარების პროცესების ხელშემწყობი ბუნებრივი სასწავლო გარემო, რაც მთავარი პირობაა მოსწავლეთა შესაძლებლობების, მათი ტვინის პოტენციალის სრული რეალიზებისათვის.

სწორედ ამიტომ, უნდა გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის გადატანას მოკლევადიანი მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში. მაგალითად, გავაცნოთ ბავშვებს გაკვეთილის მიზნები. ეს ინფორმაცია შეიძლება გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ჩამოვწეროთ; დაფაზე დავწეროთ მთავარი ცნებები და მივუთითოთ, როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული; დავუსვათ მოსწავლეებს ისეთი კითხვები, რაც მათ ყურადღებას გაამახვილებს მნიშვნელოვან ცნებებსა და იდეებზე; ვასწავლოთ ჩანაწერების გაკეთება; ცნებათა რუკების გაკეთება; ცნებებისა და იდეების ერთმანეთთან დაკავშირება; გამოვიყენოთ ანალოგიები იმისათვის, რომ მოსწავლეებს დავეხმაროთ ახალი ცნებები, იდეები და მოვლენები უკვე არსებულ ცოდნასთან დააკავშირონ; გამოვიყენოთ გონებრივი იერიში, სიუჟეტურ-როლური თამაშები, პედაგოგიური სიტუაცია, პროექტი, გონებრივი (კოგნიტური) რუკების შედგენა და სხვა; ვთხოვოთ მოსწავლეებს, იმუშაონ წყვილებში ან პატარა ჯგუფებში იმაზე, რომ მოიფიქრონ და პასუხი გასცენ საკუთარ კითხვებს“ (ჯანაშია, 2011: 129). „ჩავრთოთ მოსწავლეები საკლასო დისკუსიებში. მივცეთ მათ შესაძლებლობა წყვილებში და ჯგუფებში განიხილონ საკლასო მასალა. ზოგადად, მოსწავლეები უფრო ეფექტურად და სწორად იმახსოვრებენ ახალ ცნებებს, იდეებსა და გამოცდილებებს, როცა მათ ახალი მასალის სხვა ადამიანებთან განხილვის შესაძლებლობა ეძლევათ“ (ჯანაშია, 2011:118).

მოსწავლეები ეფექტურად სწავლობენ მაშინ, როცა სწავლება/ სწავლის პროცესში ვიყენებთ მათ შესაძლებლობებზე მორგებულ სწავლის მრავალფეროვან

სტრატეგიებს. ისინი უკეთ იყენებენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, როცა მასწავლებელი დეტალურად აცნობს მოსწავლეებს რა არის გაკვეთილის მიზანი, რა ეცოდინებათ ამის შესწავლის შემდეგ, რაში და სად გამოიყენებენ ამ გაკვეთილზე შესწავლილ მასალას; როცა მასწავლებელი შესწავლის პროცესში ხაზს უსვამს მოსწავლეთა მიგნებებს, ასახელებს ბევრ მაგალითს იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად გაიაზრონ და გაითავისონს ახსნილი მასალა; როცა მასწავლებლის ვერბალურ ახსნას თან ახლავს ვიდეო და აუდიო მასალის ჩვენება/ მოსმენა; როცა იმავე გაკვეთილზე მოსწავლეებისათვის უცნობ ცნებებს მასწავლებელი მათთვის უკვე კარგად ნაცნობ ცნებებთან აკავშირებს და მოსწავლეები ახდენენ ცოდნის ლეგიტიმაციას, ანუ რწმუნდებიან, რომ ამ მასალის შესწავლა მათთვის მართლაც სასარგებლოა.

2.2. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის აუცილებლობა საგაკვეთილო პროცესში.

დიდაქტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა - სწავლების მეთოდთა პრობლემა ყოველთვის იყო და არის აქტუალური, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს ინტერესი კანონზომიერია, რამდენადაც სწავლების მიზნისა და ამოცანების რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული სწავლების სწორად შერჩეულ მეთოდებზე. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ და პრაქტიკამ აჩვენა, რომ საუკეთესოდ მოფიქრებული ამოცანა, შრომა-საქმიანობის რა დარგშიც უნდა იყოს იგი, ზოგჯერ მიუღწეველი რჩება იმიტომ, რომ სწორად არ იყო შერჩეული მისი განხორციელებისათვის საჭირო მეთოდები. იგივე პრაქტიკა გვასწავლის, რომ კარგად შერჩეული მეთოდიც ვერ აღწევს მიზანს, თუ მას საქმის ცოდნით, მოხერხებულად, მარჯვედ და პირობების გათვალისწინებით არ იყენებს ადამიანი. ამიტომაა, რომ „რაც უფრო გააზრებული და გაცნობიერებულია ამ თუ იმ მეთოდის პრინციპები, გამოყენების მიზანშეწონილობა, იმდენად მეტია შრომის ნაყოფიერება. შრომა მიმზიდველი, სახალისო ხდება, ადამიანის აუცილებელ მოთხოვნად იქცევა და გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა მაშინ, როცა იმ პირს, ვინც შრომას ეწევა, სავსებით გააზრებული, გაცნობიერებული აქვს თავისი შრომის არა მარტო მიზანი, საზოგადოებრივი დანიშნულება, არამედ შეუძლია კიდეც ღრმად დასაბუთებული პასუხი გასცეს კითხვას, თუ რატომ იყენებს ამ მეთოდს“ (ლორთქიფანიძე, 1981: 198). ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა სწავლების ისეთი ხერხებისა და მეთოდების პოვნას და მასწავლებლამდე მიტანას, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის მინიმალური ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. „ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხებისა და მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს“ (ლობჟანიძე, 2011: 37).

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი.

სწავლების მეთოდი არის ხერხებისა და საშუალებების ის სისტემა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს ყოველი სასწავლო ამოცანის გადაწყვეტისათვის. ის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემის და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი და საშუალებაა. მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ. სწავლების თითოეულ მეთოდს მოეთხოვება: შემსწავლელისათვის გასაგები, ადვილად მისაწვდომი და დასაძლევი გახადოს სასწავლო მასალა; უზრუნველყოს შემსწავლელის ინტენსიური წინსვლა უმოკლესი გზით არცოდნიდან ცოდნისაკენ; გამოიწვიოს მასში ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, აქტიურობა და ამ გზით ხელი შეუწყოს მოსწავლის შემეცნებითი უნარების განვითარებას; უზრუნველყოს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის განხორციელება პედაგოგიური პროცესის ყველა ეტაპზე; უზრუნველყოს ყოველი ადამიანის ნიჭისა და მიდრეკილების სწორი მიმართულებით განვითარება; გაკვეთილის მთელ მანძილზე ხშირად ისმოდეს კითხვები „საიდან?“ „როგორ?“ „რატომ?“ და ეძებდნენ პასუხს დასმულ კითხვებზე.

სწავლების მეთოდი სასწავლო სიძნელის დაძლევის პროცესს ხდის მიმზიდველს, საინტერესოს. პრობლემის გადაწყვეტა იწვევს მორალურ კმაყოფილებას და ამ საფუძველზე ახალი მოთხოვნილების წარმოშობას მომდევნო სასწავლო ამოცანის დასაძლევად; ხელს უწყობს შეგნებული დისციპლინის, მტკიცე ხასიათისა და სრულყოფილი პიროვნებისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებების აღზრდას მოსწავლეში, მისი შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას და ცოდნის დამოუკიდებელი შეთვისებისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებას; განამტკიცებს სწავლების კავშირს ცხოვრებასთან, ხელს უწყობს მოსწავლის პროფესიულ ორიენტაციას და მის მომზადებას მომავალი პრაქტიკული ცხოვრებისათვის; უზრუნველყოფს ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას სწავლების პროცესში.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში განიხილავენ ორ მიდგომას: ბიჰევიორისტულს და კონსტრუქციულს. ბიჰევიორისტულია მიდგომა, სადაც მოსწავლე მიჩნეულია ცოდნის პასიურ მიმღებად: მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო აქტივობებს, მათი განხორციელების გზებს, ტემპს და თავად აფასებს შედეგებს; საგნის შინაარსი წინასწარაა განსაზღვრული, ლოგიკური თანმიმდევრობით ხდება მისი გადაცემა; მასწავლებლის მიერ მკაცრად კონტროლდება სასწავლო პროცესი, მოსწავლეს მოეთხოვება უფრო მეტად მოსმენა და ა. შ. სწავლების ეს ფორმა დიდი ხანია წარსულში დარჩა. ის ნაყოფიერია მხოლოდ ისეთი მოსწავლეებისათვის, რომლებიც ნაკლებად გამოირჩევიან შემოქმედებითი აზროვნების უნარით და უფრო მიწოდებული მასალის დამახსოვრებისაკენ აქვთ მიდრეკილება.

თანამედროვე კონსტურქტივისტმა მასწავლებელმა, ინგლისური ენის სწავლებისას, უპირველესად, ყურადღება უნდა გაამახვილოს სწავლების კონსტრუქციულ მოდელზე და შექმნას უსაფრთხო საკლასო გარემო; გამოიყენოს აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, სწავლის სტილის და ემოციების გათვალისწინებას. სასწავლო გარემოში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გონებრივი განვითარების ხელშემწყობი მდიდარი რესურსი სხვადასხვა ალტერნატივით, რომელიც გამოიყენება სწავლების სტილის შესაბამისად. იმისათვის, რომ მივიღოთ უკეთესი და უფრო სწრაფი შედეგი, სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამშრომლობითი სწავლა, ფიზიკური აქტივობები, შესაბამისი მუსიკალური ფონი; მნიშვნელოვანია ხელოვნების ჩართვა, კომუნიკაციის დამყარება, მთავარ დეტალებზე აქცენტირება. ასევე მნიშვნელოვანია ჩავრთოთ სახალისო, ამავე დროს, საგანმანათლებლო დავალებები ყოველ გაკვეთილში. ეს მოსწავლეებს სასწავლო საგნების სასიამოვნო გრძნობებთან ასოცირებაში დაეხმარება. ყურადღებას ვამახვილებთ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე - ეს მოსწავლეებს საკუთარი თავისა და ერთმანეთის შეფასების შესაძლებლობას აძლევს. ყველაფერი ერთად სასწავლო პროცესს ხდის უფრო ეფექტურს და მოტივირებულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა ისეთი

ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ჰოლისტურ სწავლას უსაფრთხო გარემოში.

სწორედ ამიტომ ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში გაჩნდა ჰოლისტური სწავლების აუცილებლობა. სწავლების მეთოდთა სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. მათ ისეთივე ძველი ისტორია აქვთ, როგორც თვით სწავლებას. ეს ისტორია იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლიდა სახეს სწავლების დანიშნულება და შინაარსი. ამ საკითხთან დაკავშირებით გავეცნოთ ამერიკელი პროფესორის დიანა ლარსენ-ფრიმენის კვლევას, რომელშიც ის განიხილავს ენის სწავლების რამდენიმე მეთოდს, რომლებსაც ინგლისური ენის მასწავლებლები იყენებდნენ და ეხლაც იყენებენ სასწავლო პროცესში. მისი ნაშრომი ეფუძნება კვლევებს, რომლებიც ჩატარდა ჯორჯთაუნის, ვაშინგტონის, სან ხოსეს, კალიფორნიის, ბოსტონის და მასაჩუსეტის უნივერსიტეტებში.

„გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდი“ ენის სწავლების ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. „მას უწოდებდნენ კლასიკურ მეთოდს, ვინაიდან მისი გამოყენება ხდებოდა ჯერ კიდევ კლასიკური ენების ბერძნულისა და ლათინურის სწავლების დროს” (ლარსენ-ფრიმენ,1986:4). XIX-XX საუკენეებში მისი გამოყენება დაიწყეს უცხო ენების სწავლებისათვის. ამ მეთოდის მიხედვით უცხო ენის სწავლების დროს ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა გრამატიკის სწავლებას და მშობლიურ ენაზე ტექსტების თარგმნას. მეთოდის უმთავრესი ამოცანაა ენის შემსწავლელმა შეძლოს უცხო ენაზე ტექსტების წაკითხვა და თარგმნა. მეთოდისტები მიიჩნევდნენ, რომ გრამატიკული სტრუქტურის კარგი ცოდნა და ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების სწორად თარგმნა სრულიად საკმარისი იყო, იმისათვის, რომ ენის შემსწავლელს უცხო ენა კომუნიკაციისთვის გამოეყენა.

განვიხილოთ აღნიშნული მეთოდი. მოსწავლეები კითხულობენ ინგლისური ტექსტის ფრაგმენტს. თითოეული მათგანი კითხულობს ფრაგმენტის რამდენიმე ხაზს და თარგმნის მშობლიურ ენაზე. მასწავლებელი ეხმარება ახალი სიტყვების თარგმნაში. ფრაგმენტის ბოლოს მოცემულია კითხვები ინგლისურ ენაზე, რომლებსაც მოსწავლეებმა უნდა გასცენ პასუხი. თავდაპირველად ერთი მოსწავლე კითხულობს შეკითხვას, ხოლო მეორე მოსწავლე გასცემს პასუხს. რის შემდეგაც

მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ დანარჩენ კითხვებზე და პასუხებს წერილობით აფიქსირებენ. კითხვები მოითხოვს პასუხებს წაკითხული ტექსტიდან. მოცემულია მხოლოდ ორიოდე კითხვა, რომელიც ითხოვს მოსწავლისგან ვარაუდს და დასკვნას, რითაც მასწავლებლისთვის ნათელი ხდება, როგორ იქნა აღქმული და გაგებული მოსწავლის მიერ წაკითხული ტექსტი. მაგალითად: როგორ ფიქრობთ? რატომ ? აქვე მოცემულია კითხვები, რომლებითაც მოსწავლები გვიყვებიან მათი პერსონის შესახებ.

დავალების შესრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე კითხულობს უკვე დამუშავებულ კითხვა-პასუხს. სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში, მასწავლებელი გამოიძახებს მომდევნო მოსწავლეს, არასწორი პასუხის შემთხვევაში კი მასწავლებელი თვითონ გასცემს სწორ პასუხს.

შემდეგ მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ტექსტის ფრაგმენტში გამოყენებული სიტყვების ჩამონათვალს. სიტყვები შეიცავს მოსწავლეებისათვის როგორც ნაცნობ, ასევე უცნობ სიტყვებსაც. მოსწავლეებს ჯგუფებში ან წყვილებში ევალებათ ამ სიტყვების მშობლიურ ენაზე თარგმნა. იმ შემთხვევაში, თუ სიტყვების მნიშვნელობა ყველასთვის უცნობია, მასწავლებელი ეხმარება მათ. შემდეგ მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებად რამდენიმე სიტყვას, მოსწავლეებს ეძლევათ დავალებად მიუწერონ ამ სიტყვებს ნაწყვეტში გამოყენებული სიტყვების ანტონიმები.

ამ სახის მეცადინეობის შემდეგ მასწავლებელი ხსნის გრამატიკულ მასალას, რის შემდეგაც მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოებს, გამოტოვებულ ადგილებში სვამენ ახალ სიტყვებს ან გრამატიკულ ერთეულებს.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებად ისწავლონ ახალი სიტყვები და ფრაზები.

ლარენს ფრიმანი თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ „მასწავლებლები, რომლებიც ენის სწავლების დროს იყენებენ „გრამატიკულ მთარგმნელობით“ მეთოდს თვლიან, რომ უცხო ენის სწავლების უმთავრესი მიზანი არის სამიზნე ენაზე უცხოური ლიტერატურის წაკითხვა. ამისათვის, მოსწავლეებს სჭირდებათ გრამატიკული წესების ცოდნა და სიტყვების სწავლა (ლარსენ-ფრიმენ,1986:11).

ამ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებამ წარმოაჩინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ძლიერი მხარეა, რომ მოსწავლეები სწავლობენ ინგლისურად კითხვას და მშობლიურ ენაზე წინადადებების თარგმნას, მოსწავლეები სწავლობენ ინგლისურ სიტყვებს, ფრაზებს; უვითარდებათ ინგლისურ ენაზე როგორც კითხვის, ასევე პასუხის გაცემის უნარი; მოსწავლეები სწავლობენ ინგლისური ენის გრამატიკას.

სუსტი მხარეებია:

- მასწავლებელი იყენებს ტრადიციულ მიდგომას, ის არის სასწავლო პროცესის აბსოლუტური მმართველი. ის აკონტროლებს ყველაფერს რაც ხდება გაკვეთილზე, მართავს ყველა აქტივობას, თვითონ საუბრობს გაკვეთილზე და თვითონვე ასწორებს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს. მოსწავლეები ასრულებენ მის მითითებებს, სწავლობენ იმას რაც მასწავლებელმა იცის და არა იმას რისი შესწავლა მათ თავად სურთ. გაკვეთილზე უმეტესად მხოლოდ ერთი მოსწავლე კითხულობს ან თარგმნის ან საუბრობს, სხვა მოსწავლეები კი პასიური მსნენელები არიან. მასწავლებელი განსაზღვრავს რა გააკეთონ მოსწავლეებმა და როდის ილაპარაკონ. სხვა შემთხვევაში მოსწავლეებს არ ეძლევათ ლაპარაკის უფლება. ინტერაქცია მოდის ძირითადად მასწავლებლისაგან. მოსწავლეების მხრიდან ნაკლები ინიციატივაა და მოსწავლეებს შორის ძალიან ცოტა ურთიერთკავშირი.

- მოსწავლეები სწავლობენ ერთი ენიდან სამიზნე ენაზე თარგმნას, სწავლობენ გრამატიკას დედუქციურად, ანუ ეცნობიან გრამატიკულ წესებს, რის შემდეგაც წესების მიხედვით წერენ სხვადასხვა წინადადებას, რომელსაც თარგმიან მშობლიურ ენაზე.

- სალიტერატურო ენას უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება, ვიდრე სასაუბრო ენას. გაკვეთილზე კომუნიკაციისთვის ძირითადად გამოიყენება მშობლიური ენა. სასაუბრო ენა გამოიყენება დაზეპირებული ტექსტების მოსაყოლად. ენის ცოდნის შეფასება ხდება თარგმანების ან გრამატიკული წესების საშუალებით.

- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვების სწავლას და გრამატიკას. მოსწავლეები ჩამოწერენ უცხო სიტყვებს და ფრაზებს, მიუწერენ მათ თარგმანს მშობლიურ ენაზე. რის შემდეგაც მათ ევალებად ამ სიტყვების დაზეპირება. მოსწავლეები ძირითადად მუშაობენ კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე.

მცირე ყურადღება ეთმობა საუბარსა და მოსმენას. წარმოთქმებს ექცევა ძალიან ცოტა ყურადღება ან საერთოდ იგნორირებულია.

- „თუკი მოსწავლეები დაუშვებენ შეცდომას ან არ იციან პასუხი, მასწავლებელი აწვდის სწორ პასუხს“ (ლარსენ-ფრიმენ, 1986:12).

დიანა ლარსენ-ფრიმენი მიიჩნევს, რომ უცხოური ენის სწავლის მთავარი მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ სამიზნე ენაზე ლიტერატურის წაკითხვა; თარგმანი არ არის ეფექტური სავარჯიშო; გრამატიკის დედუქციური მეთოდით წარდგენა არც ისე სასარგებლო მეთოდია. ამ მეთოდით სწავლების დროს ვერ მოხდება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, ვინაიდან მოსწავლეებს არ ეძლევათ საშუალება გაუზიარონ საინტერესო იდეები არც მასწავლებელს და არც კლასელებს, რის შედეგად მოსწავლეებისათვის ეს მეთოდი მოსაწყენი ხდება და მათ ეკარგებათ ენის შესწავლის მოტივაცია.

„პირდაპირი მეთოდის პოპულარობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ „გრამატიკულ მთარგმნელობითი“ მეთოდი ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეებში კომუნიკაციური სამიზნე ენის სწავლებას. პირდაპირ მეთოდს ჰქონდა ერთი უმთავრესი წესი- არავითარი თარგმანი. ტერმინი „პირდაპირი მეთოდი“ გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის დაკავშირებას პირდაპირ სამიზნე ენასთან, მშობლიურ ენაზე თარგმანის გარეშე“(ლარსენ-ფრიმენ,1986:18)

მასწავლებლებს, რომლებიც იყენებენ პირდაპირ მეთოდს სჯერათ, რომ ენის სწავლების დროს მოსწავლეებს სჭირდებათ მნიშვნელობის ასოციაცია და სამიზნე ენის პირდაპირი გამოყენება. ამის მისაღწევად, მასწავლებელი წარადგენს ახალ სიტყვებს და ფრაზებს, ის აკეთებს მათი მნიშვნელობის დემონსტრირებას რეალიების, სურათების და პანტომიმების გამოყენებით. ისინი არასოდეს თარგმნიან მას მოსწავლის მშობლიურ ენაზე. საუბრის დროს უმეტესად ისე იყენებენ სამიზნე ენას, თითქოს ისინი რეალურ სიტუაციაში არიან. სასწავლო პროგრამა ეფუძნება ყოველდღიურ სიტუაციებს (სიტუაცია ბანკში, ქუჩაში, რესტორანში, სასტუმროში, აეროპორტში). მასწავლებლის უმთავრესი მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ კომუნიკაცია და აზროვნება სწორედ სამიზნე ენის გამოყენებით.

მასწავლებელი მუდმივად იყენებს სამიზნე ენას. მოსწავლეებმა არ უნდა გამოიყენონ მშობლიური ენა. მასწავლებელი პასუხობს მოსწავლეების კითხვებზე დაფის გამოყენებით. შინაარსის გადმოსაცემად შესაძლოა ნახატი გამოიყენოს ან მოიყვანოს მაგალითები. მისი მიზანია მოსწავლე აკეთებდეს პირდაპირ კავშირს სამიზნე ენასა და მნიშვნელობას შორის, მშობლიურ ენაზე თარგმანის გარეშე.

მოსწავლეები სწავლობენ სამიზნე ენაზე აზროვნებას, სიტყვების დაუფლება ხდება უფრო ბუნებრივად, მოსწავლე იყენებს მათ სრულ წინადადებებში და არ უხდება სიტყვების ჩამონათვალის მექანიკურად დამახსოვრება.

ენის სწავლების მიზანია კომუნიკაცია. ამიტომაც, მოსწავლეები სწავლობენ კითხვების როგორც დასმას, ასევე პასუხის გაცემას სრული წინადადებების გამოყენებით. ეს აძლევს მათ შესაძლებლობას გაავარჯიშონ, როგორც ახალი სიტყვები, ასევე გრამატიკული სტრუქტურები. გაკვეთილი უნდა შეიცავდეს კონვერსაციულ აქტივობებს, რომლებიც აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოიყენონ ენა რეალურ კონტექსტში.

ამ მეთოდის მიხედვით, წარმოთქმებს ექცევა მნიშვნელოვანი ყურადღება. მასწავლებელი უსწორებს მოსწავლეებს არასწორად წარმოთქმულ სიტყვებს შეცდომის დაშვებისთანავე. გრამატიკა ისწავლება ინდუქციურად, წესების წინასწარ გაცნობის გარეშე. სწავლებისას მასწავლებელი აქცენტს აკეთებს ოთხივე სამეტყველო უნარის განვითარებაზე, თუმცა ზეპირი მეტყველების განვითარება დომინირებს სხვა უნარებზე. ამიტომაც კითხვისა და წერითი აქტივობები ეფუძნება მასალას, რომელსაც მოსწავლეები თავდაპირველად იყენებენ ზეპირი სახით. სიტყვების წარმოთქმასაც ექცევა ყურადღება საწყისი ეტაპიდან.

„მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, შესაძლებლობის შემთხვევაში ცდილობს მოსწავლეებს შეცდომები თავად გაასწორებინოს“(ლარსენ-ფრიმენ,1986:26).

გაკვეთილზე მასწავლებელი ხშირად იყენებს ხმამაღლა კითხვის მეთოდს, „მოსწავლეები რიგრიგობით ხმამაღლა კითხულობენ მოთხრობის ნაწყვეტს, პიესას ან დიალოგს. ისინი არ თარგმნიან ტექტს, იმისათვის, რომ მოსწავლეები ჩაწვდნენ

შინაარს, გაიგონ უცხო სიტყვების მნიშვნელობები მასწავლებელი იყენებს ჟესტებს, სურათებს, რეალურ საგნებს ან სხვა საშუალებებს“(ლარსენ-ფრიმენ,1986:26).

მოსწავლეები თავად ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს, ამისათვის მასწავლებელი მიმართავს სხვადასხვა ხერხს. 1) მოსწავლის მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაში, სთავაზობს მოსწავლეებს პასუხის ორ ვარიანტს. მოსწავლე ირჩევს მისი შეხედულებით სწორს. 2) მასწავლებელი იმეორებს მოსწავლის მიერ ნათქვამს კითხვითი ინტონაციით, რათა მიანიშნოს დაშვებულ შეცდომაზე. 3) მასწავლებელი იმეორებს მოსწავლის ნათქვამს და ჩერდება ზუსტად დაშვებულ შეცდომასთან. მოსწავლე ხვდება, რომ ის რაც მასწავლებელმა თქვა პაუზის შემდეგ არასწორი იყო.

ამ მეთოდით აქტუალურია კარნახით წერა. მასწავლებელი კითხულობს მოთხრობის ნაწყვეტს სამჯერ. თავდაპირველად ის მოსწავლეებს უკითხავს ჩვეულებრივი ტემპით, მოსწავლეები უსმენენ. მეორედ ის უკითხავს მას სიტყვა-სიტყვით, ხანგრძლივი პაუზებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მოსმენილის დაწერა. მესამე ჯერზე მასწავლებელი ისევ ჩვეულებრივი ტემპით წაიკითხავს ნაწყვეტს და მოსწავლეები კი ამოწმებენ დაწერილ კარნახს.

სავსებით ვეთანხმები მკვლევარ დიანა ლარსენ-ფრიმენს, რომ ინგლისური ენის სწავლების მიზანი უნდა იყოს: ვასწავლოთ მოსწავლეებს კომუნიკაცია სამიზნე ენის გამოყენებით; მოვერიდოთ მშობლიური ენის სისტემატურ გამოყენებას; დიალოგი ავაგოთ ყოველდღიური თემატიკის გამოყენებით. მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა თავად გაასწორონ საკუთარი შეცდომები; გაკვეთილზე გამოვიყენოთ კითხვა-პასუხის მეთოდი, დავაწერინოთ მოსწავლეებს კარნახი, გრამატიკა ვასწავლოთ ინდუქციურად.

აუდიო ლინგუალურმა მეთოდმა მოიპოვა პოპულარობა მე 20 საუკუნის 60-იან წლებში. ის ეფუძნება, როგორც ბიჰევიორისტულ, ასევე კონსტუქტივისტული სწავლების თეორიას. ბიჰევიორისტული სწავლების თეორიის მიხედვით, ენის სწავლება, ისევე როგორც ნებისმიერი უნარის დაუფლება, არის უბრალოდ ჩვევების ფორმირების პროცესი. სწორი ენობრივი ჩვევები ყალიბდება სწორი სიტყვების და გრამატიკული მაგალითების სისტემატური გამეორებით. სტუქტურული

ლინგვისტიკა აკეთებს აქცენტს 3 ენობრივ სისტემაზე: ფონემური (ბგერები), მორფოლოგიური (სიტყვათწარმოება) და სინტაქსური (გრამატიკა). ლინგვისტები მიიჩნევენ, რომ ენის სწავლება გულისხმობს წესებს, იმის შესახებ თუ როგორ მოვახდინოთ ენის საბაზისო ელემენტების კომბინირება, დაწყებული ბგერებით დამთავრებული წინადადებით.

აუდიო ლინგუალური მეთოდი ხელს უწყობს ინგლისური ენის გამოყენებას ყოველდღიური სიტუაციებისათვის. ის საშუალებას გვაძლევს დავეხმაროთ შემსწავლელს ახალი ჩვევების ფორმირებაში, რაც შეიძლება განვითარდეს მანამ, სანამ ენის გამოყენება არ გახდება ავტომატური პროცესი, შემსწავლელს არ შეეძლება რეაგირება ნებისმიერ წინადადებაზე თუ კითხვაზე ავტომატურად, დაფიქრების გარეშე. ამის მიღწევა შესაძლებელია მუდმივი ვარჯიშის შედეგად.

ენის სწავლებისა და კომუნიკაციის დროს გამოიყენება მხოლოდ სამიზნე ენა. სიტყვების თარგმანის ნაცვლად, მასწავლებელი იყენებს ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, ნახატებს და სხვა სახის ვიზუალურ დამხმარე მეთოდებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავად აღიქვან ახალი სიტყვების თუ ფრაზების მნიშვნელობა. გრამატიკა ისწავლება ინდუქციურად. თავდაპირველად მოსწავლეები ხედავენ გრამატიკას ტექსტებსა და დიალოგებში, შემდეგ კი ვიშველიებთ გრამატიკულ წესებს. გრამატიკის სწავლების დროს დაცულია მკაცრი თანმიმდევრობა, თავდაპირველად ვაცნობთ მარტივ სტრუქტურებს, შემდეგ კი რთულს.

ზემოთ განხილული მეთოდებისაგან განსხვავებით ამ მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია სწორი გამოთქმები, დიდი დრო და ყურადღება ეთმობა წარმოთქმების დამუშავებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეთოდი ითვალისწინებს ოთხივე სამეტყველო უნარის: მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერის განვითარებას, თუმცა უპირატესობა ენიჭება ზეპირი და მოსმენითი უნარებს. რაც შეეხება კითხვას და წერას, მათი დამუშავება ხდება უფრო მოგვიანებით. მეთოდის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ უცხო ენის სწავლება უნდა ხდებოდეს ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ხდება მშობლიური ენის სწავლება, ჯერ მოსმენა, შემდეგ კი საუბარი, კითხვა და წერა.

„გამოთქმებს ექცევა ყურადღება საწყისი ეტაპიდანვე, უმეტესად მოსწავლეები სწორ გამოთქმებს უცხოურ ენაზე სწავლობენ სპეციალურ აუდიო ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებში/ ენის ლაბორატორიებში“ (ლარსენ-ფრიმენ,1986:44).

მნიშვნელობა ენიჭება ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკას და თემატიკას. ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი შეგვიძლია შევადაროთ ორკესტრის დირიჟორს, რომელიც ხელმძღვანელობს მუსიკოსებს. ის ხელმძღვანელობს ყველა აქტივობას, როგორც ჯგუფურ, ასევე წყვილებში და ინდივიდუალურ მუშაობას. ხდება დიალოგების გათამაშება. მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომას მაშინვე, და თავად არის გამოთქმების კარგი მოდელი.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე არის წამყვანი, მაკონტროლებელი, ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცეში, ისინი სწავლობენ დიალოგს და როლებით წარმოადგენენ პრეზენტაციას, მისდევენ მასწავლებლის ინსტრუქციას, აკეთებენ მისი ან აუდიო კასეტის იმიტაციას, რაც შეიძლება მეტი სიზუსტით.

მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის ინტერაქციას. ის ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელი მოსწავლე ილაპარკებს, როდის ილაპარაკებს, ვის დაელაპარაკება და რა თემაზე. დიალოგი ინტერაქციულია, მაგრამ მოსწავლეები შეზღუდული არიან თემატურად, ისინი ვერ სცილდებიან მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დიალოგს. არ ეძლევათ შემოქმედებითი უნარის გამოვლენის საშუალება, მართული არიან მასწავლებლის მიერ. ამიტომ მოსწავლეთა ინტერაქცია ამ მხრივ შეზღუდულია. ისინი ესაუბრებიან ერთმანეთს ჯაჭვურად ან ნასწავლ დიალოგებში. ასეთი სახის დიალოგი არ მოიცავს რეალურ კომუნიკაციას.

აუდიო ლინგუალური მეთოდი ძირითად აქცენტს აკეთებს ზეპირი უნარების: მოსმენისა და ლაპარაკის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში ის ვერ ითვალისწინებს ენის შემსწავლელთა იმ კატეგორიას, რომელთაც ვიზუალური მეხსიერება აქვთ. ასეთ მოსწავლეებს მოსმენილი ტექსტის თვალით დანახვა სჭირდებათ. ვფიქრობთ, რომ მეთოდის წარმატებას განსაზღვრავს მოსწავლეთა ინდივიდუალური

თავისებურებების გათვალისწინება, რასაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მოცემული მეთოდი.

მოსწავლეებს ასევე სჭირდებათ აქტივობები, სადაც მათ დაზეპირებული ფრაზების გამეორების ნაცვლად შეეძლებათ იმპროვიზაცია, ნასწავლი სიტყვების, ფრაზების, წინადადებების რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოყენება.

განხილული მეთოდების საპირისპიროდ გვინდა წარმოვადგინოთ ენის სწავლების **თანამედროვე კომუნიკაციური მეთოდი.** მისი შექმნა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მეთოდისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდენ „გრამატიკულ მთარგმნელობითი“ და „აუდიო ლინგუალური“ მეთოდების მიმართ. მართალია ამ „მეთოდებით მოსწავლეები სწავლობენ ენის გამოყენების წესებს, მაგრამ ვერ ახერხებენ ენის გამოყენებას“ (ლარსენ-ფრიმენ,1986:123). ისინი ახერხებდნენ სწორი წინადადებების შექმნას საგაკვეთილო პროცესში, თუმცა ვერ იყენებდნენ მათ სათანადოდ გაკვეთილის გარეთ, რეალურ სიტუაციებში. კომუნიკაციური მეთოდი დამკვიდრდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. მისი მიზანია სწორედ კომუნიკაციური უნარების განვითარება. ამ მეთოდის მიხედვით:

- კომუნიკაციური უნარები გულისხმობს იცოდე ენა და შეგეძლოს მისი გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში;
- მოსწავლეები ისწავლიან უკეთ, თუკი მიეცემათ შესაძლებლობა წაიკითხონ ან გაიგონონ ენა, გამოიყენონ რეალურ სიტუაციებში. ამიტომაც, უკანასკნელ პერიოდში უცხოური ენის შეწავლისას სულ უფრო პოპულარული ხდება როლური თამაშები და სიმულაციები;
- საუბრის დროს ნაკლებად ექცევა ყურადღება სიზუსტეს, უპირატესობა ენიჭება თავისუფლად მეტყველებას. „მნიშვნელოვანია არა ის თუ რამდენად სწორად საუბრობს მოსწავლე, არამედ ის თუ რამდენად თავისუფლად შეუძლია მას სამიზნე ენის გამოიყენებით საუბარი“(ლარსენ-ფრიმენ,1986:129);
- მოსწავლეებს ვასწავლით ენის გამოყენებას და აღქმას წინასწარი მომზადების გარეშე, საუბრის, წერის, მოსმენისა და კითხვის საშუალებით.

კომუნიკაციური ენის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ენა არის თვითგამოხატვის საშუალება. ის ძირითადად გამოიყენება ინტერაქციისა და კომუნიკაციისათვის.

დაუშვებელია ენის სწავლება ცალკეული წინადადებებით, უმჯობესია მისი სწავლება დიალოგებით, ინტერვიუებით, ტექსტებით.

კომუნიკაციური მეთოდის მიზანია: მოსწავლეებმა შეძლონ კომუნიკაცია სამიზნე ენის გამოყენებით; აღიქვან ახალი ცოდნა და გამოიყენონ რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში, შეძლონ ინფორმაციის და აზრების გაცვლა; განუვითარდეთ თანაბრად ოთხივე სამეტყველო უნარი.

მეთოდის მიმდევრების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, სასწავლო პროგრამის შერჩევა მოსწავლეების სურვილით უნდა ხდებოდეს. ამიტომაც სილაბუსი არის მოქნილი და შემსწავლელზე ორიენტირებული.

მეთოდის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია ის, რომ მოსწავლეებში აღვიძებს უცხო ენაზე კომუნიკაციის სურვილს და რესურსად საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან, ვიდეო რგოლებიდან აღებულ ავთენტურ მასალას.

კომუნიკაციური აქტივობების სამი საერთო დამახასიათებელი თვისებაა: მივცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება, ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა და უკუკავშირი. ეს მოსწავლეებს ანიჭებს მეტ პასუხისმგებლობას, აძლევს არჩევანის საშუალებას. მასწავლებელი არის არა უბრალოდ პროცესის მმართველი არამედ, ის არის ფასილიტატორი, ანალიტიკოსი, მრჩეველი, მენეჯერი და მოსწავლეც. მისი მოვალეობაა ხელი შეუწყოს კომუნიკაციის პროცესს მოსწავლეებს შორის, სხვადასხვა აქტივობებისა და ტექსტების საშუალებით.

გაკვეთილზე დასაშვებია მშობლიური ენის გამოყენება, თუმცა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. უმეტესად ყოველთვის გამოიყენება სამიზნე ენა, არა მხოლოდ კომუნიკაციური აქტივობების დროს, არამედ ინსტრუქციების მიცემის დროსაც.

ბუნებრივია, სწავლების ყოველი მეთოდი განპირობებულია სწავლა-აღზრდის მიზნებით და ამ მიზნების შესაბამისად განსაზღვრული სწავლების შინაარსით. მაგრამ მათი შერჩევისას აუცილებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომების გათვალსიწინება. „ის რაც ეფექტურია მოსწავლეთა ერთი ჯგუფისთვის, შესაძლოა არ იყოს ეფექტური ენის შემსწავლელთა სხვა ჯგუფისათვის“ (გირლინგერ, 1999: 92).

განსხვავებული მიდგომები და მეთოდები გვაძლევს შესაძლებლობას, გავითვალისწინოთ მეთოდთა მრავალფეროვნება, შევარჩიოთ კონკრეტული მიზნისათვის ყველაზე ეფექტური და შესაფერისი. მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, გაგებას, გააზრებას, პრაქტიკაში გამოყენებას, მოსწავლეთა ურთიერთობის, თანამშრომლობის სტიმულირებას. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება, მონოტონურობა და ერთფეროვნება მოსაწყენია, იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს სასწავლო პროცესში.

სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ფიზიკური გარემო, სადაც ჩვენ ვსწავლობთ და ვასწავლით. ტრადიციულ კლასებში არის მერხები, რომლებთანაც მოსწავლეები სხედან პასიურად და უსმენენ მასწავლებელს. ჯენსენი ამტკიცებს, რომ რესურსებით მდიდარი გარემო ააქტიურებს ტვინის ყველა უჯრედს. აუცილებელია, ასევე, ტექნოლოგიური ზონის არსებობა, რომელიც ყოველთვის იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. „ასეთი ზონის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლე ფიქრობს, რომ სკოლა თანამედროვე ტექნოლოგიებით მდიდარი ადგილია. ტექნოლოგიურ ზონაში შეიძლება მოხვდეს ყველაფერი - დაწყებული გამომთვლელი მანქანებიდან, ვიდეოგადამღების, პროექტორისა და კომპიუტერის ჩათვლით“ (ნიჟარაძე, 2011: 6).

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. აუცილებელია მოსწავლეს შევუწყოთ ხელი თავისი სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებაში, ვასწავლოთ განსხვავებული ალტერნატიული მიდგომები, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეს, განავითაროს თავისი უნარები და დადებითად განეწყოს სასწავლო პროცესის მიმართ. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს დადებითი და პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ, რადგანაც ეს შესაძლებელია გავრცელდეს საგნის მიმართ დამოკიდებულებაზეც, ისე, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს გაცნობიერებული, რატომ და როგორ ხდება ამ სახის დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

„გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართვას აქტივობაში. თუ ახალი აქტივობის მიმართ მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება“ (ჯანაშია, 2011: 69).

მოსწავლეებისათვის გაკვეთილი მოსაწყენია, თუკი არ არის მუდმივი კომუნიკაცია და დიალოგი. ამიტომაც, მოსწავლეები უნდა ჩავრთოთ საკმაოდ საინტერესო სასწავლო პროცესში, ისეთი სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც მოითხოვს მათგან აქტიურობას, ჩართულობას და აზროვნებას.

ამრიგად, სწორად შერჩეული სასწავლო მეთოდები, მიმზიდველი სასწავლო გარემო მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, ცოდნისმოყვარეობას, აზროვნების, ფიქრის და აღმოჩენებისაკენ უბიძგებს მათ. აქ განმსაზღვრელია ის შინაგანი ინტერესი, რომელიც მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს. შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ: დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა, ზოგჯერ არჩევანის უფლების მინიჭება, თამაშის ტიპის სახალისო აქტივობებში ჩართვა სასწავლო პროცესში, წერილობითი ან სიტყვიერი შექება, პიროვნული ურთიერთობები. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება, მონოტონურობა და ერთფეროვნება მოსაწყენია, იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს სასწავლო პროცესში. უმნიშვნელოვანესია, რომ პედაგოგი სისტემატურად მუშაობდეს დადებითი სასწავლო ატმოსფეროს და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამგვარი აქტივობების ჩატარებას პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს და არ დარჩეს წელიწადში ჩატარებულ ცალკეულ შემთხვევად.

2.2.1. ჯგუფური მუშაობის პრიორიტეტები უცხოური ენის შესწავლაში

უცხოური ენის სწავლების ეფექტურობას ხშირად განაპირობებს სწავლება/სწავლის სხვადასხვა სტრატეგია. სტრატეგია არის მეთოდების განხორცილების საშუალება, ხერხი. მეთოდთა და სტრატეგიათა კომბინაციამ აუდიტორიაში უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას და მოსწავლეებში კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას. ეს სტრატეგიებია: კითხვისა და წერის, გონებრივი იერიშის, სიუჟეტურ-როლური თამაშები, პედაგოგიური სიტუაცია, პროექტი და სხვა. დასახელებული აქტივობები ხელს უწყობს მოზარდებში სხვადასხვა ტიპის უნარების განვითარებას: დაძაბულობის მოხსნას, მოსწავლეთა მაქსიმალურ კონცენტრაციას გაკვეთილის თემისადმი, ჯგუფში მუშაობას.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში წარმოუდგენელია ინგლისური ენის გაკვეთილი ინტერაქციული სწავლების გარეშე, რომელიც „ხელს უწყობს მოსწავლის საქმიანობის გააქტიურებას; პრობლემის გადაჭრის გზის დამოუკიდებელ ძიებას; ქმნის აქტიური საქმიანობის ხელშემწყობ ემოციურ-ნებელობით ფონს; ამყარებს მუდმივად მოქმედ პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირებს სწავლების სისტემასა და სწავლებას შორის; მასწავლებელი ხდება მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ორგანიზატორი და კონსულტანტია“ (სოროკუპოვი, 2011: 208)

ინტერაქტიული სწავლება ერთდროულად წყვეტს შემდეგ პრობლემებს: განავითარებს კომუნიკაციის უნარს, ეხმარება ემოციური კავშირის შექმნას მოსწავლეებს შორის; უზრუნველყოფს მოსწავლეებს საჭირო ინფორმაციით, რომლის გარეშე შეუძლებელია ერთობლივი საქმიანობა; განავითარებს ერთობლივად სწავლის უნარ-ჩვევებს; უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პრობლემების გადაწყვეტას, ასწავლის გუნდურ მუშაობას, სხვისი მოსაზრების მოსმენას, ხელს უწყობს ღირებულებების დადგენას. ეს ყველაფერი კი გასათვალისწინებელია ინგლისური ენის სწავლა- სწავლების პროცესში.

როდესაც ვსაუბრობთ ინტერაქციური მეთოდების დანერგვის აუცილებლობაზე, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო გარემოს ერთ-ერთ ღერძს

ჯგუფური მუშაობა წარმოადგენს. „ეს არის საკლასო ორგანიზაციის ის ფორმა, რომელმაც, სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეს დიდი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს და, ამასთან, დიდი სიამოვნებაც მიანიჭოს“ (ნიჟარაძე, 2011:43). თუ მასწავლებელს მიზნად აქვს დასახული კომუნიკაციური მეთოდის გამოყენება, უნდა დადგინდეს, რამდენად მზადაა იგი ინტერაქტიული გაკვეთილისათვის, არის თუ არა იმის საშუალება, რომ გაკვეთილზე გამოყენებულ იქნას ენა ცოცხლად. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ჯგუფური მუშაობისათვის აუცილებელი აქტივობები, რომლებიც გულისხმობს რეალურ კომუნიკაციას და არა უბრალოდ დიალოგების პრეზენტაციას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს: მოტივაციის ამაღლებას და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ანუ კომუნიკაციისა და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. „ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეები წყვილებად, სამ ან მეტ კაციან ჯგუფებად არიან დაყოფილი და ერთობლივად წყვეტენ პრობლემას, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებას ან განიხილავენ სადავო საკითხს. ჯგუფური მუშაობა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი მოსწავლის მიერ მეორისათვის დახმარების აღმოჩენას. ჯგუფური მუშაობა გულისხმობს თანამშრომლობით ურთიერთობას ჯგუფის წევრებს შორის“ (ნიჟარაძე 2011:42). ჯგუფებში მომუშავე ბავშვები არიან უფრო კრეატიული და მოტივირებული, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობის დროს. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებს - ერთობლივად დაძლიონ ბევრად უფრო რთული პრობლემები, ვიდრე ამას შეძლებდნენ მარტო მუშაობის დროს.

თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის კარგი ურთიერთობის დამყარებას, ამცირებს შიშს, აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, აქტიურად ჩაერთონ სასწავლო აქტივობებში და თავი იგრძნონ ჯგუფის სრულყოფილ წევრებად. ჯგუფებში მუშაობა შესაძლებლობას აძლევს მათ, „გაეცნონ თანატოლების განსხვავებულ შეხედულებებს და შეეკამათონ და გამოიწვიონ ისინი. პიაჟესა და ვიგოტსკის მიაჩნიათ, რომ ასეთი კამათი და დისკუსია აუცილებელია, რათა მოსწავლეები კოგნიტურად განვითარდნენ“ (ჯანაშია, 2011: 109-110).

„ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაა, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაც. კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას: იაზროვნონ, ილაპარაკონ და ჰყავდეთ მსმენელი. ამისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი საუბრის, თხრობის მოსმენა. ჯგუფური მუშაობის დროს იზრდება პროდუქტიულობა და შესრულებული სამუშაოც ბევრად უფრო ხარისხიანია. ჯგუფი, რომელიც კარგად თანამშრომლობს, აღწევს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობის შემთხვევაში. პრაქტიკულ აქტივობებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბევრად უფრო მეტი უნარი, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ასწავლონ ერთმანეთს და ისწავლონ ერთმანეთისაგან, ასევე, საკუთარი აზრები გაუზიარონ სხვებს და განიხილონ ისინი სხვებთან ერთად. გუნდის წევრობა ეხმარება მოსწავლეებს გუნდური მუშაობის ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცაა ლიდერობა, პასუხისმგებლობა, მოტივაცია. ამ უნარების განვითარება აუცილებელია მათი სამომავლო პერსპექტივისათვის პროფესიულ საქმიანობაში, თანამშრომლებთან წარმატებული ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა მოემზადონ მომავალი რეალური ცხოვრებისათვის, სადაც მათ მოუწევთ განსხვავებული ტიპის ადამიანებთან მუშაობა, რომელთაც აქვთ განსხვავებული შეხედულებები და უნარები.

ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე ინგლისური ენის მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის წესებს, დავალების თემას, ანაწილებს ფუნქციებს, უსაზღვრავს დროს, აცნობს შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობა ისე უნდა დაგეგმოს, რომ უზრუნველყოს ჯგუფის თითოეული წევრის ჩართულობა.

როცა ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებად თემას „როგორ დავეხმაროთ მეგობარს წვეულების მოწყობაში“, „ ვიზრუნოთ უსახლკარო ცხოველებზე“, „როგორ მოვაწყობდი ბავშვთა გასართობ პარკს“ ვუვითარებთ მათ ისეთ უნარებს, როგორიც არის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება,

პრობლემის მოგვარება, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, კონფლიქტების გადაჭრა, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა. ხდება საკითხის სიღრმისეული განხილვა და შესწავლა, მაღლდება პასუხისმგებლობისა და თვითშეფასების უნარი. იმისათვის, რომ გაკვეთილის ამ მოდელისაგან მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, მასწავლებლები ცდილობენ ჯგუფური მუშაობის ეფექტურად მართვას. ამგვარ აქტივობებში მოსწავლეები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს მათთვის არის სახალისო, პროდუქტიული, მოსწავლეები ბევრად უფრო მეტი მოტივაციით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში.

სმიტი თავის კვლევაში „Group work benefits pupils“ („ ჯგუფური მუშაობის სარგებელი მოსწავლეებისათვის“. თარგმანი ავტორისეულია) გვთავაზობს კვლევის შედეგებს. მოსწავლეები, რომლებიც ჯგუფურად მუშაობენ, ბევრად უფრო სწრაფად აღწევენ პროგრესს, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობის დროს. „მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში. ის არ ტოვებს ჯგუფს მარტო, თუმცა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად, მისი უშუალო ჩარევის გარეშე იმუშაონ და თავად მიიღონ გადაწყვეტილებები“ (სმიტი, 2006:1). დაუშვებელია, მასწავლებელი ამ დროს იდგეს დაფასთან და აწვდიდეს მოსწავლეებს ზღვა მასალას. პედაგოგი ეტაპობრივად უნდა ხსნიდეს ახალ მასალას, შემდეგ კი მოსწავლეებს აძლევდეს მისი ჯგუფურად დამუშავების და განხილვის შესაძლებლობას.

სწავლის სოციალური ხასიათის მნიშვნელობაზე საუბრობს ვიგოტსკიც: „სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენას დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. საკლასო ოთახში ცოდნის სოციალურად აგება მოიცავს მოსწავლეებისა და მასწავლებლის ერთობლივ, აქტიურ მუშაობას, რომელიც ახალი ინფორმაციისა და მოვლენების უკეთ გაგებას ისახავს მიზნად. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება დაავალოს მუშაობა წყვილებში ან პატარა ჯგუფებში, რათა მათ განიხილონ, ახსნან, გააანალიზონ, გამოიკვლიონ და იკამათონ სხვადასხვა თემებზე“ (ჯანაშია, 2011: 109).

ინგლისური ენის სწავლების პროცესში ჯგუფურ მუშაობას ბევრი სიძნელე ახლავს, განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე. მოსწავლეები ხშირად ხმამაღლა კამათობენ,

ყვირიან, უბრაზდებიან ერთმანეთს. მასწავლებელს უჩნდება სურვილი, მკაცრად ჩაერთოს ამ პროცესში და შეწყვიტოს ჯგუფური მუშაობა, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს აბსოლუტურად მისაღები გარემოა. ეტაპობრივად ხმაურიანი კამათი და დისკუსია გადაიზრდება საკმაოდ ნაყოფიერ სამუშაო პროცესში (სმიტი, 2006:1).

უცხო ენის შესწავლის დროს ჯგუფური მუშაობა გვაძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეს მისცეს ბევრად უფრო რთული დავალება, ვიდრე ინდივიდუალური მუშაობის დროს. მასწავლებელი ზოგავს დროს, ვინაიდან ცალკეულ მოსწავლეთა გამოკითხვა ბევრად უფრო მეტ დროს მოითხოვს. მას ეძლევა შესაძლებლობა შეაფასოს ჯგუფის მიერ შესრულებული ნამუშევარი, ცალკეული მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების შემოწმების ნაცვლად.

„ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ჯგუფის წევრებს შორის აზრების გაზიარების უნარი. ხშირად მოსწავლეებს აქვთ რამდენიმე მიდგომა საკითხის მიმართ, და როგორც ცალკეულ ინდივიდს, ჯგუფის წევრს უჭირს გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება. თუმცა, ერთიან გუნდში მუშაობის დროს, ჯგუფის წევრებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ერთმანეთს უცხო ენაზე გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები როგორც რაიმე საკითხის სასარგებლოდ, ასევე, წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობს დავალების უფრო სრულყოფილად შესრულებას და დასახული ამოცანის უფრო წარმატებულად განხორციელებას“ (მოლტრი ბელჩერ, 2015:1).

უცხო ენის შესწავლისას ჯგუფური მუშაობის კიდევ ერთი ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები ახერხებენ საკითხის გადაჭრას ბევრად უფრო სწრაფი ტემპით. „როდესაც ჯგუფი იწყებს მუშაობას გარკვეული საკითხის ირგვლივ, ის ბევრად უფრო სწრაფად და ეფექტურად ახერხებს დასახული ამოცანის განხორციელებას, ვიდრე ამას შეძლებდა ცალკეული მოსწავლე ინდივიდუალურად მუშაობის დროს“ (მოლთრი ბელჩერ. 2015: 1).

ჯგუფი ყოველთვის შედგება სხვადასხვა უნარის მქონე ბავშვებისაგან. საკუთარ პრაქტიკაში ჯგუფური მუშაობის ორგანიზების დროს ვცდილობ ჯგუფი დავაკომპლექტო როგორც ძლიერი, ასევე, სუსტი წევრებისაგან. ასეთი ტიპის

ჯგუფში როლები ისე ნაწილდება, რომ ძლიერ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დაეხმაროს სუსტ მოსწავლეს და უზრუნველყოს მისი ჩართულობა. ჯგუფის წარმატება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთ მოსწავლეზე. ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში წარმატება დამოკიდებულია ჯგუფის ყველა წევრზე და მიღწეული ერთიანი მუშაობის შედეგია. აღნიშნული ტიპის აქტივობები ზრდის პასუხისმგებლობას. მოსწავლე ცდილობს იყოს გაკვეთილისათვის მზად, ვინაიდან მისი კომპეტენტურობა განსაზღვრავს არა მარტო მის პირად წარმატებას, არამედ მთელი გუნდის წარმატებასაც. როდესაც ეს ფაქტი გაცნობიერებული აქვს ჯგუფის თითოეულ წევრს, ისინი უკეთ ემზადებიან გაკვეთილისათვის, ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დავალებას და ცდილობენ მის დროულად შესრულებას“ (ვაიმერი, 2013:1). ამიტომაც, საკმაოდ მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების სწორი გადანაწილება. მასწავლებელმა ყოველთვის იცის თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები, ის უნდა შეეცადოს მოსწავლეებს მისცეს დავალება, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეულ მათგანში ინდივიდუალური უნარების გამოვლენას.

საწყის ეტაპზე ჯგუფების დაყოფა და გადაადგილება იწვევს ხმაურს. თუმცა ეტაპობრივად მოსწავლეები ეჩვევიან მას და გადაადგილების პროცესი ხდება სწრაფი და მარტივად სამართავი. როდესაც მოსწავლეებს ვაძლევთ შესაძლებლობას თავად შეარჩიონ ჯგუფის წევრები, ისინი უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებს. ამას აქვს თავისი დადებითი მხარე: „ბავშვები მეტი სიამოვნებით მუშაობენ თავიანთ მიერვე შერჩეულ პარტნიორებთან“ (ნიჟარაძე, 2011: 49), გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას, საკუთარ თავზე იღებენ ინიციატივას და ასრულებენ დავალებას უფრო სწრაფად. მაგრამ ამ შემთხვევაში არ სრულდება ჯგუფური მუშაობის მნიშვნელოვანი პრინციპი _ სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარება, თანამშრომლობა, ლიდერობა, კომუნიკაცია, განსხვავებული აზრის მოსმენა, დისკუსია და ა. შ. ამიტომ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შერეული, ჰეტეროგენული ტიპის დაჯგუფება, განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების შემადგენლობით. ასეთ შემთხვევაში განსხვავებული უნარებისა და

აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეებს მიეცემათ ერთმანეთთან თანამშრომლობის საშუალება.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეთა უბრალოდ ჩართვა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ეს მიზნები იქნება წარმატებით მიღწეული. ჯგუფურ მუშაობას ახლავს უარყოფითი შედეგებიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის არ არის ისე დაგეგმილი და ორგანიზებული.

„მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს“ (ნიჟარაძე, 2011:47). ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა სახის დაჯგუფებებს, მოსწავლეები შესაძლოა დავყოთ შემთხვევითი დაყოფის პრინციპით ან თავად მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემის უფლებით. ვყოფთ მათ წყვილებად, სამეულებად, მცირე (4-5 მოსწავლე) და დიდ (6 ან მეტი მოსწავლე) ჯგუფებად. თუმცა ავღნიშნავდით, რომ პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ყოველთვის ვანიჭებთ უპირატესობას 3-4 წევრისგან შემდგარ მოსწავლეთა ჯგუფს, ვინაიდან ამ ტიპის ჯგუფის მართვა ბევრად უფრო ადვილია. აქ ნაკლები ხმაური და კონფლიქტია, ყველა მოსწავლე აქტიურად ჩართულია, არავინ ცდილობს დაიმალოს ძლიერი მოსწავლის უკან. ვაძლევთ თითოეულ მოსწავლეს განსხვავებულ როლს და ვცდილობთ დავყოთ სამუშაო თანაბრად მოსწავლეებს შორის. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია და განიხილოს ჯგუფის წევრებს შორის, მეორე წერს დისკუსიის შედეგებს, სხვა აკეთებს შენიშვნებს, რომ მოემზადოს სიტყვისათვის და ა. შ. მოსწავლეები ცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას განხილვის დროს. ისინი უსმენენ ერთმანეთს, განიხილავენ რამდენიმე ვარიანტს, სხვადასხვა ვერსიას, აანალიზებენ და აჯამებენ ყველა მათგანს. თუმცა, არსებობს რისკი, რომ უმრავლესობის აზრმა შესაძლოა გადაფაროს, იგნორირება გაუკეთოს სხვა მოსწავლის შესაძლოა ბევრად უფრო ლოგიკურ, უკეთეს იდეას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ პროცესს, რათა არ მოხდეს ცალკეულ ინდივიდთა აზრების უგულებელყოფა.

ჯგუფური მუშაობის პოტენციალი მთლიანად არაა გამოკვლეული და, მით უფრო, არც ათვისებული. თუმცა მისი ზოგიერთი უპირატესობა საკლასო ორგანიზაციის სხვა ტიპებთან აშკარაა: იზრდება თითოეული მოსწავლის

ჩართულობა გაკვეთილზე; „მცირე ჯგუფში მუშაობა უფრო ნაკლებ ფსიქოლოგიურ საფრთხეს მოიცავს მოსწავლისათვის, ვიდრე პასუხის გაცემა ან საკუთარი აზრის გამოხატვა მთელი კლასის წინაშე. მცირდება მასწავლებლის მაკონტროლებელი როლი და, შესაბამისად, მოსწავლეს ენიჭება არჩევანის მეტი თავისუფლება, რაც ავითარებს დამოუკიდებელი სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს“ (ნიჟარაძე, 2011: 44).

ჯგუფური მუშაობის შედეგად მოსწავლეებს უძლიერდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა: რთული ამოცანის დაყოფა ნაწილებად და საფეხურებად; დროის დაგეგმვა; კონკრეტული საკითხის ღრმა წვდომა დისკუსიისა და ახსნა-განმარტების საფუძველზე; რთულ სიტუაციებში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება; კომუნიკაციური უნარ-ჩვეევების გაძლიერება. ჯგუფური პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ის აძლევს მათ შესაძლებლობას, თავი გაართვან ისეთ რთულ პრობლემებს, რომელთა მოგვარებას მარტო ვერ შეძლებდნენ. აქ თავს იჩენს: როლებისა და პასუხისმგებლობის დელეგირება; სხვადასხვა პერსპექტივის და გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება; ალტერნატიული იდეებისა და შეხედულებების განზოგადება; ერთმანეთთან ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება; სოციალური მხარდაჭერის მიღება და ერთმანეთის მხარდაჭერა სხვადასხვა სარისკო სიტუაციაში; პრობლემის გადაწყვეტის ახალი მიდგომების გამოვლენა და განვითარება. თანატოლებთან ურთიერთობა ხელს უწყობს საკუთარი პერსპექტიული უნარების განვითარებას.

რა თქმა უნდა, ჯგუფური მუშაობა ავითარებს ყველა ზემოთ აღნიშნულ უნარს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი სწორად დაგეგმავს და მართავს სასწავლო პროცესის იმ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობის უნარების განვითარებას. რაც უფრო ნაცნობი ხდება ჯგუფური მუშაობის ფორმა ბავშვებისათვის, მით უფრო ნაკლები პრობლემები ექმნებათ მათ და უკეთ ახერხებენ უპირატესობებით სარგებლობას.

აღნიშნული ჯგუფური მუშაობის თავისებურებები ეფექტურ შედეგს იძლევა უცხოური ენის შესწავლის დროს. მაგალითად, უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი სტრატეგიაა პროექტების მომზადება. ვცდილობთ თემატიკა დავაკავშიროთ სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასთან და პროექტის თემა შევარჩიოთ მოსწავლეთა ინტერესების გათვალსიწინებით, მაგ: „ვიზიტი ზოოპარკში“, „ვიზიტი მუზეუმში“, „პიკნიკი მეგობრებთან ერთად“, „კარნავალი საახალწლო ზეიმისთვის“, „ცხოვრება უკაცრიელ კუნძულზე“, „საინტერესო ზღვის ცხოველები“, „შემოდგომა სოფელში“, „ზაფხულის არდადეგები“, „ბავშვების საყვარელი გასართობი აქტივობები“, „საყვარელი კერძის მომზადება“ და სხვ. აღნიშნულის ორგანიზებაში ასევე ეფექტურად გამოიყენება ჯგუფური მუშაობა. ჯგუფური პროექტები აღრმავებს ცოდნას, მოსწავლე ცდილობს მოიპოვოს ახალი ინფორმაცია უცხო ენაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ახალი სიტყვებისა და ლექსიკური ერთეულების დაუფლებას. მოსწავლე ახარისხებს მასალას, ამოწერს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. მოსწავლე ეჩვევა უცხო ენაზე კითხვას, შინაარსის გაგებას, მასალის დახარისხებას, მისთვის საინტერსო მასალის ამოკრებას/ამოწერას, სიტყვების თარგმნას. მოსწავლეები პროექტზე მუშაობენ წყვილებად ან ჯგუფებად. ეს კი ამავე დროს ხელს უწყობს და აძლიეერბს კომუნიკაციურ უნარებსაც. „ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეები ბევრად უფრო სწრაფად ასრულებენ სამუშაოს. როდესაც მოსწავლეები იწყებენ პროექტზე ერთობლივად მუშაობას, ის შესაძლოა დასრულდეს უფრო სწრაფად და ბევრად უფრო ეფექტურად, ვიდრე ამას შეძლებდა ერთი მოსწავლე“ (მოლთრი ბელჩერ, 2015:1).

მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის დროს არის ინფორმაციის წყარო, ფასილიტატორი, ზოგჯერ - თანამონაწილეც. ბუნებრივია, მისი მონაწილეობა არ უნდა იყოს რომელიმე ჯგუფის დომინირების მიზეზი, პირიქით, მაქსიმალურად ხელს უნდა უწყობდეს მათ მუშაობას. დაუშვებელია, მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში უბრალოდ იდგეს და უხსნიდეს კლასს გარკვეულ მასალას. ეს არის სწავლების საკმაოდ მოძველებული და არაეფექტური მეთოდი. ამიტომ, როდესაც ჯგუფი იწყებს მუშაობას, მასწავლებელი ხდება დამკვირვებელი. ყურადღებას აქცევს ყველაფერს, რაც ხდება კლასში. მოძრაობს მერხებს შორის და ცდილობს იყოს მათთვის ინფორმაციის წყარო, ფასილიტატორი, გეზის მიმცემი. არ

ერევა სამუშაო პროცესში, თუკი არ არის ამის განსაკუთრებული საჭიროება. მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ დაეყრდნონ მასწავლებელს, ის ყოველთვის არის მზად დაეხმაროს მათ. როცა საჭიროა ჯგუფის გამხნევება და გააქტიურება, მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს სამუშაო პროცესში მოსწავლეებთან ერთად, როგორც ჯგუფის წევრი. თუკი მოსწავლეები არასწორი მიმართულებით მიდიან ის აძლევს მათ ინსტრუქციას და ეხმარება სხვადასხვა რჩევით.

ვსაუბრობთ რა ჯგუფური მუშაობის სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტურობაზე, არ ნიშნავს, რომ მთელი სასწავლო პროცესი უნდა ავაგოთ ჯგუფური მუშაობის პრინციპებზე. თუმცა, ის უნდა იყოს სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ინგლისური ენის შესწავლის პროცესში ჯგუფური მუშაობის გამოყენების ეფექტურობის დადგენის მიზნით ჩავატარეთ კვლევა ქალაქ ბათუმის კერძო და საჯარო სკოლებში (№ 1, 2, 3, 4, 5, 6 ,7, 8, 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 22 , 25, შპს „სკოლა-ევრო 2000“, შპს „სკოლა-ლიცეუმი-მასტერკლასი“, ბათუმის საერო ელიტარული სკოლა „გორდა“, შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა). გამოვიკითხეთ, როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები. მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეხედულებები ჯგუფური მუშაობის გამოყენების ეფექტურობის შესახებ დადასტურდა, თუმცა არ დაემთხვა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეხედულებები ჯგუფური მუშაობის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით. ანუ, მასწავლებელთა უმეტესობას გაცნობიერებული აქვს ინგლისური ენის შესწავლის პროცესში ჯგუფური მუშაობის უპირატესობები, მაგრამ ჯგუფური მუშაობის ორგანიზების სირთულის გამო მას ნაკლებად იყენებენ გაკვეთილზე. ჩვენს მიერ გაკეთებულ აღნიშნულ დასკვანას ამყარებს ჯგუფური მუშაობის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგები.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოვიკითხეთ 200 მოსწავლე. გამოკითხულთაგან 90% აღნიშნავს, რომ მოსწონს უცხო ენის შესწავლის პროცესში კლასის ორგანიზების ეს მოდელი, მოსწავლეები აცნობიერებენ აღნიშნული საგაკვეთილო მოდელის ამ

ფორმის ეფექტურობას. წარმოგიდგენთ მათ შეხედულებებს ჯგუფური მუშაობის შესახებ:

* ჯგუფური პრეზენტაციები გულისხმობს ერთმანეთის კონკურენციას. მოსწავლეებს სურთ იყონ გამარჯვებულნი. მასწავლებელი აწესებს ჯილდოს საუკეთესო თხზულებისთვის, ყველაზე საინტერესო იდეისთვის. კონკურენციის ელემენტები გვაძლევს მოტივაციას - ვიყოთ წარმატებული;

* ჯგუფებს შორის ხორციელდება კონკურენცია, რის გამოც საკუთარი ჯგუფის ინტერესების წარმოჩენა გვასწავლის ჯგუფის წევრებს შორის თანამშრომლობას;

* ეს ძალიან ეფექტურია მორცხვი მოსწავლეებისათვის, რომლებსაც არ აქვთ პრობლემის მოგვარების გამოცდილება სხვებთან თანამშრომლობის გზით;

* მოსწავლეები ჯგუფში მუშაობის დროს მარტივად წყვეტენ ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ, რადგან ჯგუფის წევრები ეხმარებიან ერთმანეთს;

* ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ბევრ საინტერესო იდეას, რომლებიც ხელს უწყობს გარკვეული საგნის შესახებ ცოდნის გაღრმავებას, წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარის განვითარებას;

* ის ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, ვინაიდან მთელი ჯგუფის წარმატება, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია თითოეული ჯგუფის წევრის უნარებსა და მიღწევებზე;

* სხვებთან ერთად მუშაობა სასიამოვნოა, განსაკუთრებით, როდესაც ვმუშაობთ რთულ დავალებებზე;

* ჯგუფის წევრები ვეხმარებით ერთმანეთს და თვითშეფასება მაღლდება, შენ უფრო დაცული ხარ, რადგან არ ხარ მარტო;

* ეს უფრო სახალისო, საინტერესო და მოტივაციის მომცემია;

* სხვებთან მუშაობა ბევრად უფრო მოსახერხებელია;

* ჯგუფური მუშაობა გაძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა აქტივობასა და შეჯიბრში;

* გეძლევა შესაძლებლობა ურთიერთობა გქონდეს ჯგუფის სხვა წევრებთან;

* მუშაობ მეგობრებთან ერთად და იძენ გამოცდილებას.

როგორც კვლევამ აჩვენა, ჯგუფურ მუშაობას აქვს ბევრი დადებითი მხარე, თუმცა მოსწავლეთა 10% აქვს უარყოფითი დამოკიდებულება სწავლების ამ ფორმის მიმართ. ისინი უპირატესობას ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ მუშაობას ანიჭებენ. ამის დასასაბუთებლად, მოჰყავთ საკუთარი არგუმენტები. მათი მოსაზრებით, გარკვეულ დავალებაზე მარტო მუშაობა უმჯობესია შემდეგი მიზეზების გამო:

- ზოგჯერ ჯგუფური მუშაობა მიდის კონფლიქტამდე და ის ხდება ძალიან ხმაურიანი; ზოგიერთი ჯგუფის წევრი არ იზიარებს შენს აზრებს, ამიტომაც ხდება შენი იდეების იგნორირება; ჯგუფური მუშაობა ხმაურის გამომწვევია, ვინაიდან ამ დროს ყველა ერთად ლაპარაკობს;
- მარტო მუშაობის დროს ეჩვევი პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას სხვების დახმარების გარეშე, ეს გაძლევს შესაძლებლობას იყო დამოუკიდებელი;
- არავინ გაწყვეტინებს, არავინ გიშლის ხელს, არავინ გაკარგვინებს დროს;
- შენ არ ექცევი სხვების იდეებისა და შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ;
- დროის მართვა მიადვილდება, როდესაც ვმუშაობ მარტო;
- გარკვეულ ამოცანაზე კონცენტრირება უფრო მარტივია, როდესაც ვმუშაობ მარტო;
- არ გაქვს კონფლიქტი სხვა მოსწავლეებთან;
- ბევრი მოსწავლისათვის ჯგუფური მუშაობა სულაც არ არის საგანმანათლებლო პროცესი - ეს მათთვის თამაშია, რომელიც აძლევს შესაძლებლობას დრო გაიყვანონ გაკვეთილზე.

აღნიშნული შეფასების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ზოგჯერ მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას. სასურველია, მასწავლებელმა გააანალიზოს ჯგუფური მუშაობის პრინციპები მოსწავლეებთან ერთად. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ჯგუფური მუშაობა, მართალია ხშირ შემთხვევაში იწვევს ხმაურს, მაგრამ ეს არის რეალურად ნაყოფიერი, საქმიანი ხმაური, რადგანაც ისინი კამათობენ მნიშვნელოვან საკითხებზე და ერთობლივად ცდილობენ იპოვონ პრობლემების გადაჭრის გზები. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მიზეზიც. ჯგუფებად გადანაწილებამ შესაძლოა ვერანაირი სარგებელი მოუტანოს

მოსწავლეებს, თუ „ჯგუფური მუშაობა სწორად არ არის დაგეგმილი და ორგანიზებული. მაგრამ, თუკი ჯგუფური მუშაობა სწორადაა დაგეგმილი, ფუნქციები განაწილებულია, მასწავლებელი ფასილიტატორის როლშია, მაშინ მარტივად ხდება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დადებითი უნარის განვითარება“ (ვაიმერი, 2013:1).

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა თუ რამდენად ხშირად იყენებენ სწავლების ორგანიზების ჯგუფურ მოდელს ინგლისური ენის მასწავლებლები. მოსწავლეებთან ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა 70% არ იყენებს უცხო ენის სწავლების დროს ჯგუფური მუშაობის მოდელს, და ამის მიზეზს თვისობრივი კვლევიდან გამომდინარე წარმოადგენს ჯგუფური მუშაობის ორგანიზების სირთულე.

კვლევის პროცესზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რაც უფრო ნაცნობი ხდება მოსწავლეთათვის ჯგუფური მუშაობის პრინციპები, მით უფრო ნაკლები პრობლემები ახლავს ჯგუფში მუშაობის პროცესს და მათ ეძლევათ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა; მოსწავლეებს უვითარდებათ: გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის ერთობლივად მოგვარების, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, ურთიერთშეთანხმება/ თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, კონფლიქტების მოგვარების, თვითშეფასების უნარები. მაღლდება პასუხისმგებლობის გრძნობა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ხდება მოსწავლეთა სრული ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და მასალის სიღრმისეული წვდომა. გაკვეთილი ბევრად უფრო პროდუქტიული და სასარგებლო, მოსწავლე კი - გაცილებით მოტივირებული და წარმატებული.

2.2.2. თამაშის როლი სწავლების პროცესში

თამაში აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ბევრი გამოჩენილი პედაგოგი მას მიიჩნევს სწავლების ეფექტურ საშუალებად. ის ამაღლებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას, სასწავლო პროცესს ხდის სახალისოს და საინტერესოს. სწავლა თამაშით ყველა ასაკის ბავშვისათვის პროდუქტიულია. ამგვარი მიდგომა სასურველ შედეგს იძლევა არა მხოლოდ გონებრივი, არამედ სოციალური, ემოციური და მეტყველების განვითარების თვალსაზრისით.

თამაშის გამოყენება სწავლების პროცესში უზრუნველყოფს სწავლის მაღალ ხარისხს, რადგან მოსწავლეების ჩართულობა მაღალია. შემეცნებით ინტერესებზე აგებული სწავლა ამ საქმიანობის ყველაზე საუკეთესო ვარიანტია. თუკი მოსწავლეს უშუალოდ სწავლის პროცესში აქტივირებული აქვს იმის გაგებისა და ათვისების მოთხოვნილება, რასაც სწავლობს, ის სრულიად ბუნებრივად, ხალისით იქნება ამ საქმეში ჩართული და მისგან მოწყვეტა გაუჭირდება. სწორედ ამიტომაა საჭირო სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით, უცხო ენის სწავლებისას თამაშების გამოყენება. მათი საშუალებით სასწავლო პროცესი მარტივი, სასიამოვნო და სახალისო ხდება.

თამაშმა, როგორც ადამიანური ცხოვრების არაჩვეულებრივმა მოვლენამ და სწავლების ერთ-ერთმა საშუალებამ, უხსოვარი დროიდან მიიპყრო ფილოსოფოსების, პედაგოგებისა და სხვა მკვლევრების ყურადღება. პლატონი თამაშს მიიჩნევდა სასარგებლო საქმიანობად, სწავლების ძირითად და უნივერსალურ საშუალებად. არისტოტელე თამაშში ხედავდა სულიერი წონასწორობის, ჰარმონიის წყაროს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას მოზარდის ინტელექტის განვითარებაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თამაშის შესწავლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. მკვლევრებმა (უ. მაკდაუგოლი, გ. მერფი, ფ. ი. ბენტენდეი) წამოაყენეს თეზისი, რომ თამაში არის „სოციალური ინსტინქტი“, დამახასიათებელი ყველა ადამიანისათვის. დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს თამაშის თეორია, როგორც თვითგამოხატვის საშუალება (ჟ. პიაჟე და სხვ.). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თამაში ალამაზებს ცხოვრებას. ა.მაკარენკო თვლიდა, რომ „კარგი თამაში“ უზრუნველყოფს საქმიანობის

მაღალ ეფექტურობას და ამასთან, ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, რადგან ახდენს ადამიანზე ფიზიკურ, ემოციურ, ინტელექტუალურ, სულიერ ზემოქმედებას, ანიჭებს სიხარულს (ესთეტიკურ, შემოქმედებით სიხალისეს); ზრდის მონაწილეთა პასუხისმგებლობას (თავდგირიძე, 2009: 95). თამაშში სრულად და ზოგჯერ მოულოდნელადაც ვლინდება ბავშვის შესაძლებლობები. ეს არის უნიკალური საშუალება, სასწავლო პროცესი გავხადოთ საინტერესო და მომზიდველი, როგორც ძლიერი, ასევე, აკადემიურად სუსტი მოსწავლისათვის. თამაში იძლევა საშულებას მოსწავლემ გამოავლინოს არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ გამჭრიახობა, საზრიანობა. თამაშში ბავშვები ლახავენ მორცხვობის გრძნობას, თანასწორნი ხდებიან. დ. უზნაძე თავისი თეორიის ფარგლებში აშუქებს ბავშვის თამაშისა და სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ფუნქციას. უზნაძის აზრით, „ყველა ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას მოძრაობა, აქტიურობა შეადგენს. არ არის აუცილებელი, რომ ცოცხალი ორგანიზმის ასამოქმედებლად მასზე რაიმე გამაღიზიანებელი ზემოქმედებდეს. ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი თავისებურებაა მასში არსებული ძალების მოქმედება, აქტივობა. ამ თავისებურებას, უზნაძის განმარტებით, ფუნქციონალური ტენდენცია ჰქვია. თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალებისა და შესაძლებლობების განვითარება, რომელიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის განხორციელების საფუძველი ხდება“ (პროფესიული უნარები, 2008:126). უზნაძე თამაშს ადამიანის შინაგან, ინტროგენულ ქცევის ფორმას უწოდებს. სასკოლო ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ცხოვრებაში დიდ ადგილს სწავლა იკავებს, არანაკლები დრო ეთმობა თამაშს, განსაკუთრებით, ფიზიკურ თამაშებს. ამასთან, სკოლის ასაკის ბავშვებიში თამაში სპეციფიკურ სახეს იძენს.

ინგლისური ენის სწავლების დროს, ეფექტურია თამაშის სხვადასხვა სახე: სიმულაციური და მულტიმედიური თამაშები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, ასევე გამოვიყენებთ ტრადიციულ თამაშებს, რომლებიც ეფუძნება მეთოდურ სახელმძღვანელოებს და საგანგებოდ მოსწავლეებისათვის არის შექმნილი. სასწავლო პროცესში თითოეული თამაში სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს. ფიზიკური თამაშები

ბავშვის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. ისინი ხელს უწყობს არა მარტო ჯანსაღი და ძლიერი სხეულის ფორმირებას, არამედ ნერვული სისტემის ჩამოყალიბებასა და ტვინის ფუნქციონირების სწორ მიმოქცევას. უცხო ენის სწავლებისას არა მხოლოდ კითხვა, წერა და მოსმენაა საჭირო, არამედ შესაძლებელია ახალი სიტყვების სწავლება და გამოკითხვა სხვადასხვა თამაშის გამოყენებით. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი სახის აქტივობა:

თემა: თვეები და თარიღები. მოსწავლეებს ერთმანეთის თანმიმდევრობით ვასწავლით ჯერ თვეების სახელებს: January, February, March , April, May, June, July, August, September, October, November, December; შემდეგ - რიგობით რიცხვით სახელებს- First, second, third, fourth, fifth და ა.შ.; ბოლოდ კი ვასწავლით თარიღების სწორად დასახელებას, მაგ: The first of January, The second of March, The third of May და ა.შ.

შემდეგ გამოგვყავს ყველა დაფასთან და ვთხოვთ განლაგდნენ დაბადების თვეების თანმიმდევრობის მიხედვით, ანუ იანვარში დაბადებულები იქნებიან პირველები და დეკემბერში დაბადებულები ბოლოს. დაფასთან გამოსულ თითოეულ მოსწავლეს ვთხოვთ დაგვისახელონ თავიანთი დაბადების დღეების სწორი რიცხვი და თვე. მოცემული აქტივობა გვაძლევს შესაძლებლობას გავავარჯიშოთ თვეების დასახელება, რიგობითი რიცხვითი სახელები და თარიღები.

თემა: ოჯახის წევრები. დავყოფ მოსწავლეებს წყვილებად ან მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ვურიგებ დასურათებულ ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია ოჯახის წევრების სურათები. მოსწავლეები ქმნიან Family Tree-ს. თითოეული სურათის გასწვრივ სიტყვიერად წერენ ოჯახის წევრების გამომხატველ სიტყვებს: grandfather, grandmother, father, mother, brother, sister, son, daughter, uncle, aunt და ა.შ.

შემდეგ ვავალებთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია მათ მიერ შერჩეულ კლასელებზე, ვის რამდენი ოჯახის წევრი ჰყავს. მოსწავლეები გვიზიარებენ მოპოვებულ ინფორმაციას. მოცემული აქტივობა ხელს უწყობს, როგორც ახალი სიტყვების დაუფლებას ასევე შემდეგი გრამატიკული კონსტრუქციის „ Have got“ -ის გავარჯიშებას.

სოციალური თამაში - თამაშის დროს ბავშვები გაუაზრებლად სწავლობენ სოციალურ წესებს, მორალს, სხვისთვის აზრებისა და იდეების გაზიარებას ინგლისურ ენაზე; ურთიერთობიდან გამომდინარე, თავისთავად უყალიბდებათ სოციალური ღირებულებები: სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, ერთმანეთის აზრის პატივისცემა. ასაკის მატებასთან ერთად, ხდება ბავშვის სოციუმთან ადაპტაცია.

ბავშვებს ხშირად იპყრობს მოუსვენრობა, თუკი დიდხანს უწევთ ერთ ადგილას ჯდომა. ამიტომაც, სასურველია, ზოგჯერ პედაგოგმა მისცეს მათ მოძრაობის შესაძლებლობა. თუკი ასეთი ტიპის აქტივობები ხშირად იქნება გამოყენებული სასწავლო პროცესში, მოსწავლეები შეძლებენ წყნარად ჯდომას სხვა ტიპის აქტივობების დროსაც. თამაშით სწავლებას შემდეგნაირად ვიყენებ: შესწავლილი და შესასწავლი თემატიკის გათვალისწინებით წინასწარ ვადგენ (შეიძლება მათთან ერთად) სცენარს, ვანაწილებ როლებს. თამაშის დროს მოსწავლეები თავად ქმნიან და ანხორციელებენ, აკეთებენ რეალობის იმიტაციას. დასრულების შემდეგ ერთობლივად განვიხილავთ თამაშს.

სიუჟეტურ-როლური თამაში არის პატარა სპექტაკლი, თეატრალიზებული წარმოდგენა. სიუჟეტურ როლური თამაშები სწავლების ისეთი ფორმაა, როდესაც მოსწავლე შესასწავლ ინფორმაციას ეცნობა, იკვლევს და ითვისებს გასათამაშებელი როლის მომზადების და შესრულების პროცესში. „ფსიქოლოგებს და პედაგოგებს დაფიქსირებული აქვთ მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი მხატვრული და ისტორიული შინაარსის თამაშებისადმი, რომლებიც მოითხოვენ ისტორიული მოვლენების შედარებით ზუსტ ასახვას იმპროვიზაციისა და ფანტაზიის ელემენტებით“ (ბასილაძე, 2005: 17).

უცხო ენის შესწავლის დროს თამაში სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი სავარჯიშო, რომელშიც მობილიზებულია ყველა მოთამაშე. შემოდის ახალი ლექსიკური მასალა, მტკიცდება ძველი და ვსწავლობთ ახალ სიტყვებს, იქმნება ემოციურად კომფორტული გარემო, იზრდება ინტერესი უცხო ენის შესწავლისადმი. ამასთან ნებისმიერი თამაში არის დრამატული ნაწარმოები, სიუჯეტი, კონფლიქტებითა და მოქმედი პირებით. თამაში რეალური ცხოვრების ანარეკლია.

მაგალითად, იმპროვიზირებული რადიო ან ტელეგადაცემა მიძღვნილი განსაზღვრულ თემაზე, მინივიქტორინები, მინიკონკურსები. ტელეგადაცემა „ ყველაზე ჭკვიანი“. განსაკუთრებით ეფექტურია როლური თამაშების გამოყენება. ასეთი ტიპის თამაშები ხელს უწყობს უცხო ენაზე მეტყველების უნარ- ჩვევების განვითარებას. მოსწავლეები სწავლობენ უცხო სიტყვებს, აგებენ შესაბამის გრამატიკულ ფორმებს, პრაქტიკულად იყენებენ ახალ ფრაზებსა და გამოთქმებს, თავს გრძნობენ მოთხრობის გმირებად და მათი ქცევებიც ადეკვატურად იცვლება.

თამაში შეჯიბრის პირობებში ხორციელდება, რაც გულისხმობს გარკვეული წესებისა და პირობების დაცვას. შედეგად, მოზარდი გაითავისებს საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ წესებს და ნორმებს, რაც ეხმარება მას სოციალური ურთიერთობებისა და ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებაში.

„ნამდვილ თამაშს ყოველთვის აქვს მიზანი და დანიშნულება. თამაში სახალისოა და ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას. თამაშებს აქვს გამაერთიანებელი ბუნება, ამიტომაც მათი გამოყენება საკმაოდ ეფექტურია. ის ხელს უწყობს ენობრივი სტრუქტურების და ლექსიკური ერთეულების კონსოლიდაციას და განმტკიცებას“ (კანტი, 1997:9). თამაშს აქვს სხვა უამრავი დადებითი თვისება, რაც შემდეგში აისახება: თამაში ავლენს მოსწავლეთა ინტერესებს; ხელს უწყობს მოსწავლეთა კოგნიტურ განვითარებას; იძლევა საშუალებას დავაკვირდეთ მოსწავლეთა ქცევას და გრძნობებს; ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენას თანატოლებთან მუშაობის დროს; თამაშის საშუალებით გაკვეთილი მრავალფეროვანი ხდება; იძლევა შესაძლებლობას წარიმართოს ეფექტური სასწავლო პროცესი უსაფრთხო გარემოში.

თამაშის შერჩევის დროს აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება: თამაშს უნდა ჰქონდეს ლინგვისტური ღირებულება; უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი და დანიშნულება; მასში უნდა მოხდეს ყველა მოსწავლის ჩართვა; აქტივობა უნდა იყოს მარტივად განსახორციელებელი და სახალისო; თამაშების გამოყენება შესაძლებელია როგორც მთელი კლასის, ისე თითოეული ბავშვის ენობრივი მონაცემების შეფასების მიზნით.

ზოგიერთი სახის აქტივობა მოსწავლეთა ფიზიკურ მონაწილეობას მოითხოვს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხმაურის გამომწვევია. სასურველია, ასეთი თამაშებისთვის გამოიყოს შესაბამისი გარემო - სათამაშო მოედანი ან სასკოლო სპორტული დარბაზი. ან, უბრალოდ, შერჩეული იყოს ისეთი კლასი, საიდანაც გამოსული ხმაური ხელს არ შეუშლის სხვა კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

დაწყებითი კლასის ბავშვებთან ასევე ვიყენებეთ ე.წ. კონსტრუქტიულ თამაშებს. სიტყვა "construct" - ნიშნავს აშენებას, აგებას. ბავშვები მათ გარშემო არსებული საგნებით ცდილობენ მათთვის სასურველი საგნების შექმნას, მაგალითად, ცათამბჯენების, კოშკების, ქალაქების, სარკინიგზო მაგისტრალების. კონსტრუქტიული თამაშები თავისთავად ასწავლის ბავშვებს გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები მშენებლობასა და დიზაინში, გააკეთონ სიტყვიერი კომენტარები ინგლისურად. საინტერესოა, ამ მიზნით როგორ, რა ლოგიკით შეუსაბამებენ და დაუკავშირებენ ერთმანეთს ამა თუ იმ სათამაშო ფიგურას, რა კომბინაციას შეარჩევენ. ყოველივე ეს აწვდის ბავშვს საწყის ცოდნას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ააშენო რაღაც, დახატო ან შექმნა რაიმე. ამასთან, აძლევს ბავშვებს შესაძლებლობას - განაგონ და მათთვის სასარგებლოდ გამოიყენონ გარშემო არსებული საგნები, სხვადასხვა ფორმის სათამაშო ფიგურები აღიქვან არა მხოლოდ არსებული ფორმით, არამედ მეტი ფუნქცია მიანიჭონ და მათი შეერთებით შექმნან ერთი მთლიანი საგანი. ბავშვები, რომლებსაც მსგავსი თამაშები სიამოვნებთ, სიტყვებს, აზრებს და შინაარსსაც ადვილად უკავშირებენ ერთმანეთს და მათი განვითარების დონეც მაღალია. პირველ-მეორე კლასელებთან, უმეტეს შემთხვევაში, უმჯობესია გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის ფიგურები, ნახატები ან სქემები, მაგალითად, მზე, ობობა, რვაფეხა, სხვადასხვა სახის , „სიცილაკი“ და ა. შ.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი გავხადოთ უფრო სახალისო და საინტერესო სასურველია დამატებითი აქტუალური თემატიკის გამოყენება. ის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, თავისუფლად გამოიყენონ ენა და ისაუბრონ თავიანთი ასაკობრივი ინტერესების ამსახველ სფეროსთან დაკავშირებით; მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს კომუნიკაციის, პრობლემების განხილვის, ინფორმაციის მოპოვება-გაზიარების თუ სამყაროთი დაინტერესების საშუალებას.

თემატურმა მუშაობამ, შესაძლოა, სამიზნე ენა და აქტივობები დააკავშიროს ისეთ სფეროებს, რომლებიც ეხება მოსწავლის სასწავლო გამოცდილებას. მათი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესში უფრო ღრმად იქნას განხილული გარკვეული საკითხები და გაკვეთილიც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს.

გაკვეთილზე ვცდილობთ დავადგინოთ რომელია ბავშვებისთვის ყველაზე საყვარელი დღესასწაული და შესაბამისად შევურჩიოთ მასთან დაკავშირებული სახალისო აქტივობები. დღესასწაულებთან დაკავშირებული აქტივობა ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას. ბავშვებს საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ. დღესასწაული ხელს უწყობს კულტურათაშორისი ცნობიერების განვითარებასაც; მსგავსი აქტივობები გვაძლევს შესაძლებლობას - გავაფართოოთ ინგლისური ენის გამოყენების არეალი, გავცდეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას და ენობრივ ერთეულებს. მოსწავლეებმა ეს აქტივობები შეიძლება კოსტუმირებულიც გახადონ, გამოიყენონ ფანტაზია და გამოიგონონ საკუთარი გმირები, მოიტანონ სხვადასხვა ფოტო, კოლაჟები, თოჯინები, ნიღბები.

დღესასწაულებთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლა სახალისო და ადვილია განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსწავლეები ჩართულია ისეთ აქტივობებში, როგორიცაა: პატარა წარმოდგენა, როლური თამაშები, დიალოგები, ლექსები, სიმღერები. ვინაიდან ასეთი აქტივობა საკმაოდ მრავალფეროვანია, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ისწავლონ ახალი სიტყვები, მათი ცოცხალ გარემოში გამოყენებით.

მაგალითისთვის ავიღოთ დაბადების დღე, რომელიც ბავშვებისთვის განსაკუთრებულად დადებითი ხასიათის, სახალისო და საყვარელი დღესასწაულია. ეს თამაში გვაძლევს შესაძლებლობას მოსწავლეებს ვასწავლოთნ დაბადების დღესთან დაკავშირებული სიტყვები, რიცხვები, თვეების სახელები, წლები, შეგრძნებებთან ასოცირებული სიტყვები და ა. შ. ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ საჩუქრებზე საუბარი. კარგია თუკი დავინტერესდებით, დავუსვამთ კითხვებს დაბადების დღის აღნიშვის, საჩუქრების აღწერასთან დაკავშირებით. როგორი საჩუქრები უყვართ ან სურთ მიიღონ დაბადების დღეზე. მოსწავლეები

დაფაზე ჩამოწერენ სასურველი საჩუქრების სიას, იქვე დახატავენ სასურველ საჩუქარს და ისაუბრებენ მის შესახებ. ასევე, შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს დაბადების დღის წვეულებისთვის მოსაწვევი ბარათების გაკეთება, სადაც მითითებული იქნება როგორც დაბადების დღე, ასევე, მისი აღნიშვნის დრო და ადგილი. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაბადების დღის მოსაწვევების დარიგების ინსცენირებაც შესთავაზოს, სადაც თავად იუბილარი აირჩევს ფოსტალიონს, რომელიც მოსაწვევებს დაურიგებს მოწვეულ სტუმრებს.

თამაში უფრო ხშირად გამოიყენება სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში. თამაშის, როგორც სწავლების მეთოდის, გამოყენებისას, მასწავლებელმა უნდა ისარგებლოს შემდეგი რეკომენდაციით: შეეკითხეთ თქვენს თავს: „რა უნდა ასწავლოს ამ თამაშმა ჩემს მოსწავლეებს?“ ეს შეკითხვა ეხმარება მასწავლებელს თემისა და თამაშის სიუჟეტის განსაზღვრაში; ამ შეკითხვაზე პასუხი ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრასაც. შევარჩიოთ სახალისო პერსონაჟები ისე, რომ მათი რაოდენობა დაემთხვეს მოსწავლეთა რაოდენობას. წინასწარ მოვიფიქროთ პერსონაჟებისათვის სახელი, პროფესია, ასაკი, მოქმედების ადგილი, დრო, პრობლემა. კვანძის გახსნა შეიძლება მოსწავლეებს თავად მივანდოთ. იქედან გამომდინარე თუ რა ცოდნა უნდა მისცეს თამაშმა მოსწავლეებს და რა უნარები განუვითაროს, შევიმუშავოთ შეფასების სისტემა, რაც საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევუფასოთ თითოეულ მოსწავლეს მათი მიღწევები ინგლისურ ენაში.

ამრიგად, თამაში გვეხმარება ინგლისური ენის შესწავლის პროცესი გავხადოთ ეფექტური, მოსწავლეებს მივცეთ თავისუფალი აზროვნების საშუალება უცხო ენაზე, ვასწავლოთ რეალური ცხოვრებისეული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის გზების ძიება; განუვითაროთ მოსწავლეებს სწორი წარმოთქმების, კითხვისა და წერის უნარები. თამაში გაკვეთილის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი დამხმარე ხერხია, რომელიც აღვიძებს, აძლიერებს მოსწავლეში შესასწავლი მასალისადმი ინტერესს; სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის საინტერესო და შინაარსიანი, ტექსტი, ახალი სიტყვები, ფრაზები უკეთ აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. თამაში, როგორც სწავლების მეთოდი ატარებს, როგორც საგანმანათლებლო, ასევე აღმზრდელობით და განმავითარებელ ფუნქციას.

2. 3. სასწავლო რესურსისა და თვალსაჩინოების როლი ენის შესწავლის დროს

სასწავლო რესურსი სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. ამიტომაც ეთმობა მას ცალკე თავი ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სადაც ვკითხულობთ „სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის (ესგ, შესავალი, 2016: თავი II, მუხლი 8), რაც შესაბამისად ასახულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. სასწავლო პროცესში მათ შორის ინგლისური ენის სწავლების დროს, გამოიყენება: ელექტრონული რესურსები და თვალსაჩინოება. ელექტრონული რესურსებია: კომპიუტერეული სასწავლო- საგანმანათლებლო თამაშები; საგანმანათლებლო ვებ-გვერდი; სასწავლო მიზნით შექმნილი მულტი-მედიური მასალა: ვიდეო რგოლები, ფილმები, აუდიოჩანაწერები/ აუდიო წიგნი, ანიმაცია. თვალსაჩინოებაში გამოვიყენებთ პოსტერებს, მოძრავ ანბანს, სურათებს, ლოტოს, დეკორაციებს, ინტერაქტიულ პრეზენტაციას Power- Point-ის გამოყენებით. თვალსაჩინოება, სწავლებაში „ცოცხალი განჭვრეტა“ გულისხმობს მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის რაც შეიძლება კონკრეტულ და გაცნობიერებულ აღქმას და შესწავლას მასწავლებლის ხელმძღვანელობით. „თვალსაჩინოება სწავლების ერთ-ერთ ზოგადმეთოდურ, დიდაქტიკურ პრინციპს წარმოადგენს. ეს პრინციპი გულისხმობს მოსწავლეების მიერ საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებას გრძნობადი ორგანოების მონაწილეობით და ამ საფუძველზე ამ მოვლენებისა და საგნების აღქმა-შესწავლას. თვალსაჩინოების შესახებ ორი განსხვავებული შეხედულებაა: ერთნი თვალსაჩინოებად გულისხმობენ ისეთ სწავლებას, რომელიც დამყარებულია მხოლოდ ოპტიკურ, მხედველობით შეგრძნებებზე - ე. წ. ვიზუალური აღქმა. მეორენი თვალსაჩინოებად განიხილავენ ისეთ სწავლებას, რომელიც დამყარებულია გრძნობად აღქმაზე“ (ლორთქიფანიძე, 1981:96). უცხოური ენის შესწავლაში თვალსაჩინოება სწორედ გრძნობად აღქმაზეა დამყარებული. თვალსაჩინოებას ი. ა. კომენსკი „სწავლების ოქროს წესს“ უწოდებს. ის წერს: „თუ გვინდა მოსწავლეებს ჩავუნერგოთ ჭეშმარიტი და მახვილი ცოდნა, უნდა ვეცადოთ საერთოდ ყველაფერი ვასწავლოთ პირადი დაკვირვებისა და გრძნობადი თვალსაჩინოების გზით“ (კომენსკი, დიდი დიდაქტიკა,1949: 191). კომენსკი

მოითხოვს, რომ მეთოდის სამარადისო კანონი იყოს: „ასწავლე და ისწავლე მაგალითის გამოყენებისა და მიბაძვის საშუალებით. ვასწავლოთ და ვისწავლოთ მხოლოდ საგნების მეშვეობით“.

რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი თვალსაჩინოების შესახებ წერდა: „ბავშვის ბუნება აშკარად მოითხოვს თვალსაჩინოებას. თვალსაჩინო სწავლება წინ უნდა უსწრებდეს გონებრივ ვარჯიშობას და უნდა იწყებოდეს სავსებით ადრინდელ ასაკში, პირველდაწყებითი ცოდნის მიცემით ფორმაზე, ფერებსა და ბგერებზე. ერთი სიტყვით, იმით, რომ შესაძლებელს ვხდით პირველდაწყებითი სწავლა რაც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ბავშვის შეგრძნებისათვის, ჩვენ სწავლებას მოსწავლისათვის მისაწვდომს ვხდით და თვით შევდივართ მოსწავლის აზროვნების სამყაროში“(ლორთქიფანიძე, 1981:97).

თვალსაჩინოება ასწავლის მოსწავლეებს არა მარტო ფიქრს, არამედ აღქმასაც. მას აღმზრდელობითი ძალაც აქვს, როგორც უშინსკი აღნიშნავს, ეს არის „ადამიანში ადამიანის აღზრდის“ ძალა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ მასალაში „მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასება“ 32-ე გვერდზე ვკითხულობთ: „რესურსი ეხმარება მოსწავლეს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში; პასუხობს სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო, იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია, ჩართულობა, მაღლდება მოსწავლეების აკადემიური მიღწევები“.

სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ რა სასწავლო საგანთან და მოსწავლეთა განვითარების რა დონესთან გვაქვს საქმე და რა ტექნიკური პირობები და შესაძლებლობები მოეპოვება სკოლას.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ თვალსაჩინოება დაბალ კლასებში უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე მაღალში, რადგან ბავშვის აზროვნება დაბალ ასაკში უპირატესად საგნობრივ-კონკრეტულია. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია თვით ეროვნულ სასწავლო გეგმაში და დაწყებით კლასებში გამოყენებულ სახელმძღვანელოებში. მათზე დაყრდნობით, მასწავლებელმა ზუსტად უნდა გაითვალისწინოს სწავლებაში გამოყენებული მეთოდები და ისე განახორციელოს

ისინი, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ საგნისა და მოვლენის არსის რაც შეიძლება ღრმად გაგება-შეთვისებას.

გაკვეთილზე მასწავლებელი ყოველთვის იყენებს რესურსს, რომელიც მას ეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში. ეს რესურსი უნდა იყოს ხელმისაწვდომი. არ არის საჭირო ძვირადღირებული მასალის გამოყენება; ის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოსწავლეთა დონესთან; მასში უნდა აისახოს მოსწავლეთა მოთხოვნები და სახელმძღვანელოს შინაარსი; ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვანებას.

რესურსის გამოყენების დროს მასწავლებელი ყოველთვის ისახავს კონკრეტულ მიზანს. მაგალითად, ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: ლინგვისტური და კოგნიტური უნარების განვითარება; მოსწავლის ინდივიდუალური თვისებების წარმოჩენა და განვითარება; მოსწავლეთა პროგრესირება; ინგლისურ ენასა და მოსწავლის გამოცდილებას შორის კავშირის დამყარება. ის უნდა აძლევდეს მოსწავლეს შესაძლებლობას - გამოიყენოს ინგლისური ენა საკუთარი აზრების გამოსახატავად. დამატებითი რესურსების გამოყენებას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი.

აქედან გამომდინარე, კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს სხვა კომპონენტებთან ერთად სასწავლო რესურსების მოძიებას, მობილიზებასა და შექმნას. მასწავლებლები ხშირად მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზად რესურსების ნაკლებობას ასახელებენ, თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენს გვერდით მოღვაწეობენ ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც საიდანღაც რესურსების მუდმივი მოლოდინის ნაცვლად თავად ქმნიან საინტერესო რესურსებს. მცირედი შემოქმედებითობა და შეიძლება გადასაყრელად გამზადებული ნივთები თუ ძველი ჟურნალ-გაზეთები მასწავლებლის ხელში მოსწავლეებისათვის მამოტივირებელ, ინტერესის აღძვრისა და საკითხში ჩაღრმავების წყაროდ იქცეს. თავად მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსის შექმნას ან უკვე შექმნილის მოდიფიცირებას ერთი არსებითი უპირატესობა აქვს: მას შეუძლია ამ რესურსის მორგება კონკრეტული კლასის, ასაკის, ჯგუფის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებთან. თუ მასწავლებელი კარგად იცნობს საკუთარ მოსწავლეებს, იცის მათი ინტერესები, ინდივიდუალური თავისებურებები, ადვილად მოახერხებს

დააკმაყოფილოს მათი სასწავლო საჭიროებები, გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა და, შესაბამისად, უზრუნველყოს უკეთესი შედეგები.

იმისთვის, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი იყოს ერთდროულად ეფექტურიც და ეფექტიანიც, აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

1. რესურსის მართებულად გამოყენება ნიშნავს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. რესურსის შექმნისას მასწავლებელს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მის მიერ შექმნილ რესურსს, დაეხმარება თუ არა ის დასახული შედეგების მიღწევაში.

2. მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების ცხოვრებისეულ თუ სასწავლო გამოცდილებას. მან იმდენად უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ მას იმავე თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის გაგებისა და მოძიების სურვილი გაუჩნდეს.

3. რესურსმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა და გაუძლიეროს მათ თანამშრომლობის სურვილი.

4. მნიშვნელოვანია, რომ რესურსი არ იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ იძლეოდეს უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას.

5. რესურსი უნდა მისდევდეს გარკვეულ სქემას და იყოს თანამიმდევრული. ორგანიზებულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსის შედგენისას. როცა მასწავლებელს თავიდანვე აქვს განსაზღვრული რესურსის მიზნები, შეძლებს თანამიმდევრულად დაალაგოს მასალა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საკითხის აღქმის, გააზრებისა და განზოგადების საშუალებას.

6. რესურსმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები ჩაუღრმავდნენ საკითხს, გააანალიზონ, შეხედონ სხვადასხვა კუთხიდან, დაადგინონ კანონზომიერებები.

7. რესურსს უნდა ერთვოდეს მკაფიო და ადვილად გასაგები ინსტრუქცია, მიწოდებული იმ ენით, რომელიც შეესაბამება სამიზნე მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

8. რესურსმა უნდა უბიძგოს მოსწავლეებს, გამოიყენონ სწავლის სხვადასხვა სტრატეგია, რათა შემდეგ თავად შეძლონ დამოუკიდებლად საკუთარი სწავლის

პროცესის დაგეგმვა, საკუთარ თავისებურებებზე მორგებული ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება.

9. რესურსი უნდა ემყარებოდეს სანდო წყაროებს. მოსწავლეებმა უნდა აღიქვან, მოისმინონ და წაიკითხონ ის მასალა, რომლის მეშვეობითაც გაიღრმავებენ ცოდნას, ამიტომ აუცილებელია, რესურსის შექმნისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ავთენტური წყაროებით - ენციკლოპედიით, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებით, სხვადასხვა სახის ლექსიკონებით, რომლებიც მოსწავლის ცოდნის დონის შესაბამისად იქნება ადაპტირებული და დამუშავებული.

10. რესურსმა უნდა უბიძგოს მოსწავლეს მიღებული ცოდნა გამოიყენოს საკლასო ოთახის გარეთაც, დაუკავშიროს ის რეალობას, პრაქტიკას.

11. რესურსის ეფექტიანობას განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად ფართოა მისი გამოყენების არეალი. შეიძლება თუ არა ერთი და იგივე რესურსი გამოვიყენოთ სხვადასხვა აქტივობისათვის, სხვადასხვა საგანში და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად ეფექტიანი იქნება ამა თუ იმ რესურსის გამოყენება, აუცილებელია დავადგინოთ სხვადასხვა სახის რესურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამის დადგენა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, წინასწარ განჭვრიტოს, რისი გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ უარყოფითი მხარეები მაქსიმალურად შეამციროს. მაგალითად, თუ რუკა/სქემა/პლაკატი დიდი ფორმატისაა და მისი გამოყენება მხოლოდ საერთო საკლასო მუშაობისას არის მოსახერხებელი, მასწავლებელს შეუძლია შედარებით მცირე ფორმატის რამდენიმე ასეთი თვალსაჩინოება შექმნას მცირე ჯგუფებში სამუშაოდ.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა რესურსის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები:

რესურსის ტიპი- პლაკატები, დიაგრამები, სქემები, რუკები.

დადებითი მხარეები:

1. ხშირად გამოიყენება სპეციფიკური საილუსტრაციო მიზნებისათვის. დამახსოვრების ხარისხი იზრდება, რადგან ინფორმაცია შედის ორი გზით: აუდიალური და ვიზუალური.

2. გამოიყენება ყველა სასწავლო საგანსა და მეთოდით მუშაობის დროს.

3. სასწავლო გარემოს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

4. ადვილი შესანახია.

5. დიდია საკითხის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის აღძვრის ალბათობა.

უარყოფითი მხარეები:

1. მალე ცვდება.

2. ხშირი გამოყენების შემთხვევაში მოსწავლის თვალი ეჩვევა და მოსაბეზრებელი ხდება.

3. დიდი ფორმატის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ საერთო საკლასო მუშაობისას.

4. მხედველობის პრობლემის მქონე ან მოშორებით მსხდომი მოსწავლეებისათვის ძნელად აღსაქმელია.

რესურსის ტიპი - მოდელები, მაკეტები.

დადებითი მხარეები:

1. იძლევა სხვადასხვა საგნის შინაარსის უკეთ გაგების შესაძლებლობას.

2. იძლევა რეალობის შთამბეჭდავი ვიზუალიზაციის შესაძლებლობას.

უარყოფითი მხარეები:

1. რთულია და შეიძლება ძვირი იყოს მისი დამზადება.

2. სიდიდიდან და მასალიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ძნელი შესანახი.

რესურსის ტიპი- ტექნიკური აღჭურვილობა, აუდიო საშუალებები

დადებითი მხარეები:

1. იძლევა ჩაწერილი მასალების მოსმენის საშუალებას (მაგალითად, ინტერვიუების, მუსიკალური ჩანაწერების და სხვ.).

2. იძლევა რეალური პიროვნებების გამოცდილების გაცნობისა და მათგან ინფორმაციის მოსმენის საშუალებას.

3. მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს სპეციფიკური ამბების ჩანაწერი, როგორც საილუსტრაციო მაგალითი.

4. განსაკუთრებით ეფექტიანია ენის სწავლების დროს.

5. მოსახერხებელია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის დროს.

6. შესაძლებელია მისი მრავალჯერადი გამოყენება.

უარყოფითი მხარეები:

1. მომზადება, ჩაწერა და რედაქტირება მოითხოვს დროს.

2. რთულია შესანახად, რადგან საჭიროებს სპეციალურ სათავსოს.

რესურსის ტიპი- ელექტრონული: კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები

დადებითი მხარეები:

1. მოსწავლე სწავლობს და შეიმეცნებს ხალისით.

2. მაღლდება მოტივაცია შესასწავლი საკითხის და, საერთოდ, საგნის მიმართ.

3. სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხი (ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტიკური).

4. აკმაყოფილებს განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებს.

უარყოფითი მხარეები:

1. საჭიროებს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში.

2. საჭიროებს შესაბამის კომპიუტერულ ტექნიკას და დენის მუდმივ წყაროს.

რესურსის ტიპი- ელექტრონული - საგანამანათლებლო ვებგვერდი.

დადებითი მხარეები:

1. იძლევა სხვადასხვა სახის ინფორმაციის, ტექსტების, სურათების, ვიდეო და აუდიომასალის გამოქვეყნების, დამატებისა და რედაქტირების საშუალებას.

2. იძლევა იმის კონტროლის საშუალებას, თუ ვის მიუწვდება განთავსებულ ინფორმაციაზე ხელი.

3. შესაძლებელია ინფორმაციის გაზიარება როგორც მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსწავლისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის.

უარყოფითი მხარეები:

1. საჭიროებს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში.

2. საჭიროებს დიდ დროს.

3. არის არასანდო ინფორმაციის მოხვედრის საფრთხე.

სასწავლო რესურსი-ელექტრონული - მულტიმედიური პროდუქტები (მაგ., ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი / აუდიოწიგნი, ანიმაცია).

დადებითი მხარეები:

1. მოსწავლე სწავლობს და შეიმეცნებს ხალისით.

2. მაღლდება მოტივაცია შესასწავლი საკითხის და, საერთოდ, საგნის მიმართ.

3. სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხი და, შესაბამისად, დამახსოვრების ხარისხი მაღალია.

4. აკმაყოფილებს განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებს.

უარყოფითი მხარეები:

1. ტექნიკურად რთული შესასრულებელია და მოითხოვს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში.

2. მოითხოვს დიდ დროს და მუდმივ განახლებას.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო რესურსი?

იმისათვის, რომ შეფასდეს წარმოდგენილი სასწავლო რესურსი, აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- ყველა ტიპის სასწავლო რესურსს უნდა ახლდეს რეფლექსია, რომელშიც ახსნილი იქნება, თუ რა მიზნით შექმნა მასწავლებელმა რესურსი, როგორ გამოიყენა ის სასწავლო პროცესში, ასევე რა შედეგს მიაღწია მოსწავლეებთან ამ რესურსის გამოყენებით.
- ყველა ტიპის თვალსაჩინოება უნდა იყოს ორიგინალური და უნიკალური, რომელიც არ არის ერთჯერადი გამოყენების და ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. რესურსს უნდა ახლდეს შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას სხვა მასწავლებლების მიერ.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და მრავალფეროვანი სწავლების დანერგვა გულისხმობს მოზარდთა აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის

უნარი - გააკეთოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება - მისი წარმატების საწინდარია. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის მრავალგვარ რესურსს - ილუსტრირებულ სახელმძღვანელოებს, დასურათებულ ბარათებს, პოსტერებს, ლექსიკონებს, ინტერნეტრესურსს, აუდიო და ვიდეომასალას და სხვ.

უცხო ენის გაკვეთილზე მასწავლებლბი ხშირად იყენებენ ე. წ. flashcard, ანუ ფლეშბარათებს. მათი გამოყენება აძლევს შესაძლებლობას - მოსწავლემ გააკეთოს სურათების ასოციაცია საკვანძო სიტყვებთან. ბარათების შექმნა საკმაოდ მარტივი და ხელმისაწვდომია. მასწავლებლები ქმნიან ერთნაირი ზომის ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია მკვეთრი ფერის და დიდი ზომის ნახატები. თუკი ბარათზე სიტყვებია დატანილი, მაშინ ისინიც მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რათა ყველა მოსწავლეს შეეძლოს მათი დანახვა. სასურველია, სურათები იყოს ფერადი და სახალისო.

უცხო ენის მასწავლებლები ხშირად სთხოვენ მოსწავლეებს დაწყებითი ლექსიკონის შექმნას, რომელიც აძლევს მათ შესაძლებლობას - დააკვირდნენ, როგორ იზრდება მათი ლექსიკური მარაგი. ის, ასევე, ხელს უწყობს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლექსიკური მარაგის განმტკიცებასა და გავარჯიშებას. იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას ლექსიკონი, სულაც არ არის აუცილებელი, იცოდეს წერა. თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რა სახის ლექსიკონის შექმნას ავალებს მოსწავლეებს: თემატური ლექსიკონის (ცხოველები, ფერები, საკვები, და ა.შ.) თუ ანბანურის. ამისთვის აუცილებელია მასწავლებელმა დაადგინოს, როგორ არის ორგანიზებული სკოლის სახელმძღვანელო. თუკი ის ორგანიზებულია თემატურად, ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება თემატურად ორგანიზებული ლექსიკონის შექმნა. მაგრამ, თუკი თემატიკა არ არის მკვეთრად განსაზღვრული, მაშინ უპრიანია ანბანურად ორგანიზებული ლექსიკონის შექმნა ვასწავლოთ მოსწავლეებს. თუმცა, სწავლების პირველი ორი წლის მანძილზე, სასურველია, მოსწავლეებმა თემატურად ორგანიზებული ლექსიკონებით ისარგებლონ და მხოლოდ წერის დაუფლების შემდეგ იზრუნონ ანბანურად განლაგებული ლექსიკონის შექმნაზე.

მთავარი ის როდია - რა სახის ლექსიკონით მუშაობს ბავშვი. მთავარია, ბავშვისთვის ლექსიკონი არ გახდეს უბრალოდ სიტყვების ჩამონათვალი. უამრავი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ საბავშვო ლექსიკონები იყოს თვალსაჩინო და მიმზიდველი. ცნობილია, რომ ბავშვებს უყვართ ხატვა და ეხალისებათ ფერების გამოყენება. მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს პატარებს ლექსიკონების გაფერადება, რათა ის მათთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ვცდილობთ მაშინვე მივცეთ უკუკავშირი და შევუქოთ მოსწავლეებს ნამუშევარი, რათა პატარებში გარკვეული მოტივაცია და სიამაყის გრძნობა გააღვიძოს. შექება მათ წაახალისებს და მომდევნო მათი ნამუშევარიც ბევრად უკეთესი იქნება. ბავშვებმა, რომელთაც ხატვის ნიჭი აქვთ, შესაძლოა, ლექსიკონში სიტყვების გასწვრივ დახატონ ესა თუ ის საგანი. ხოლო მათ, ვისაც ხატვა არ გამოსდის, შეუძლია ნახატები ჟურნალებიდან, ბროშურებიდან, კატალოგებიდან ან ინტერნეტრესურსიდან მოიპოვონ. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს სიტყვების დამახსოვრებას. უფრო მაღალ კლასებში მოსწავლეებს შეეძლებათ კონკრეტული სიტყვებისა და ნახატების ქვეშ მათ მიერ შექმნილი წინადადებების დაწერა.

კლასში გამოყოფილი გვაქვს თარო ან კუთხე წარწერით ,,ჩვენი ლექსიკონები“, სადაც ვაწყობთ მოსწავლეთა ლექსიკონებს. ეს ახალისებს მოსწავლეებს, სურვილს უჩენს უფრო მეტად იმუშაონ ლექსიკონის გაფორმებასა და მოწესრიგებაზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ვიზუალურ სივრცითი ინტელექტის გასავითარებლად ხშირად ვთხოვთ მოსწავლეებს დახატონ წარმოსახვაში შექმნილი გმირები, ან შექმნან პლაკატი, რომელშიც ასახული იქნება სასწავლი სიმღერის, ლექსის, მოთხრობის სიუჟეტი. თოთოეული ჯგუფი ქმნის საკუთარ პლაკატს. ამის შემდეგ მოსწავლეები აღწერენ სიუჟეტს უკვე საკუთარი სიტყვების გამოყენებით და ახასიათებენ გმირებს. ეს მისცემს მათ შესაძლებლობას გააქტიურონ და მეტყველებაში გამოიყენონ შესწავლილი გრამატიკული ფორმები.

მოსწავლეებს ხშირად ვაკეთებინებთ სხვადასხვა ცხოველის (ღორი, ლომი, სპილო, ბაჭია, კატა და ა. შ.) ნიღბებს, ვატარებთ ხელოვნებასთან ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ეს ეხმარება მათ ცხოველთა სახელების დამახსოვრებაში. ამ ტიპის

აქტივობები განსაკუთრებით სასარგებლოა ზოოპარკის თემატიკაზე მუშაობის დროს. ნიღბის გაკეთება საკმაოდ მარტივი პროცესია, თითოეული ნიღბის გაკეთებისათვის ბავშვებს სჭირდებათ სულ რაღაც 10-15 წუთი. საჭირო მასალაც ადვილად ხელმისაწვდომია: მაკრატელი, წებო, ფერადი ქაღალდი, სტეპლერი, ზონარი. სასურველია, ნიღაბი გაკეთდეს ფერადი ქაღალდისგან. ნიღაბს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა დატვირთვა - იყოს ლამაზი, სასაცილო, საშინელი, სევდიანი ან იდუმალი. ნიღბებით და თოჯინებით თამაში ხელს უწყობს ახალი სიტყვების გამოყენებით საუბარს. მათი გამოყენება სხვადასხვა მიზნით შეიძლება:

- მოტივაციის ასამაღლებლად: ბავშვები ეცდებიან ისაუბრონ და უსმინონ ერთმანეთს დაძაბულობისა და შეფერხების გარეშე.
- კომუნიკაციისთვის: ნიღბიან ბავშვებთან საუბარი ხელს უწყობს აქტივობაში ჩაერთოს ყველაზე მორცხვი ბავშვიც კი.

მათი გამოყენება შეიძლება მოთხრობებში, სიმღერებში, როლურ თამაშებსა და თეატრალურ დადგმებში. ნიღბები საუკეთესო საშუალებაა ინსცენირებისთვის, ენობრივი ერთეულების გათავისებისთვის.

უცხოური ენის გაკვეთილზე რესურსები და თვალსაჩინო საგნები ხელს უწყობს მოსწავლეებში ყურადღების გამოწვევას და სწავლების პროცესში მის შენარჩუნებას. თუმცა მათ გადამეტებულ და არასწორ გამოყენებას შეუძლია საწინააღმდეგო შედეგი მოგვცეს. კ. უშინსკის აზრით, „სასწავლო სურათები წინასწარ არ უნდა იყოს ცნობილი ბავშვებისათვის, არ უნდა ეკიდოს საკლასო ოთახში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაკარგავენ ინტერესს“ (უშინსკი, 1974:158). თვალსაჩინოება კლასში თანმიმდევრობით უნდა შევიტანოთ, შევცვალოთ, როცა სურათის მთელი შინაარსის საუბრით გადმოცემა ამოწურული იქნება და ბავშვებს შეეძლებათ თავიანთი აზრის შესაბამისად აღწერონ სურათი .

ესგ-ში „უცხოური ენის სტანდარტი დაყოფილია არა კლასების, არამედ ენის ფლობის დონეების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის სტანდარტის დონეები და, ასევე, მათზე დაფუძნებით შედგენილი სახელმძღვანელოები, შინაარსობრივი და პედაგოგიური თვალსაზრისით, მიესადაგება ამ საფეხურის მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს“ (ესგ, 2016: 456).

დაწყებითი საფეხურის დონეებია: დI დII დIII დIV დV დVI.

„დონეების სისტემის დანერგვის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელმა კლასში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე იმოქმედოს და ამა თუ იმ კლასში შეიტანოს იმ დონის სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეთა მოთხოვნებს შეესაბამება. ასე რომ, მასწავლებლის პრეროგატივაა აირჩიოს, თუ რომელ კლასში რომელი დონის სახელმძღვანელოს შეიტანს“ (ესგ, 2016: 457).

სასკოლო სახელმძღვანელო ის წყაროა, რომელიც მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ საკითხებს, რომელთა შესწავლა-დაუფლება მოსწავლისათვის სავალდებულოა. სახელმძღვანელოს შინაარსი ამ საგანში ცოდნის, განათლების კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს და არსებითად პასუხობს კითხვაზე - რა ვასწავლოთ?

ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) გათვალისწინებული შედეგების მიღწევა ინგლისურ ენაში ხორციელდება სახელმძღვანელოებით, რომელთაც ირჩევს სკოლა. თანამედროვე ეტაპზე დაწყებით კლასებში ინგლისური ენის სწავლებისათვის სკოლათა უმრავლესობა იყენებს სახელმძღვანელოს „English world“. ის მოიცავს საკმაოდ საინტერესო მასალას, რომლის მეთოდურად და სწორად გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა - ისწავლონ ინგლისური ენა საკმაოდ სახალისო და საინტერესო აქტივობების საშუალებით. თუკი ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის მიმართულების მიმცემი სავალდებულო დოკუმენტია, „სასკოლო სახელმძღვანელო მოსწავლის ცოდნის უშალო წყარო და თანამგზავრია, ცოდნის სალარო“, - აღნიშნავს დ. ლორთქიფანიძე თავის დიდაქტიკაში (ლორთქიფანიძე, 1981:80) . სასკოლო სახელმძღვანელო მეთოდურად გამართული, დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით უნდა აიგოს, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები; მისი ლიტერატურული ენა, პოლიგრაფიული ხარისხი, რომელიც უნდა იყოს მაღალი სტანდარტის. სახელმძღვანელო ისე უნდა იყოს აგებული, რომ მოსწავლეში აღზარდოს სწავლისადმი, წიგნისადმი სიყვარული, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

იმისათვის, რომ დაგვედგინა დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ეფექტურობა ჩავატარეთ კვლევა ბათუმის კერძო და საჯარო სკოლებში. გამოვიკითხეთ ინგლისური ენის 100 მასწავლებელი. აღნიშნული სახელმძღვანელოს შესახებ მათ შემდეგი კითხვით მივმართეთ: თქვენი აზრით, ეს სახელმძღვანელო ხელს უწყობს თუ არა დაწყებით კლასებში უცხო ენის დაუფლებას? გამოკითხულ მასწავლებელთა 36%-მა დადებითი პასუხი გაგვცა, 16%-მა უარყოფითი, 48% კი ფიქრობს, რომ ეს სახელმძღვანელო ნაწილობრივ ეხმარება მოსწავლეებს უცხო ენის დაუფლებაში. მასწავლებელთა კომენტარებს უცვლელად გთავაზობთ:

- დიალოგები ერთმანეთთან კავშირშია, სიტყვები არ არის რთული, თუმცა უარყოფითია ის, რომ ანბანის გაცნობის გარეშე, პირდაპირ იწყება დიალოგები, არ არის საკმარისი გრამატიკული სავარჯიშოები;
- საჭიროა ზუსტად ისეთი წიგნის მომზადება, რომელიც შეასწავლის ბავშვს ანბანს და იმ ელემენტარულ სიტყვებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ გეგმაში;
- ვფიქრობ, რომ მოცემული სახელმძღვანელო რთულია პირველი კლასის მოსწავლეებისათვის;
- ამ სახელმძღვანელოს პირველ კლასში თითქმის არ ვიყენებ, ძირითადად, მიწევს დამატებითი მასალის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.
- საათების სიმცირის გამო შეუძლებელია მასალის საფუძვლიანი დაუფლება;
- სახელმძღვანელოში ანბანის სწავლების პრინციპი, ფაქტობრივად, არ არის, ბავშვი ზერელედ იზეპირებს ამა თუ იმ სიტყვას, რომელსაც შემდეგ მექანიკურად კითხულობს, იგივე სიტყვა მან შესაძლოა ვერ წაიკითხოს სხვა ტექსტში;
- ძალიან ბევრი მასალაა პირველკლასელებისათვის;
- უმჯობესი იქნებოდა სახელმძღვანელოს შეცვლა, გამარტივება და წერა-კითხვის სწავლა მეორე კლასში;
- ჩემი აზრით, ეს სახელმძღვანელო არის ინგლისურად მოლაპარაკე ბავშვებისათვის, ანუ ის ეფექტური იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ინგლისური მათთვის მშობლიური ენა იქნებოდა;

- სახელმძღვანელო არის შესაბამისად გაფორმებული ვიზუალურად. აქვს საკმარისი ლექსიკური მასალა, თუმცა საჭიროებს დამატებით რესურსს დასაწყისში;

- კარგი იქნებოდა ანბანის შესწავლა დასურათებული სიტყვებით და პატარა ტექსტებით;

- კარგი წიგნია, მაგრამ წიგნის დამთავრება შეუძლებელია პირველი კლასისათვის;

- პირველ სემესტრში ვიყენებ ფლეშბარათებს, არ ვიყენებ სახელმძღვანელოს, ძირითადად, ვმუშაობ ზეპირმეტყველებაზე, მეორე სემესტრში ვამატებ ანბანის შესწავლას;

- სახელმძღვანელო ზოგადად ყველა კომპეტენციის მიმართულებით მუშაობს, მაგრამ ის უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული ჩვენს საკლასო გარემოზე;

- კარგად ილუსტრირებული და დაწყებითი კლასისათვის მარტივად გასაგები სახელმძღვანელოა;

- ვფიქრობ, კარგი სახელმძღვანელოა, მთავარია, გამოძებნო მისი მიწოდების ეფექტური ფორმა.

ჩვენ ვეთანხმებით მასწავლებელთა ნაწილის მოსაზრებას და ვთვლით, რომ საკმაოდ საინტერესო წიგნია, თუმცა უნდა ვფლობდეთ მოსწავლეებისათვის მასში მოცემული მასალის მიწოდების სწორ მეთოდს. სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული მასალა გვეხმარება მოსწავლეებს შევასწავლოთ ანბანი და ელემენტარული სიტყვების კითხვა. სხვადასხვა ტიპის დამატებითი რესურსი კი (დასურათებული ბარათები, პოსტერები, გრამატიკული სავარჯიშოები, აქტივობები და ა. შ.), რომლებიც უფრო მეტად უწყობს ხელს მოსწავლეებს ამ მასალის დაუფლებაში, მასწავლებელს შეუძლია მოიპოვოს შემდეგ ვებ-მისამართზე: http://www.macmillanenglish.com/younglearners/englishworld/englishworld.html

კანონი ზოგადი განათლების შესახებ ითვალისწინებს, რომ სკოლამ მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი უნდა იხელმძღვანელოს, თუმცა მასწავლებელი არ არის შეზღუდული დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს არაგრიფმინიჭებული სახელმძღვანელო თავისი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

თვისობრივი კვლევიდან ჩანს, რომ მოცემული სახელმძღვანელო არ უწყობს ხელს ელემენტარული სიტყვების დაუფლებას. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი მათთვის პრიორიტეტული ლექსიკური ერთეულები არ არის გამოყენებული სახელმძღვანელოში, მასწავლებელს თავად შეუძლია მათი აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში სამიზნე ენის საშუალებით, რომლის გამოყენება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალის ათვისებას უნდა ემსახურებოდეს.

მასწავლებელთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ “English world” მოიცავს მოსწავლეებისათვის საკმაოდ რთულ მასალას, რომლის დაუფლებასაც ისინი ვერ ახერხებენ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ნებისმიერი სახელმძღვანელოს გამოყენება რთულია. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს იმ მოცულობის მასალის მიწოდებას, რომლის ათვისებასაც შეძლებენ მოსწავლეები. მხოლოდ გარკვეული მასალის სათანადოდ დამუშავების შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ახალი მასალის ახსნაზე, რომლის მიწოდება ძველის განმტკიცების საფუძველზე ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები უფრო მარტივად შეძლებენ ახალი მასალის ათვისებას.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეროვნული სასწავლო გეგმით, ინგლისური ენის სახელმძღვანელოები დაწყებით კლასში დაყოფილია დონეებად და არა კლასებად. ამიტომაც, თუკი პირველ კლასში მოსწავლეები ვერ მოახერხებენ პირველი დონის დაუფლებას, ჩვენ შეგვიძლია იგივე მასალასთან მუშაობა მეორე კლასში გავაგრძელოთ. ეროვნული სასწავლო გეგმა გვაძლევს არჩევანის თავისუფლებას. მასწავლებლის მიზანი არა წიგნის დასრულება, არამედ მოსწავლეებისათვის წიგნში მოცემული მასალის სწორი მეთოდით მიწოდება უნდა იყოს.

ინგლისური ენის სახელმძღვანელოების უმრავლესობას თან ახლავს მასწავლებლის წიგნი, რომელიც საკმაოდ ეფექტური დამხმარე საშუალებაა თითოეული მასწავლებლისათვის. მათში მოცემულია საინტერესო რეკომენდაციები, აქტივობები, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს პედაგოგს უფრო საინტერესო და ხალისიანი გახადოს გაკვეთილი. ბუნებრივია, ეს არ გულისხმობს მასწავლებლების

სრულ დამოკიდებულებას ამ ინსტრუქციებზე, თუმცა, ვინაიდან ისინი შექმნილია სწორედ აღნიშნული სახელმძღვანელოების ავტორთა მიერ, ვფიქრობთ, მათი გათვალისწინება არ იქნებოდა ურიგო. ცხადია, არც ერთი მასწავლებელი არ არის ვალდებული მიჯაჭვული იყოს რომელიმე სახელმძღვანელოს ინსტრუქციაზე, ის ინდივიდუალურად წარმართავს საგაკვეთილო პროცესს და თავადვე შეუძლია შეარჩიოს მისთვის საინტერესო აქტივობები და სტრატეგიები. რიგ შემთხვევებში რთულია მასწავლებლისთვის კონკრეტული რჩევის მიცემა, მეთოდისტებიც მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით შეიძლება შემოიფარგლონ. ვინაიდან ბავშვებთან მუშაობა ინდივიდუალურ მიდგომებს, პრობლემების გადაჭრის სიტუაციურ ხედვას და ხერხებს მოითხოვს, რთულია წინასწარ ზუსტად განსაზღვრო, რა სირთულეებს წააწყდება მასწავლებელი. შესაბამისად, ის თვითონ განსაზღვრავს - რომელი ხერხი, მეთოდია უფრო ეფექტური გარკვეული პრობლემის დასაძლევად.

„English world 1“-ის მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემულია 12 ძირითადი თავი. თითოეული თავი მოიცავს 8 გაკვეთილს. მასწავლებლის სახელმძღვანელოს რეკომენდაციით, თითოეულ გვერდს „სასურველია დაეთმოს 1 გაკვეთილი და თითოეულ თავში მოცემული მასალა ამოიწუროს 2 კვირის განმავლობაში“ (ჰოკინგ, 2009: 7). ამ ინსტრუქციის განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეებს ინგლისურის გაკვეთილი ჩაუტარდებათ კვირაში 4 ჯერ მაინც.

კერძო და საჯარო სკოლის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სკოლების 95%-ში I და II კლასებში ინგლისურ ენას კვირაში მხოლოდ 2 საგაკვეთილო საათი ეთმობა. ასეთ გარემოში მასწავლებლებს უჭირთ სასურველი შედეგის მიღწევა. როგორც მათი უმრავლესობა აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ გაკვეთილის ხანგრძლივობა 35-წუთიანია, საათების ეს რაოდენობა არ არის საკმარისი საკლასო გარემოში უცხო ენის შესასწავლად. უკეთესი იქნებოდა, თუ მოსწავლეებთან სამუშაოდ კვირაში თუნდაც 1 საგაკვეთილო საათი დაემატებოდათ.

კვლევით დავადგინეთ, რომ სწორად შერჩეული და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული სახელმძღვანელო, საგაკვეთილო თემაზე

ორიენტირებული რესურსი განაპირობებს ენის შესწავლის ეფექტურობას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით დამატებითი აქტივობების ჩამონათვალში შედის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა და შესაბამისი კრედიტის მინიჭება.

თავი 3. სამეტყველო უნარების განვითარება დაწყებით საფეხურზე

3.1. კითხვის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა (2011- 2016) გამოყოფს 9 პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებს, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვირდებისათვის. ამ კომპეტენციებიდან ერთ-ერთია წიგნიერების კომპეტენცია, რომელიც ესგ-ში ასეა განმარტებული „წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ხოვრების განმავლობაში იძენს“(ესგ, 2016: თავი VIII). ამიტომაც ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში მე-3 თავი ეთმობა სამეტყველო უნარების განვითარებას დაწყებით საფეხურზე.

ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის იყენებენ როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით ფორმას. წერისა და მეტყველების სწავლება სკოლის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. „კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია, რომლის დასწავლა სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობის შედეგად ხორციელდება. კითხვის და სწავლის პროცესი გულისხმობს ენისათვის დამახასიათებელი ასოების ამოცნობის უნარის განვითარებას და მათ ფონემებთან დაკავშირებას; ფონემების ბგერებად გაერთიანებას, ხოლო ბგერების სიტყვებად გამთლიანებას. და ბოლოს, იმისათვის, რომ სიტყვის ამოკითხვის პროცესი დასრულებულად ჩაითვალოს, საჭიროა სიტყვის ცნობა და მისი მნიშვნელობის გაგება. წინადადების წაკითხვისას კი საჭიროა ამოკითხული სიტყვების მეხსიერებაში შენახვა, დანარჩენ ამოკითხულ სიტყვებთან დაკავშირება და მთელი წინადადების წვდომა“ (პაჭკორია, 2011: 51). გამართლებული იქნება, თუკი „მოსწავლეს არა უშუალოდ ასოების ამოცნობაში ვავარჯიშებთ, არამედ სხვადასხვა საგნის გამოსახულებებს გამოვიყენებთ მისი ვიზუალურ-სივრცითი უნარის გასავარჯიშებლად“ (პაჭკორია, 2011:51). კითხვის

საშუალებით ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას.

ბოლო წლებში საქართველოში დაგროვდა კითხვის/ წიგნიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კითხვის მეთოდების დანერგვაში. იმართება კითხვის სწავლების საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციები, ხორციელდება ტრენინგ–პროგრამები, იბეჭდება სპეციალური ლიტერატურა და ა.შ.

ვინაიდან კითხვის უნარის განვითარება სკოლამდელ ასაკში იწყება და სკოლის დასრულების შემდეგაც გრძელდება, მოსწავლის ეფექტურ მკითხველად ფორმირების ყველაზე ადეკვატურ პერიოდად სწორედ სასკოლო ასაკი უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით, I–IV და V– IX კლასები. სკოლამ მოსწავლეში აქტიური მკითხველი უნდა განავითაროს. კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ინტელექტუალური განვითარებისათვის და ის არ ნიშნავს მხოლოდ ცალკეული ასოების, მარცლების, სიტყვების ან თუნდაც წინადადებების ამოკითხვას. კითხვა აერთიანებს ამ უნარ-ჩვევებს მთლიანი ტექსტის გასაგებად.

გააზრებული კითხვა ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მას მოჰყვება გაგება, რომელიც წინ უსწრებს ინტერპრეტაციას. მაგრამ დაწყებითი სკოლის საფეხურის მთავარი მიზანია განუვითაროს მოსწავლეს კითხვის ტექნიკა, ჩამოუყალიბოს ტექსტის გააზრებულად კითხვის უნარი, გააქტიუროს და გაამდიდროს მისი ლექსიკა, ხელი შეუწყოს აზრის ზეპირად და წერილობით სწორად გადმოცემის უნარის განვითარებას. შესაბამისად, კითხვის სწავლების პროცესში მასწავლებელს სკოლის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული სასწავლო მიზნები აქვს კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით.

დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ, მოსწავლე ეფექტური მკითხველი უნდა იყოს. ეფექტური მკითხველის მახასიათებლებია: კითხულობს გაბმულად, ანუ უშეცდომოდ, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით. გამართულად კითხვაში საკვანძო მომენტია სიტყვის ნაწილებად ამოკითხვიდან მთელი სიტყვებით კითხვაზე გადასვლა. გამართული კითხვა არის ხიდი კითხვის ტექნიკასა და გაგებას

შორის; მიმართავს ტექსტის ვიზუალიზებას. კარგი მკითხველი გონებაში ქმნის აზრობრივ სურათხატებს ტექსტში მიღებული მოვლენების, მოქმედი პირებისა და საგნების, მათი თვისებებისა და მახასიათებლების, აღწერილი გარემოებების შესახებ; ერთმანეთთან აკავშირებს წაკითხული ტექსტის ელემენტებს და ცდილობს გაამთლიანოს კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაცია. კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ტიპის კავშირის დამყარება: ტექსტის ერთი ნაწილის დაკავშირება ამავე ტექსტის სხვა ნაწილთან, ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან და ტექსტის დაკავშირება გარესამყაროსთან. მკითხველი ცდილობს ჩაწვდეს წაკითხულს როგორც კითხვის პროცესში, ასევე, კითხვის დასრულების შემდეგ. დასკვნები გამოიტანოს ტექსტში მოცემული წანამძღვრების ან მოვლენების საფუძველზე; კითხვის ყველა ეტაპზე სვამს შესაბამის შეკითხვებს ტექსტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

კითხვის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავს, ესენია: ზეპირი მეტყველება; წიგნისა და ტექსტის მახასიათებლის ცოდნა; ფონეტიკური ცოდნა/ანბანის ცოდნა; ლექსიკური მარაგი/სიტყვების ცოდნა; მთლიანი სიტყვების ამოცნობა; გამართული კითხვა (უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარით, გამომეტყველებით); გაგება/გააზრება/მნიშვნელობის კონსტრუირება.

კითხვის სწავლება და სწავლა მოსწავლეების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გავარჯიშებასა და გამოყენებას გულისხმობს. თითოეულ კომპონენტს ჩასახვისა და განვითარების გარკვეული ეტაპები გააჩნია.

ი. გოგებაშვილი „დედა ენის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ჩვენ ვცდილობდით საკითხავ მასალას, ერთის მხრივ, ჰქონოდა რაც კი შეიძლება მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვისათვის, რომ იგი ყოფილიყო მისთვის საინტერესო და მეორეს მხრივ, მის შინაარსს წარედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისა და განვითარებისათვის“ (მაღლაკელიძე, 2013:59). ტექსტის შინაარსზეა დამოკიდებული წამკითხველის ინტერესი. ეს ინტერესი და ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილოს, მოსწავლემ კითხვა უნდა შეძლოს.

„კითხვის უნარის განმტკიცება დაწყებითი საფეხურის გავლის შემდეგაც, ანუ საბაზო და საშუალო საფეხურზეც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გულისხმობს

სასწავლო პროცესის გამდიდრებას ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით და მრავალფეროვანი საკითხავი მასალით. ასევე, აქტუალურია კითხვისა და წერის, როგორც სწავლის ფუნდამენტური უნარების ინტეგრირება სასწავლო პროცესში“ (პაპავა, 2007: 6).

გამოყოფენ კითხვის სხვადასხვა სახეს: ინდივიდუალური კითხვა - პიროვნული შესაძლებლობების მიხედვით კითხვა სასწავლო პროცესში ან სახლში; გაგრძელებებით კითხვა - ერთი იწყებს, სხვები კი მითითების მიხედვით განაგრძობენ კითხვას; ჯგუფური ხმამაღლა კითხვა - სიტყვების ან ფრაზების ხმამაღლა კითხვა; ამორჩევით კითხვა - ფრაგმენტის კითხვა, დიალოგის კითხვა; გარკვევა - რაიმე ხომ არ არის გამოტოვებული; რეფლექსური კითხვა - კითხვა გაგებისათვის, ინფორმაციის დამუშავებისათვის; მოდელირებული კითხვა - რთული ტექსტის წაკითხვა; მართული კითხვა - მასწავლებელი მოსწავლეებს შესაფერ და აუცილებელ ტექსტებს ურჩევს და აძლევს ინსტრუქციას, უძღვება კითხვის პროცესს; დამოუკიდებელი კითხვა.

კითხვის სწავლებაში ერთერთი წამყვანი პრინციპია შეგნებულობის პრინციპი. „შეგნებულია კითხვა, როცა წასაკითხ ტექსტში შემავალი სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობა და მთელი ტექსტის შინაარსი გასაგებია მოსწავლეთათვის; ე. ი. მოსწავლეს ესმის როგორც ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა, ისე მთლიანი ტექსტის შინაარსი და მისი იდეური მხარე“ (მაღლაკელიძე, 2013: 60).

„შეგნებული კითხვისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორად წარმართულ ლექსიკურ მუშაობას: უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნას; სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნა ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის გაგებას, შემდეგ კი – მის ანალიზს. ამ დროს ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რომელი სიტყვები უნდა ავხსნათ? ცხადია, ახსნა ხდება იმ სიტყვებისა და გამოთქვამების, რომლებიც უცნობია მოსწავლისათვის. ყველა სიტყვის ანალიზი ხელს უშლის მოსწავლეს ყურადღება გაამახვილოს მთავარზე – ტექსტის შინაარსსა და მის მხატვრულ ღირებულებაზე“ (მაღლაკელიძე, 2013:62). ტექსტის ახსნისთვის რამდენიმე ხერხი გამოიყენება:

თვალსაჩინოება – კ. უშინსკი წერდა: „ასწავლეთ ბავშვებს ხუთიოდე სიტყვა, რომლებიც მისთვის უცნობია და იგი დიდხანს და ტყუილად იწვალებს მათ შეთვისებაზე; მაგრამ დაუკავშირეთ სურათებს ოცი ასეთი სიტყვა და მოსწავლე იოლად შეითვისებს მათ“ (უშინსკი 1974:64). მართლაც, თვალსაჩინოება გვეხმარება უცხო საგნების, მოვლენების უკეთ აღქმასა და გაგებაში. ასევე ეფექტურია სიტყვის მნიშვნელობის ახსნა სინონიმებისა და პერიფრაზის საშუალებით. ამ სტრატეგიის გამოყენებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეგნებული კითხვისათვის ხშირად სიტყვებისა და გამოთქმების ცალკე, იზოლირებულად ახსნა ვერაფერს მოგვცემს, მნიშვნელოვანია კონტექსტი. ამასთან, ახალი სიტყვა შესწავლილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მოსწავლე არა მარტო კონტექსტში გააცნობიერებს მათ მნიშვნელობას, არამედ დამოუკიდებლადაც გამოიყენებს მათ მეტყველებაში. სწორედ ამიტომ სასურველია მასწავლებელმა ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინოს წინადადებები და მოსწავლეები აქტიურად ჩართოს ანალიზის პროცესში. მთელი ტექსტის შინაარსის გაგება მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის ცოდნას, არამედ ერთგვარი განზოგადების უნარსაც, რაც ნაწარმოების დედააზრის სწორად აღქმის საფუძველია. ეს კი შეგნებული კითხვის ყველაზე მაღალი ეტაპია.

შემდგომ ეტაპზე კითხვის უნარის გასავითარებლად სასარგებლოა კოგნიტური სქემები. ამ სტრატეგიების გამოყენებით, მოსწავლეები ახდენენ ტექსტში მთელისა და ნაწილის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენას და ვიზუალურად სქემის სახით წარმოდგენას. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულად გაგებასა და აღქმას, ზრდის მოსწავლეთა აქტივობასა და დამოუკიდებლობას. კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას, ორგანიზებას უკეთებს მას, შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას, ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებელ მუშაობას.

აღნიშნული სტრატეგიების გარდა, გამოიყენება: როლური კითხვა, ურთიერთსწავლება, ტექსტის კითხვა წყვილებში, მონიშვნებით კითხვა, გამოკრებით კითხვა, პაუზებით კითხვა და სხვა. „როლური კითხვა“ ბუნებრივი გზაა გამართული

კითხვის დასახვეწად, რადგან მოსწავლეები გაუცნობიერებლად, ძალდატანების გარეშე ვარჯიშობენ კითხვაში. ამ მეთოდს „მკითხველთა თეატრსაც“ უწოდებენ. სასურველია, ტექსტი შედგებოდეს დიალოგებისაგან, რომ შესაძლებელი იყოს როლების განაწილება რამდენიმე მკითხველზე.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში უცხოური ენის დაწყებით კლასებში სწავლებასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „სწავლების პირველ ეტაპზე ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვა), რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეს გაუადვილდება ტექსტის გაგება. ამ ეტაპზე მოსწავლეებს არც ტექსტის ამომწურავად გაგება მოეთხოვებათ (საკმარისია საკომუნიკაციო სიტუაციის, ზოგადი ინფორმაციისა და ცალკეული გამოთქმების გაგება) და არც გამოთქმების დესტრუქტურიზაცია და ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზება“ (ესგ, 2016: 459).

„პირველ, ისევე, როგორც მეორე, ეტაპზე მოსმენილი ტექსტები გამოიყენება ნიმუშებად ზეპირმეტყველებისათვის, ამიტომ ტექსტები არ უნდა იყოს უცნობი ლექსიკითა და გრამატიკული კონსტრუქციებით გადატვირთული“ (ესგ 2016: 459). აქედან გამომდინარე, დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება განსხვავებული მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. იქვე ვკითხულობთ, რომ უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარის ფორმირებას მოსწავლეებში (ესგ 2016:459). ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს. „მეორე რიგში, მნიშვნელოვანია ნაადრევად არ დავაწყებინოთ მოსწავლეებს სისტემური კითხვა, რამაც შეიძლება სერიოზული შეფერხებები გამოიწვიოს არა მხოლოდ უცხოურ, არამედ მშობლიურ ენაშიც. მოსწავლე ეტაპობრივად უნდა მოვამზადოთ კითხვის სისტემური კურსისათვის. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ვამუშაოთ როგორც ჩუმი, ისე ხმამაღალი კითხვის ტექნიკაზე“ (ესგ, 2016:459).

დაწყებით კლასებში კითხვის გამარტივებული სწავლების რამდენიმე მეთოდს გვთავაზობს თათია პაჭკორია, რომელთაც ეფექტურად ვიყენებ პრაქტიკაში. ესენია

მულტისენსორული მეთოდი, რომლითაც ვასწავლი ბავშვებს კითხვას მათი სხვადასხვა სენსორული არხების გამოყენებით და დატვირთვით: შეხებით, სმენით და მხედველობით. ასოების დასასწავლად ვიყენებ არა მხოლოდ დაბეჭდილი ასოებს, არამედ ასოების ფიგურებს, რომელსაც მოსწავლე შეხებით ათვალიერებს და შეიმეცნებს, ვერბალურად დაახასიათებს მის ელემენტებს და თითს შემოავლებს. მთლიანობითი მეთოდით ვასწავლი ბავშვებს დაწერილი სიტყვების მთლიანი ხატის დამახსოვრებას. საგნების, ცხოველების ნახატებს მკაფიოდ მიაწერეთ მათი სახელები. ბავშვები ამ მასალასთან მუშაობის შედეგად იოლად იმახსოვრებენ საგნისა და შესაბამისი სიტყვის ხატს. შემდეგ განაცალკევეთ სიტყვა და სურათი და მიეცით ბავშვს დავალება, დამოუკიდებლად მოუძებნოს საგანს შესაბამისი სიტყვა .

ამ მეთოდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგი სავარჯიშოებით:

- „დავავალოთ მოსწავლეს ასოების გაფერადება. ასოების გაფერადებას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს ამ ასოს ხშირი გახმოვანება, და ასევე იმ სიტყვების დასახელება, რომელიც აღნიშნულ ასოზე იწყება“ (პაჭკორია 2011:53);

- გავაცნოთ მოსწავლეებს მათთვის ახალი ასო-ბგერები, მაგ: a, b, c, d, e, f . შემდეგ ავიღოთ დასურათებულ ბარათები, რომლებზეც მოცემულია ამ ასოებით დაწყებული საგნები. ამ ბარათების საშუალებით ვასწავლოთ როგორც ასო-ბგერები, ასევე, შესაბამის სიტყვები. ეს მისცემს მოსწავლეებს შესაძლებლობას ახალი ასო-ბგერა აღიქვან არა იზოლირებულად, არამედ ამ ასოთი დაწყებულ სხვადასხვა სიტყვასთან ერთად, მაგ: a- apple, b- bag, c- cat , d – dog , f- fish და ა.შ.

- ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ასოები არეული თანმიმდევრობით. მოსწავლეებს ვთხოვოთ იპოვონ იდენტური ან განსხვავებული ასოები;

- რამდენიმე მოსწავლე გამოვიყვანოთ დაფასთან. დავურიგოთ ფერად ფურცლებზე დაწერილი ასოები და ვთხოვოთ განლაგდნენ ანბანის თანმიმდევრობით. თუკი მოსწავლეები ვერ შეძლებენ დავალების შესრულებას, თანაკლასელებს ვთხოვოთ დაეხმარონ მათ.

- მოსწავლეებს დავურიგოთ ასოები არეულად. შემდეგ ვეთამაშოთ, თითქოს ეს ასოები დაგვეკარგა და ვეძებთ: Where is my letter B? Where is my letter D?

მოსწავლეები გამოდიან დაფასთან, ხმამაღლა იმეორებენ ასოს და ეცნობიან კლასს: I am letter B , I am letter D და ა. შ.

- დაფაზე ჩამოვწეროთ ანბანი. გამოვიყვანოთ თითოეული მოსწავლე, დავასახელოთ ანბანის რომელიმე ასო და ვთხოვოთ მოსწავლეს მოგვიძებნოს ის დაფაზე: Can you find letter M? Can you find letter S? ინსტრუქცია შეგვიძლია ხშირად შევცვალოთ, მაგალითად: ზოგჯერ ვთხოვოთ იპოვოს ასო და შემოხაზოს: Please find the letter and circle it, ზოგჯერ ვთხოვოთ გადახაზოს: Please find the letter and cross it out და ა. შ. ეს დაგვეხმარება დავადგინოთ, რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს ასოების სწორად ამოცნობა და ამავე დროს, ეს ხელს შეუწყობს სამიზნე ენის გამოყენებით ისტრუქციების გაგებას.

- მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ბგერების სიტყვებად გაერთიანება, ამისათვის მოსწავლეებს ვაწვდით ბარათებს შესაბამისი გამოსახულებით. გამოსახულება ეხმარება მოსწავლეს ამოკითხული ბგერების სიტყვად გაერთიანებაში და პარალელურად ხდება ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა;

- მოსწავლეს ვაძლევთ ბარათებს გამოსახულებებით, რომლებზეც სიტყვები შეცდომით არის დაწერილი (ბგერები გამოტოვებული, გადანაცვლებული, გამეორებული ან ჩანაცვლებულია). ინსტრუქციის შესაბამისად, მოსწავლეს ევალება იპოვოს შეცდომები დაწერილ სიტყვებში და გაასწოროს;

- მოსწავლეს მივაწოდოთ ბარათი გამოსახულებით, მისი შესაბამისი სიტყვა კი დაწერილი იყოს რამდენიმე ასოს ან ბგერის გამოტოვებით. ვთხოვოთ, ყურადღებით წაიკითხოს მოცემული ასოები და ბარათის გამოსახულების გათვალისწინებით ჩაამატოს შესაბამის ადგილას გამოტოვებული ასოები;

- გადაბმით, ინტერვალების გარეშე ვწერთ რამდენიმე სიტყვას, მოსწავლეს კი ვთხოვთ ამოიკითხოს ცალკეული სიტყვები და ხაზი გაავლოს იქ, სადაც აღნიშნული სიტყვა მთავრდება და იწყება ახალი, ან ვთხოვოთ რვეულში გადაიწეროს ეს სიტყვები ცალ-ცალკე.

- მოსწავლეებს დავყობთ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დავურიგებთ ფერად ფურცლებზე დაწერილი ასოები. ამ ასოებით მოსწავლეები აწყობენ ცალკეულ სიტყვებს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწორად ააწყობს სიტყვებს.

- დაფაზე ჩამოვწეროთ არეული ასოები და ვთხოვოთ მოსწავლეებს მოცემული ასოებით ააგონ სიტყვები, მაგ: g b a – bag , k b o o – book, s f h i- fish და ა. შ. გამოვიყვანოთ თითოეული მოსწავლე და ვთხოვოთ ააგოს სიტყვა. კლასის დანარჩენი მოსწავლეები რვეულებში გადაწერენ დაფაზე სწორად დაწერილ სიტყვებს.

- ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლეების მიერ აწყობილი სიტყვები არასწორია, მაგ. ჩამოწერილია შემდეგი ასოები: t n k t e i, მოსწავლემ ააგო სიტყვა "ten", მივცეთ შესაძლებლობა დაწეროს დაფაზე ეს სიტყვა, თუმცა შემდეგ ვუხსნით, რატომ არის მისი ვარიანტი მცდარი - მას მორჩა დანარჩენი ასოები. შემდეგ ვაძლევთ შესაძლებლობას თვითონ ააგოს სწორი სიტყვა „kitten", შეცდომის დაშვების შემთხვევაში, გამოგვყავს სხვა მოსწავლე.

მოსწავლეები ხშირად უშვებენ შეცდომებს მარტივი სიტყვების აწყობის დროსაც, მაგ: b D a ასოებიდან მოსწავლემ ააგო სიტყვა daD. ვუხსნი, რომ ეს არასწორი განლაგებაა, ვინაიდან ასომთავრული ასო-ბგერა იწყებს სიტყვას და არ ამთავრებს მას, რის შემდეგაც ვთხოვ სწორად დაწეროს ეს სიტყვა.

მოსწავლეებს დავალებები მივცეთ არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ წყვილებში და ჯგუფებში სამუშაოდ. ჯგუფში მუშაობის დროს იზრდება თითოეული მოსწავლის მოტივაცია და პასუხისმგებლობა. ისინი აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სახლში მეცადინეობა, ვინაიდან თითოეული მათგანის ცოდნაზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება.

მოსწავლეთა გამოძახება შესაძლოა ზოგჯერ ხდებოდეს მათი ინიციატივით, ზოგჯერ - შემთხვევითი შერჩევით. მაგალითად: ყუთში ჩავყაროთ ფურცლები მოსწავლეთა წინასწარ გამზადებული სახელებით, ამოგვაქვს თითოეული ფურცელი და ვიძახებთ მოსწავლეებს. ეს გვაძლევს შესაძლებლობას ისინი რიგ-რიგობით გამოვიძახოთ დაფასთან. დაწყებით კლასებში ბავშვები ხშირად იჩენენ ინიციატივას, მათ სურთ თამაში, ან თავის გამოჩენა. შემთხვევით ამოღებული ფურცელი კი არ აძლევს მათ შესაძლებლობას განაწყენდნენ იმის გამო, რომ ხშირად არ ხდება მათი გამოძახება.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისათვის ვიყენებთ მეთოდს „გამოსაძახებელი ჩხირები“. თითოეულ ჩხირს ვაწერთ თითო ბავშვის სახელს და ყველას ერთად ვათავსებთ ჭიქაში. გაკვეთილის მსვლელობის დროს, კითხვების დასმის შემდეგ, ჭიქაში ჩაუხედავად ვიღებთ ჩხირს, პასუხისათვის მივმართავთ იმ მოსწავლეს ვისი სახელიც აწერია ჩხირს (კითხვის დასმამდე არ არის სასურველი ჩხირის ამოღება, რადგან დანარჩენი მოსწავლეები მას არ მოუსმენენ). მას შემდეგ, რაც გამოძახებული მოსწავლე კითხვას უპასუხებს, ჩხირს უკან ვაბრუნებთ ჭიქაში. თან მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ მათ შეიძლება კვლავ მოუწიოთ გამოძახება. ისინი ყურადღებით არიან მთელი გაკვეთილის განმავლობაში. თუ მასწავლებელი ერთხელ ამოღებულ ჩხირს გვერდზე გადადებს, მოსწავლე მას ყურადღებას აღარ მიაქცევს, ჩათვლის, რომ მასწავლებელმა მასთან მუშაობა დაასრულა.

კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის ეფექტურად ვიყენებ დიალოგის სწავლების სტრატეგიას. სასკოლო სახელმძღვანელო „English world 1“-ის 25-ე გვერდზე მოსწავლეები ეცნობიან პირველ დიალოგს. სასწავლო პროცესის ამ ეტაპისათვის მათ მოეთხოვებათ მხოლოდ ინგლისური ასოების ამოცნობა და ელემენტარული სიტყვების კითხვა. იმისათვის, რომ წავაკითხოთ მოსწავლეებს ეს დიალოგი, ვსარგებლობთ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციით, რომელშიც შეგვაქვს გარკვეული კორექტივები.

- დასურათებული ბარათების საშუალებით ვაცნობთ მოსწავლეებს ახალ სიტყვებს და ვამეორებინებთ, რათა ისინი ბევრჯერ გაიგონონ. ეს მათ ეხმარება შემდეგ უკვე ამ სიტყვების სწორად წარმოთქმაში და წაკითხვაში;

- მოსწავლეებს ვთხოვთ წიგნში მოცემულ სურათზე იპოვონ უკვე ნასწავლი საგნები;

- შემდეგ მოსწავლეებს ვასმენინებთ აუდიოჩანაწერში მოცემულ დიალოგს. მოსწავლეები უსმენენ და თითს აყოლებენ დიალოგის დაწერილ ვერსიას თავიანთ წიგნებში;

- მოსწავლეები ისევ განმეორებით უსმენენ დიალოგს, თვალს აყოლებენ ტექსტს და ამჯერად ხმამაღლა კითხულობენ მოსასმენთან ერთად;

- დიალოგის რთულ წინადადებასთან ვჩერდებით და ვცდილობთ რამდენჯერმე გავუმეოროთ ის მოსწავლეებს და მათაც ვთხოვოთ გაიმეორონ ის ჩვენთან ერთად;

- მხოლოდ დიალოგის სათანადოდ მოსმენის და აღქმის შემდეგ, ვანაწილებთ წყვილებში ან ჯგუფებში როლებს და ვთხოვთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად წაიკითხონ ის;

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ვაჩვენეთ, როგორ ხდება დიალოგის მოსმენა, ვაძლევთ საშინაო დავალებას ინსტრუქციით - იგივე დიალოგი რამდენჯერმე მოისმინონ და წაიკითხონ სახლში.

დაწყებითი საფეხურის მხოლოდ მეორე დონეზე გადასვლისას შეგვიძლია გავართულოთ დავალების პირობა, ვთხოვოთ მოსწავლეებს გადაინაწილონ როლები და საკუთარი სახელების გამოყენებით გაითამაშონ ნასწავლი დიალოგის მიხედვით მსგავსი სიტუაციური დიალოგი. პირველ დონეზე ამის გაკეთება არ არის რეკომენდებული.

მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემულია შემდეგი ინსტრუქცია: „თუკი თქვენი კლასის მოსწავლეებს შესწევთ ამის უნარი, შეგიძლიათ შეარჩიოთ რამდენიმე მოსწავლე, რომელთაც უყვართ კითხვა, დაუნაწილეთ მათ როლები, დაავალეთ წაიკითხონ დიალოგი როლებში, მაშინ როდესაც სხვა მოსწავლეები თითს გააყოლებენ თვალს თავიანთ სახელმძღვანელოში. თუმცა, თუკი თქვენ მოსწავლეებს ეს ჯერ არ შეუძლიათ, გამოტოვეთ ეს აქტივობა. რაც უფრო მეტ დიალოგს გაეცნობიან მოსწავლეები, მით უფრო თავდაჯერებულები გახდებიან და ეტაპობრივად მზად იქნებიან დამოუკიდებლად დიალოგების წაკითხვისათვის. თუმცა, სულაც არ არის სავალდებულო, მათ ეს გააკეთონ მანამ, სანამ არ იქნებიან დარწმუნებული, რომ მზად არიან ამისათვის ან აქვთ ამის სურვილი“ (ჰოკინგსი, 2009: 27). ამის მიუხედავად, ზოგიერთი მასწავლებელი პირველივე კლასში ითხოვს მოსწავლეებისაგან დიალოგების ზეპირად ჩაბარებას, რაც არ მოეთხოვებათ სახელმძღვანელოს ინსტრუქციის მიხედვით და არც ეროვნული სასწავლო გეგმა ავალდებულებს მათ ამ უნარების განვითარებას. თუკი მოსწავლეები ფლობენ უცხო ენას და მათთვის ეს არ წარმოადგენს სირთულეს, მაშინ მასწავლებელს შეუძლია

ჩართოს მოსწავლე ყველა სახის აქტივობაში, თუმცა ჩვენს რეალობაში ასეთი მოსწავლეები, განსაკუთრებით, საჯარო სკოლებში, ნაკლებად გვხვდება და არც მოეთხოვებათ პირველკლასელებს უცხოურ ენაში ამ უნარების ფლობა.

ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო იყო, დიალოგის სწავლების დროს რა მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას სხვა მასწავლებლები, მათ მივმართეთ შემდეგი კითხვით:

რა მეთოდს იყენებთ დიალოგის გამოკითხვის დროს? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)	
13% მასწავლებელი	მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხვითი ფორმით მაბარებენ დიალოგებს
39% მასწავლებელი	მოსწავლეები წყვილებში კითხვითი ფორმით მაბარებენ დიალოგებს
11% მასწავლებელი	მოსწავლეები ინდივიდუალურად ზეპირი ფორმით მაბარებენ დიალოგებს
29% მასწავლებელი	მოსწავლეები წყვილებში ზეპირი ფორმით მაბარებენ დიალოგებს
8% მასწავლებელი	სხვა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა უმეტესობა იცავს ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დიალოგებს კითხვითი ფორმით წყვილებში ითხოვს მოსწავლეებისაგან. მოცემული სქემიდან ასევე ჩანს, რომ 13% მასწავლებელი ცალკეულ მოსწავლეებს თხოვს ინდივიდუალურად კითხვითი ფორმით ჩააბარონ დიალოგი. თუმცა, ვფიქრობ, წყვილებში დიალოგების წაკითხვა ბევრად უკეთესი იქნებოდა, რადგან ასეთი გამოკითხვა უფრო ახალისებს მოსწავლეებს, ამასთან, ეს დაეხმარებოდა მასწავლებელს დროის დაზოგვაში, მისცემდა შესაძლებლობას უფრო მეტი მოსწავლე გამოეკითხა გაკვეთილზე.

29% მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ეს დიალოგები ინდივიდუალურად ზეპირი სახით ჩააბარონ. ჩვენთვის მართლაც საინტერესოა, როგორ ახერხებენ პირველკლასელი მოსწავლეები ზეპირად ისწავლონ დიალოგები, მაშინ როდესაც

მათ არ იციან გამართულად კითხვა. რთული დასაჯერებელია, რომ მათ დიალოგის დამახსოვრებაში კლასში მხოლოდ რამდენჯერმე მოსმენილი ტექსტი დაეხმარება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობას სახლში არ აქვს აუდიომასალაზე წვდომა. ჩნდება კითხვა, როგორ ახერხებენ მოსწავლეები სახლში დიალოგების დამუშავებას და მათ დაზეპირებას? რამდენად ეფექტურია დიალოგების უბრალოდ დაზეპირება და მათი ინდივიდუალურად ზეპირი ფორმით ჩაბარება?

ტექსტის წაკითხვის სწავლების დროს ვიყენებთ შემდეგ სტრატეგიას:

- დასურათებული ბარათების საშუალებით წინასწარ ვასწავლით მოსწავლეებს ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს;

- შემდეგ ვთხოვთ, ნასწავლი საგნები იპოვონ წიგნში მოცემულ სურათზე. ვსვამთ კითხვებს აღნიშნული საგნების შესახებ. მოსწავლეები ცდილობენ ამ საგნების აღწერას მათი თვისებების, ფორმის, ზომის, ფერების მიხედვით;

- გავაცნოთ და განვიხილოთ ტექსტის სათაური;

- ჩავურთოთ მოსწავლეებს აუდიოჩანაწერი. მოსწავლეები უსმენენ და პარალელურად კითხულობენ ტექსტს;

- ამის შემდეგ ვუკითხავთ მოსწავლეებს ტექსტის ცალკეულ წინადადებებს. დავუსვათ კითხვები თითოეული წინადადების ირგვლივ. შემდეგ ვკითხულობთ მეორე ხაზს და ისევ ვსვამთ კითხვებს. ასე ვკითხულობთ მთლიან ტექსტს;

- ზოგჯერ ბავშვებიც კითხულობენ მასწავლებელთან ერთად. მოსწავლეებისათვის რთულად გასაგებ წინადადებებს რამდენჯერმე ვუმეორებთ, საჭიროების მიხედვით;

- მხოლოდ ტექსტის სათანადოდ დამუშავების შემდეგ ვთხოვთ მოსწავლეებს - კიდევ ერთხელ მოუსმინონ აუდიოჩანაწერს და თავისთვის წაიკითხონ ტექსტი. სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეებს თავად ვაკითხებთ ტექსტის ცალკეულ წინადადებებს დამოუკიდებლად, საჭიროების შემთხვევაში - ვეხმარებით.

რა თქმა უნდა, ტექსტის სწავლებამდე შესრულებული აქტივობები არ გვაძლევს სრულ გარანტიას, რომ მათი წყალობით მოსწავლეებისათვის ტექსტში ყველაფერი გასაგები იქნება, ამიტომაც ვაგრძელებთ რთული წინადადებების ახსნას ტექსტის

კითხვის დროს. ამ მცირე დეტალებზე ყურადღების გამახვილება, ვფიქრობთ, საჭიროა, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი მასწავლებელი უბრალოდ ჩამოწერს უცხო სიტყვებს დაფაზე, მოსწავლეები ჩაიწერენ მათ რვეულებში, შემდეგ მასწავლებელი ერთხელ წაუკითხავს მოსწავლეებს ტექსტს, უთარგმნის მას და დავალებად აძლევს, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელია. ვერცერთი პირველკლასელი მოსწავლე ვერ წაიკითხავს ასეთი მეთოდით ახსნილ ტექსტს დამოუკიდებლად სახლში. მშობლების უმეტესობამ ინგლისური ენა არ იცის, შესაბამისად, ვერც ისინი გაუწევენ ბავშვებს დახმარებას.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესო იყო, როგორ ასწავლიან სხვა მასწავლებლები სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებს. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ 6% მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს, აძლევს ტექსტს დავალებად და გამოიკითხავს მომდევნო გაკვეთილზე; 43% მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მათთან ერთად აღწერს ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიოჩანაწერს, რის შემდეგაც, მასწავლებლის დახმარებით, თვითონ კითხულობენ ტექსტს. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს საშინაო დავალებად ტექსტს წასაკითხად; 39% მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მათთან ერთად აღწერს ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ ხმამაღლა უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს, რის შემდეგაც მოსწავლეები თვითონ კითხულობენ მას. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს საშინაო დავალებად ტექსტს წასაკითხად.

როგორც ვხედავთ, 43% მასწავლებელი იყენებს აუდიოჩანაწერს ტექსტთან მუშაობის დროს, დანარჩენები თვითონ უკითხავენ მოსწავლეებს ტექსტს. ვფიქრობთ, რომ აუდიომასალის გამოყენება ბევრად ეფექტური იქნებოდა. თუ გვინდა მოსწავლეებს განუვითარდეთ მოსმენის უნარი, აუცილებელია აუდიომასალის გამოყენება, თუნდაც საგაკვეთილო პროცესში. ვინაიდან მოსწავლეთა უმეტესობა ამას ვერ ახერხებს სახლში, ამის გაკეთება საგაკვეთილო პროცესში მაინც უნდა მოვახერხოთ.

რამდენიმე მასწავლებელმა შემოგვთავაზა ტექსტთან მუშაობის მისეული მეთოდი:

- ვკითხულობ რამდენჯერმე ტექსტს, შემდეგ ამოვწერ დაფაზე უცხო სიტყვებს და მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ;
- წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მათთან ერთად აღვწერ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიოჩანაწერს, რის შემდეგაც მათ ხმამაღლა ვაკითხებ და ვათარგმნინებ ტექსტს. მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევს ტექსტს დავალებად;
- წინასწარ ვაცნობ ლექსიკურ ერთეულებს, აღვწერთ სურათს, ვასმენინებ აუდიოჩანაწერს წყვეტით, ვკითხულობთ ტექსტს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ მოსწავლეებს სასშინაო დავალების შესასრულებლად კონკრეტული ტექსტი და მასთან დაკავშირებული შესასრულებელი სამუშაოები;
- დაფაზე ჩამოვწერ ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს, ვხსნი ტექსტში მოცემულ გრამატიკულ მასალას, ტექსტს ვკითხულობთ ერთად, ხმამაღლა, შემდეგ შეძლებისდაგვარად ვუსმენთ აუდიომასალას, ამის შემდეგ ვაძლევ ტექსტს დავალებად;
- ჯერ შევასწავლი უცხო სიტყვებს და ჩავაწერინებ მათ, შემდეგ მოვასმენინებ მთლიანად. მეორე მოსმენაზე ჩანაწერს ვაჩერებ, ვაკითხებ მოსწავლეს იმ ნაწილს და ვათარგმნინებ. შემდეგ ვაძლევ საშინაო დავალებად;
- წინასწარ მოსწავლეებთან ერთად აღვწერ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ ხმამაღლა ვეუბნები სიტყვებს და ბავშვები იმეორებენ ტექსტში მოპოვებულ სიტყვებს. ვუკითხავ ტექსტს, ვთარგმნით, შემდეგ თვითონ მოსწავლეები კითხულობენ. ვსვამ კითხვებს, პასუხობენ. ამის შემდეგ ვაძლევ დავალებას.
- ვაკითხებ, განვიხილავ სიტყვის წარმოებას, დაფაზე ვწერ ახალ სიტყვებს, ვსვამ ტექსტის ირგვლივ შეკითხვებს, ვაკეთებთ კომენტარებს და შემდეგ ვაძლევ სახლში სასწავლად;
- ვკითხულობ ხმამაღლა ტექსტს, დაფაზე ვწერ უცხო სიტყვებს ტექსტიდან და მოსწავლეებთან ერთად ვმუშაობ დაკავშირებულ მასალაზე;

- პირველ კლასში კითხვა არ არის;

- პირველ კლასში მხოლოდ ასო-ბგერებს სწავლობენ და ამ ასოების გამოყენებით სურათებს. მეორე სემესტრში ვიწყებთ ასო-ბგერების წერას;

- პირველ კლასში ტექსტებს არ ვასწავლი, სიტყვებს ვასწავლი ბარათებით.

გამოკითხულთა პასუხების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ პირველკლასელი მოსწავლეებისათვის რთული აღსაქმელი იქნება წავუკითხოთ ტექსტი, რომელშიც მოცემულია მათთვის უცნობი სიტყვები. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბევრად უფრო ეფექტური იქნება, თუკი მოსწავლეებს წინასწარ გავაცნობთ სიტყვებს დასურათებული ბარათების გამოყენებით და მხოლოდ ამის შემდეგ გავაცნობთ ტექსტს.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები ხშირად უთარგმნიან მოსწავლეებს ინგლისურ სიტყვებს და წინადადებებს, თუმცა მიმაჩნია, რომ თუ მოხდება ტექსტში გამოყენებული სიტყვების წინასწარ გაცნობა დასურათებული ბარათების გამოყენებით, რომლებიც მთელი გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოკრული გვქონდეს დაფაზე, მაშინ მასწავლებელს არ დასჭირდება ყოველი სიტყვის თარგმანის გაკეთება. ამისათვის სურათზე მითითებაც საკმარისი იქნება.

დაწყებითი საფეხურის მეორე დონეზე მოსწავლეს უკვე შეუძლია „მცირე ზომის ილუსტრირებული ტექსტების გაგება და მათში ინფორმაციის მოძიება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ნაცნობ სიტყვებსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს 2-3-წინადადებიანი მიკროტექსტის შინაარსს; მოსმენისას დამუშავებულ ტექსტში მოიძიებს ნაცნობ სიტყვებს წინასწარ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (მაგ., ხილის, ცხოველების და ა. შ. აღმნიშვნელ სიტყვებს); ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასრულებს კონკრეტულ ქმედებას (ასრულებს ნახატს, პოულობს შესატყვის ილუსტრაციას და სხვა)˜ (ესგ, 2016:469).

დაწყებითი საფეხურის მეორე დონის ბავშვებთან ტექსტზე მუშაობის დროს, კითხვის უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მივმართავთ შემდეგ სტრატეგიებს:

- დასურათებული ბარათების საშუალებით ვაცნობთ მოსწავლეებს ახალ სიტყვებს;

- ვაჩვენებთ მოსწავლეებს ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, ვთხოვთ მოძებნონ მათთვის ნაცნობი საგნები და დაახასიათონ ისინი მათი ფერების, ფორმის თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით. ვსვამთ კითხვებს სურათზე გამოხატული საგნების, პერსონაჟების შესახებ;

- ვაცნობთ და განვიხილავთ მოსწავლეებთან ერთად ტექსტის სათაურს; ამის შემდეგ მოსწავლეები უსმენენ აუდიოჩანაწერს. თითოეული პარაგრაფის შემდეგ ვაჩერებთ ჩანაწერს, ხელახლა წავუკითხავთ იგივე პარაგრაფს მოსწავლეებს და ვსვამთ სხვადასხვა კითხვას მოცემული წინადადებების ირგვლივ.

- შემდეგ კიდევ ერთხელ ვთხოვთ მოსწავლეებს მოისმინონ ტექსტი აუდიოჩანაწერის საშუალებით, ან თვითონ წავუკითხავთ მათ. აქ მთავარი არის ის, რომ მოსწავლეებიც კითხულობენ ჩვენთან ერთად;

- თუკი ტექსტი შეიცავს რთულ სიტყვებს, ფრაზებს ან წინადადებებს, ვცდილობთ რამდენჯერმე გავუმეოროთ ისინი მოსწავლეებს;

- ამის შემდეგ კი სურვილის მიხედვით მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს.

ტექსტთან მუშაობის დროს სასურველია გამოვიყენოთ შემდეგი სახის აქტივობა: ვთხოვოთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი და შეავსონ გამოტოვებული სიტყვებით. ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სურათები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს გამოტოვებული სიტყვის გამოცნობაში; შეგვიძლია დავაწყვილოთ სხვადასხვა სიტყვა და ვთხოვოთ მოსწავლეებს გამოიცნონ, რომელი მათგანით შეიძლება შევავსოთ ტექსტში გამოტოვებული ცარიელი ადგილი. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპისთვის, დავალების გამარტივების მიზნით, სურათების გამოყენება საკმაოდ ეფექტური საშუალებაა.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია: T დიაგრამა, ჭემარიტია/ მცდარია, სიტყვების დაწყვილება/ დაკავშირება, ვენის დიაგრამა, პაუზებით კითხვა, ტექსტის კითხვა ნიშანთა სისტემით, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და სხვა.

სასურველია, მასწავლებელი ხშირად იყენებდეს საინტერესო მოთხრობებს გაკვეთილზე. ბავშვებს უყვართ, როცა მათ უკითხავენ მოთხრობებს, ან როცა ისინი

თავად კითხულობენ მათ. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სათანადო აქტივობები, სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს კითხვის უნარის განვითარებას. კითხვა განამტკიცებს ლექსიკას, გრამატიკულ სტრუქტურას, ისეთ შემეცნებით უნარებს, როგორიცაა ვარაუდი, ახალი სიტყვების გამოცნობა; ავარჯიშებს მეხსიერებას. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სასწავლო პროგრამის შესაბამისი თემატიკის მოთხრობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათთვის ნაცნობი ენობრივი ერთეულების განმტკიცებას.

ბავშვებისთვის შერჩეულ მოთხრობას უნდა ჰქონდეს მარტივი სიუჟეტი, არ უნდა იყოს გრძელი: მასში გამოყენებული ენობრივი ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ენობრივი ცოდნის დონეს. ის უნდა შეიცავდეს განმეორებად ფრაზებს. მოთხრობაში გამოყენებული დიალოგები უნდა იყოს მოკლე და მარტივად დასამახსოვრებელი.

დაწყებით კლასებში, უცხოური ენის შესწავლის საწყის ეტაპზე, კითხვის უნარის განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შეიძლება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჩვენ მიერ განხილული მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს სწავლების ამ ეტაპზე კითხვის უნარის განვითარებას.

ყოველივე ზემო აღნიშნული გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნა. დაწყებით საფეხურზე უცხო ენის შესწავლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეტყველო უნარების განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას წარმოადგენს კითხვის უნარის განვითარება. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომები და სტრატეგიები, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს კითხვის უნარის განვითარების ისეთ ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: ზეპირი მეტყველება; წიგნისა და ტექსტის მახასიათებლის ცოდნა; ფონეტიკური ცოდნა/ანბანის ცოდნა; ლექსიკური მარაგი/ სიტყვების ცოდნა; მთლიანი სიტყვების ამოცნობა; გამართული კითხვა, გაგება/ გააზრება/ მნიშვნელობის კონსტრუირება.

3.2. წერის უნარის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები

დაწყებით საფეხურზე წერის უნარის განვითარება წარიმართება კითხვის უნარის განვითარების პარალელურად. სკოლის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ზეპირად და წერილობით ინფორმაციის გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

წერა ადამიანებს საშუალებას აძლევს გამოხატონ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება რაიმე საგნის თუ მოვლენის მიმართ, გასაგები გახადონ სათქმელი. წერა და ფიქრი ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ის ხელს უწყობს კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებას, ჩაღრმავებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ცნობილი ფსიქოლოგი, ლევ ვიგოტსკი, ჯერ კიდევ 1931 წელს აღნიშნავდა, რომ მხოლოდ წერის ტექნიკის დაუფლება წერის ცოდნას არ ნიშნავს. ის ასეთ წერას ადარებდა პიანისტის საქმიანობას, რომელიც შეიძლება თითებს ვირტუალურად ამოძრავებს, მაგრამ მელოდია არ გამოსდიოდეს. ლევ ვიგოტსკის აზრით, წერის სწავლება ისე უნდა წარვმართოთ, რომ წერა მოსწავლეს კონკრეტული მიზნისათვის სჭირდებოდეს, ბუნებრივად ჩართული იყოს მისთვის მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელების საქმეში. ნაწერის მეშვეობით ბავშვმა ვიღაცას რაღაც უნდა გააგებინოს, გაუზიაროს. ასეთ შემთხვევაში წერა აღარ იქნება უბრალოდ თითების მოტორული ჩვევა და წერით მეტყველებად გადაიქცევა (ვიგოტსკი, 1983: 78).

„განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლე ამოწერს ასოებს, ნასწავლ სიტყვებს. წერა ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე ენობრივი მასალის დამახსოვრებას. თანდათანობით მოსწავლეები გადადიან პროდუცირებაზე. ისინი სწავლობენ ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, სადაც იძენენ ამბების, ფაქტების, მოვლენების თანმიმდევრულად გადმოცემისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე უფრო მეტად გაიშლება და დაიხვეწება“, - აღნიშნულია ეროვნულ საწავლო გეგმაში (ესგ, 2016: 459).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს უნდა შეეძლოს ასოების, სიტყვების წერა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: „აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი; საით მრგვალდება რკალი; რამდენი რკალია და ა.შ.); ხელის სწორი მოძრაობით გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას; ხელის სწორი მოძრაობით რვეულში გამოწერს ანბანის მთავრულ და არამთავრულ ასოებს; იცავს ბადეში ასოს ჩაწერის წესებს (სტრიქონზე განლაგება, ზომა და მოხაზვის მიმართულება); ნაწერიდან ან ნაბეჭდი წყაროდან გადმოწერს იმ სიტყვებს, რომელთა ასო-ბგერების ურთიერთშესაბამისობაც შესწავლილი აქვს“ (ესგ, 2016: 466).

წერა რთულად ორგანიზებული ოპერაციაა, რომლის დაუფლება მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. „წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობის გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატური პროცესი. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა (წვდომა, თუ რა ცალკეული ბგერებისა და ასოებისაგან შედგება მოცემული სიტყვა), ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში, გახსენება ასოს სწორი მოყვანილობისა, და ბოლოს, უნდა ჰქონდეს შესაბამისად განვითარებული ნატიფმოტორული უნარი ასოს შესაბამისად გამოსაყვანად“ (პაჭკორია, 2011: 56).

პედაგოგები წერის დასწავლის პროცესში აქცენტს არა მხოლოდ ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე ვაკეთებთ, არამედ მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებს ის მისგან სიტყვის, სიტყვებისგან კი - წინადადების აგებას. სიტყვები და წინადადებები მოსწავლეს საკუთარი ნააზრევის და განცდების გამოხატვის და გადმოცემის საშუალებას აძლევს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული ასოების გადმოწერის დასწავლა წერის უნარის განვითარებას ვერასდროს შეუწყობს ხელს. პარალელურად აუცილებელია სიტყვის შემადგენელი ერთეულების - ბგერების აღქმასა და დიფერენცირებაზე მუშაობა.

„სიტყვის წერის პროცესის პირველ ეტაპს სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი წარმოადგენს. ხმოვანი ნაკადიდან მოსწავლემ უნდა გამოჰყოს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. მან უნდა განსაზღვროს, რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა. შ. ხმოვანი ერთეულების დიფერენცირების შემდეგ მნიშვნელოვანია ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემებისაგან განსხვავება“ (პაჭკორია, 2011: 56).

„სიტყვის ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება და მათი სწორად ჩაწერა. წინადადების ჩაწერისას კი სიტყვების თანმიმდევრობის დაცვაც არის საჭირო. სიტყვის ჩაწერის შემდგომი ეტაპი ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფებად) გადაყვანას გულისხმობს. ამისთვის მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს ნასწავლი, თუ როგორ გამოიყურება ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით უნდა გამოსახოს საჭირო ასო, ანუ შეძლოს ფონემების გრაფიკული გამოსახვა“ (პაჭკორია, 2011: 57).

გაგაცნობთ ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილებას, რა ტიპის სავარჯიშოებით ვახდენთ წერის უნარის გაუმჯობესებას მოსწავლეებში. ესენია:

- უპირველესად, ვმუშაობთ წერის წინმსწრები უნარების განვითარებაზე, საწერი საშუალების ხელში სწორად დაჭერის უნარის განვითარებაზე: გაფერადება, მარტივი ნახატის შექმნა და ა. შ. ვაძლევთ დავალებას - გააფერადონ, დახატონ ის საგნები და ნივთები, აუდირების ან თვალსაჩინოების დროს ნასწავლი და აღქმული საგნები. გაფერადებისას დაიცვან კონტურები. ხატვის თუ გაფერადების დასრულების შემდეგ ყოველთვის ვეკითხებით, რა დახატეს და ვთხოვთ აღწერონ ნახატი მათთვის უკვე ნაცნობი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით.

- მოსწავლეს წერტილების შეერთებით ვასწავლით შექმნან ნახატი სხვადასხვა გრაფიკული გამოსახულებებით. ეს შეიძლება იყოს წრე, სწორი ხაზი, ელიფსი და ა. შ. მომდევნო ეტაპზე ვთხოვთ მათ სწორი ხაზი და წრე დააკავშირონ ერთმანეთთან და შესაბამისად, ეტაპობრივად ვაღწევთ იმას, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ ასოები: "a" , "b", "d" და ა. შ.

- ინგლისურ ენაში ვიყენებთ დიდ და პატარა ასოებს. შესაბამისად, მასწავ-ლებლებს გვიხდება მოსწავლეებისათვის ორივე მათგანის სწავლება. მაგალითად:

It is: capital - A , small- a, capital - B, small – b, capital – D, small – d. ამის შემდეგ ვამოწმებთ, როგორ გაიგო მოსწავლემ დიდი და პატარა ასოების წერა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ვთხოვ მათ, რვეულებში გადაიტანონ დაფაზე დაწერილი ასოები, ან კიდევ კლასს ვკარნახობთ ასო-ბგერებს და ვთხოვთ ისინი დიდი და პატარა სიმბოლოებით დააფიქსირონ რვეულებში.

- დავყოფთ მოსწავლეებს ჯგუფებად, შემდეგ დაფასთან გამოგვყავს თითოეული ჯგუფის ერთი წევრი, ვკარნახობთ ინგლისურ ასო-ბგერას და ვთხოვთ დაწეროს დაფაზე, მაგ: capital - A, small - a, capital - B, small - b. მოსწავლე აგრძელებს ასოების წერას მანამ, სანამ სწორად წერს მათ დაფაზე. თითოეული სწორად დაწერილი ასო არის ჯგუფის თითო ქულა. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, დაფასთან გამოდის სხვა ჯგუფის წევრი, ასწორებს დაშვებულ შეცდომას და აგრძელებს წერას. ზოგჯერ ჯგუფები თვითონ ირჩევენ, ვინ გამოვა დაფასთან, ზოგჯერ კი ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს. მოსწავლეები გულშემატკივრობენ თავიანთი ჯგუფის წევრებს და ამასთან, ამახსოვრდებათ სწორად დაწერილი ასოები. თამაშის ბოლოს გამოვავლენთ გამარჯვებულ გუნდს, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა აქვს დაგროვილი.

- ვასახელებთ სიტყვას, ვიღებთ მოძრავი ანბანის რამდენიმე ასოს. ვთხოვთ მოსწავლეს, მოგვაწოდოს ამ სიტყვაში შემავალი პირველი, მეორე, ან ბოლო ასო;

- ეფექტურად ვიყენებთ ასო-ბგერების შესწავლაში დასურათებულ ბარათებს კონკრეტული ასოების გამოსახულებით - მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ აღნიშნული ასო-ბგერით დაწყებული სიტყვები. თუ მოსწავლეს სიტყვების გახსენება გაურთულდება, დამატებით ვთავაზობთ სხვადასხვა გამოსახულებიან ბარათს, რომელთაგან უმრავლესობა აღნიშნულ ასოზე იწყება.

- მოსწავლეს ვაძლევთ ბარათებს გამოსახულებით და მოძრავ ანბანს შესაბამისი ასოებით არეული თანმიმდევრობით; ბარათზე მოცემული (გამოსახულების)

დასახელების შემდეგ მოსწავლემ ასოების სწორი თანმიმდევრობით უნდა ააწყოს შესაბამისი სიტყვა.

- მოცემულია ერთნაირი დაბოლოებების მქონე სიტყვები, რომლებსაც აკლია თითო ასო. მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ, რომელი ასო აკლია, ამაში კი მათ ეხმარება სიტყვების გვერდით მოცემული ნახატები. ბავშვები დაწერენ სიტყვას და ხმამაღლა კითხულობენ მასწავლებელთან ერთად.

- ერთ ხაზზე ჩამოწერილი ასოებიდან ამოვირჩიოთ ერთნაირი ან ერთმანეთისაგან განსხვავებული ასოები. იგივე შეგვიძლია შემდგომში გავაკეთოთ სიტყვებთან მიმართებით, ანუ დავალებად ვაძლევთ შემდეგ მითითებას: განსაზღვრეთ მოცემული სიტყვებიდან რომელი იწერება ერთნაირად, ან რომელი იწერება განსხვავებულად. ეს აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას - დააკვირდნენ ასოებს, იპოვონ მსგავსება-განსხვავება როგორც დაწერილ ასოებს, ასევე, სიტყვებს შორისაც.

- ეტაპობრივად შეგვიძლია გავართულოთ დავალება, შემდეგი სახით: სიტყვაში გამოვტოვოთ არა ერთი, არამედ 2 ასო-ბგერა და ვთხოვოთ მოსწავლეებს, გამოიცნონ გამოტოვებული ბგერები, რაშიც მათ ისევ დაეხმარება დასურათებული ბარათები.

- მოსწავლეს ვაწოდებთ ცალკეული სიტყვის აღმნიშვნელ გამოსახულებიან ბარათს, რომელთა გამოყენებით თავად უნდა შეადგინონ წინადადება.

უმეტესად, ბავშვებს არ შეუძლიათ ასოების სწორი ფორმულირება. ამიტომაც აუცილებელია მასწავლებელმა მოახდინოს ასო-ბგერების წერის მოდელირება. მაგ.: „მოსწავლეები უყურებენ, როდესაც თქვენ ნელა ხატავთ ასო-ბგერა "a"-ს დაფაზე“ (ჰოკინგსი, 2009:16). ანუ თქვენ თავად აჩვენებთ მოსწავლეებს, როგორ იწერება ასოები, დაფა კი გაძლევთ შესაძლებლობას, ერთდროულად მთელ კლასს ასწავლოთ წერა. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ მეორე მეთოდი: „ხელის მოძრაობით გამოვიყვანოთ საჭირო ასო ჰაერში, სთხოვეთ მოსწავლეებს, მათაც შეასრულონ იგივე მოძრაობები“ (ჰოკინგსი, 2009: 16). აღნიშნული მეთოდი აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, აღიქვან ასოების წერა თითების ნელი მოძრაობით. ეს მოძრაობები რამდენჯერმე გავიმეოროთ და მხოლოდ შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს, სცადონ თავიანთ სახელმძღვანელოში ამ ასოების ჩაწერა. ასევე, მოსწავლეები წერის დროს

აკვირდებიან მათ სამუშაო რვეულებში მოცემულ ისრებიან მინიშნებებს, რომლებიც ასწავლის ბავშვებს, რომელი მიმართულებით უნდა დაწერონ ასო (მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ). ეს ეხმარება ბავშვებს ასოების სწორად ფორმულირებაში.

ინგლისურად წერის სწავლა საკმაოდ რთული პროცესია, რადგან ფონემური ბგერები არ ემთხვევა დაწერილ ასოებს. რთულია, ასევე, ინგლისური წინადადებების წყობის დაუფლება. ამიტომაც, სანამ დავიწყებდეთ სიტყვებისა და წინადადებების წერას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ისინი ხშირად ჰქონდეთ მოსმენილი. წარმოთქმების ინგლისურად ხშირად მოსმენა ხელს უწყობს სწორად წაკითხვას და დაწერას.

ეტაპობრივად შეგვიძლია დავალებები გავართულოთ. თავდაპირველად, მოსწავლეები სწავლობენ დიალოგს, შემდეგ ვაძლევთ მსგავსი სახის დიალოგს გამოტოვებული სიტყვებით. სიტყვები მოცემულია დიალოგის დასაწყისში. ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, რომელი სიტყვა აკლია დიალოგს, სწორად ჩაწერონ ეს გამოტოვებული სიტყვა, შემდეგ კი ისევ წაიკითხონ ხმამაღლა ეს დიალოგი. ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია მოსწავლეებმა დამოუკიდებლად სწორად შეძლონ გამოტოვებული სიტყვის ჩაწერა, ამიტომ მივმართავთ ისეთ დავალებებს, რომლებიც მისცემს შესაძლებლობას გადაწერონ ეს სიტყვები. ანუ ნიმუშზე დაკვირვება და ნიმუშის მიხედვით წერა აუცილებელი პირობაა ამ ასაკის ბავშვებისათვის, იმისათვის რომ ისინი ავარიდოთ უამრავ შეცდომას. აქ გასათვალისწინებელია პიაჟეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ამ ასაკში იმყოფებიან კოგნიტური განვითარების კონკრეტული ოპერაციის სტადიაზე და ბავშვებს არ აქვთ განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება. მათ საგნების კლასიფიცირება შეუძლიათ თვალსაჩინოების გამოყენებით. ეტაპობრივად, ვცდილობთ გამოვიყენოთ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს დაწერონ სიტყვები თვალსაჩინოების გარეშე.

ეროვნული სასწავლო გეგმით, დაწყებითი საფეხურის მეორე დონეზე მოსწავლეს უკვე უნდა შეეძლოს სიტყვების, წინადადებების წერა. მან უნდა დაწეროს ასოები წესების დაცვით (სტრიქონზე განლაგება, ზომა, მოხაზვის მიმართულება); შეავსოს გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი, ანკეტა პირადი მონაცემებით; მოდელის

მიხედვით დაწეროს ღია ბარათი; შეავსოს ნაკლული ტექსტი საჭირო ინფორმაციით (გამოტოვებული სიტყვებით); ნაწერიდან ან ნაბეჭდი წყაროდან გადაიწეროს სიტყვები, მოკლე წინადადებები.

დაწყებით კლასებში მასწავლებლები ხშირად აძლევენ მოსწავლეებს ისეთი ტიპის საშინაო დავალებას, როგორიც არის სურათის აღწერა, აღნიშნული ვფიქრობ სირთულეს ქმნის. ვფიქრობთ, რომ პირველ და მეორე კლასში ჯერ კიდევ ნაადრევია ამ ტიპის დავალების მიცემა. ამ ეტაპზე, უმჯობესი იქნება, თუკი ასეთი სახის დავალებებს კლასში შევასრულებინებთ. მაგალითად, თუკი გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებს ვასწავლოთ სურათების მიხედვით რომელიმე ტექსტის შინაარსის წერილობითი აღწერა, ვაჩვენოთ სურათი და დავსვათ კითხვები მის ირგვლივ; მოსწავლეების პასუხებიდან ყველაზე შესაფერისი ვერსია დავწეროთ დაფაზე, წავიკითხოთ რამდენჯერმე და ვთხოვოთ მოსწავლეებს გადაწერონ ეს წინადადებები დაფიდან; შემდეგ გადავიდეთ მეორე სურათზე და ასე გავავაგრძელოთ ტექსტის ბოლომდე; გაკვეთილის ბოლოსთვის ყველა მოსწავლეს დაწერილი ექნება მოთხრობა სურათების აღწერის მიხედვით. ეს არ იქნება უბრალოდ დაფიდან გადაწერილი ტექსტი, არამედ ტექსტი, რომლის შექმნაში მთელი კლასი ღებულობს მონაწილეობას. რა თქმა უნდა, მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი გამართული წინადადებების გამოგონება, ამიტომაც ჩვენ გვიწევს მათთვის სწორი კონსტრუქციების კარნახი, ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვიწყებთ წინადადებებს და ვთხოვთ დასასრული დაწერონ თავად, ზოგჯერ ვაგრძელებთ, ზოგჯერ ვასრულებთ, ზოგჯერ ვცდილობთ დავსვათ კითხვები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს თავად შექმნან სწორი წინადადებები და აღწერონ სურათზე მოცემული სიტუაცია. დაფაზე დაწერილი წინადადება შეგვიძლია წავაკითხოთ მოსწავლეებს ხმამაღლა და მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვოთ მათ გადაწერონ ის რვეულში. მოთხრობის დაწერის შემდეგ, მოსწავლეებს წავაკითხებთ შედგენილი ტექსტის სრულ ვერსიას.

უცხოური ენის შესწავლის პროცესის მრავალგვარი სტრატეგიით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მეტ აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას

მოითხოვს მოსწავლისაგან. ეს სტრატეგიები ორიენტირებულია სწავლა–სწავლების ერთიან პროცესზე და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებით აქტივაციას; საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, გვეხმარება მიზნის მიღწევაში. თუ სად, როდის, რა ფორმით უნდა გამოიყენოს ისინი მასწავლებელმა - მზა რეცეპტი არ არსებობს. ყველა მეთოდი კარგია, თუ ისინი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

3.3. მოსმენის როლი უცხოური ენის შესწავლის დროს

„სწავლების პირველ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ საშუალებას, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება. სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, რადგან უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსიან კონტექსტში მოხდება“ მითითებულია ესგ-ში (ესგ 2016: 459). მოსწავლის სახელმძღვანელოებში მოცემული თითქმის ყველა აქტივობა დაკავშირებულია მოსასმენ მასალასთან. ინსტრუქციის მიხედვით, მოსწავლეებს სწორედ მოსასმენი აქტივობების მეშვეობით ვასწავლით სიმღერების, ლექსების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას. ეს აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიგონონ ახალი სიტყვები და ფრაზები, შესძლონ მათი აღქმა და მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევთ მოსწავლეებს მათი გამოყენების შესაძლებლობას.

ლექსები და სიმღერები სასწავლო რესურსის სახეა, რომელიც ხელს უწყობს უცხო ენის შესწავლას სასიამოვნო და სახალისო გარემოში. ამიტომაც, სასურველია მისი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მისი საგაკვეთილო მასალასთან დაკავშირება. მუსიკა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ტემპის დაჩქარებას. ის ასევე დიდ როლს ასრულებს ტვინის აქტივობის სინთეზირებაში. ემოციური სიტყვები გავლენას ახდენს განწყობაზე, ტვინის ფრონტალური ნაწილი გადაამუშავებს მუსიკით მიღებულ ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს პიროვნების წარმოსახვის, კრეატიულობის უნარის განვითარებას. ერიკ ჯენსენი აღნიშნავს, რომ თუკი „მოსწავლეები არიან სტრესულ გარემოში, ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ გარეგან მოტივაციას. მაგრამ თუ მასწავლებელი ყველაზე მეტად ყურადღებას გაამახვილებს სტილზე, ინტელექტზე, გამოიყენებს მუსიკას, სხვადასხვა ფერებს, მოძრაობას, ხელოვნებას, შეამცირებს სტრესს და შიშს, ეს ხელს შეუწყობს ტვინის ამუშავებას და ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას“ (ჯენსენი, 1998:237).

სასწავლო პროცესში ხელოვნების გამოყენება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაინახოს დეტალები, დაამყაროს ურთიერთკავშირი საგნებსა და მოვლენებს შორის და ისწავლოს შემოქმედებითად აზროვნება. ის ეხმარება, შექმნას ერთი მთლიანობა სხვადასხვა ნაწილებიდან. დევიდ სოუსა მიიჩნევს, რომ „მაშინ როდესაც სწავლა სხვა დისციპლინებში ხშირად ავითარებს მხოლოდ ერთ უნარსა და ნიჭს, ხელოვნება ხელს უწყობს მრავალი უნარის განვითარებას“ (ქოსე, 2011: 125).

მოსმენის და უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით, მასწავლებლები ხშირად იყენებენ სიმღერებთან დაკავშირებულ აქტივობებს. English world-ის პირველი და მეორე დონის სახელმძღვანელოებში 20-ზე მეტი სიმღერა გვხვდება - „Round we go", "Listen! What is it?", "Good afternoon", "Here come the clowns", "I have got a dog", "A bird can fly", "The rain is falling", "Alphabet song", "Monday, Tuesday", "Boys and girls", "Swing high, swing low", "Pitter-patter raindrops", "Get up!", "I am the music man", "January, February", "They were big, they were small", "Smmy the sailor", "Down in the rock pool", "Sand in your fingernails" და ა.შ. ბავშვები ხალისით სწავლობენ ამ სიმღერებს, რაც მათ ახალი სიტყვების შესწავლის და გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. სიმღერის სწავლება საკმაოდ ხმაურის გამომწვევი აქტივობაა, თუმცა ვერც ერთი მასწავლებელი ვერ იტყვის უარს ამ სახის მხიარულ და სასარგებლო აქტივობაზე.

იგივე შეიძლება ითქვას ლექსებზე - "It isn't a bin, it's a pin", "I am happy", "Jimbo is a happy clown", "Red and yellow, green and blue", " Mike, Mike, on a bike", "I like pears", "Stand up! Sit down!", We are on holiday", "make a cake", "I can ride a bike", "One banana two bananas", "The clown with the glasses", "Here is the band", "Hop! Hop! Don't stop!", It was early in the morning" და სხვ. მათი სწავლება გვაძლევს შესაძლებლობას - არა მხოლოდ ვასწავლოთ ახალი ლექსიკური ერთეულები, არამედ, ამავე დროს, მოსწავლეებს დავუხვეწოთ ინგლისური გამოთქმა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლექსებისთვის, ისევე, როგორც სიმღერებისთვის, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ აუდიოჩანაწერები.

სიმღერის სწავლების დროს მივმართავთ შემდეგ მეთოდს:

- დასურათებული ბარათების გამოყენებით ვასწავლით მოსწავლეებს სიმღერაში გამოყენებულ ახალ სიტყვებს;

- ვაჩვენებთ მოსწავლეებს სიმღერის კონტექსტთან დაკავშირებულ სურათს. ვსვამთ კითხვებს სურათის ირგვლივ;

- ბავშვები უსმენენ სიმღერას და თითს აყოლებენ ტექსტს წიგნში;

- შემდეგ ბავშვები ისევ უსმენენ, თუმცა ამჯერად ისინი არა მარტო თითს აყოლებენ, არამედ იმეორებენ მოსასმენთან ერთად. რთულ წინადადებებთან ვჩერდებით და ვცდილობთ რამდენჯერმე გავუმეოროთ ისინი მოსწავლეებს;

- შემდეგ მოსწავლეები ხურავენ წიგნს და მღერიან სიმღერას მოსასმენთან ერთად;

- მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვთ მოსწავლეებს, იმღერონ აუდიოჩანაწერის გარეშე, დამოუკიდებლად;

- თუკი მოსწავლეებს არ უძნელდებათ სიმღერა, ვურთავთ აუდიოჩანაწერის იმ ვერსიას, სადაც მოცემულია მხოლოდ მუსიკა ტექსტის გარეშე;

სიმღერის რთული ტექსტის სწავლების დროს, სასურველია, მასწავლებელმა თვითონაც გარკვევით, მოსასმენის გარეშე, ხმამაღლა წაიკითხოს სიმღერის თითოეული ხაზი და თან გაამეორებინოს მოსწავლეებს. შემდეგ ისევ ჩართოს აუდიოჩანაწერი.

ჩვენთვის საინტერესო იყო, რამდენი მასწავლებელი იზიარებდა სიმღერის სწავლების ჩვენეულ მეთოდს. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ: 12 მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სიმღერაში მოცემულ უცხო სიტყვებს, აძლევს სიმღერის ტექსტს დავალებად და გამოიკითხავს მომდევნო გაკვეთილზე. 4 მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს სიმღერაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და ტექსტს, შემდეგ კი აძლევს მას დავალებად და გამოიკითხავს მომდევნო გაკვეთილზე. 84 მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს სიმღერაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და ტექსტს, ასმენინებს და ამღერებს კლასში, შემდეგ აძლევს დავალებად და გამოიკითხავს მომდევნო გაკვეთილზე.

როგორც ვხედავთ, რამდენიმე მასწავლებელი მოსწავლეებს ამ სიმღერებს ასწავლის ტექსტის სახით. ისინი დაფაზე ჩამოწერენ სიმღერაში მოცემულ უცხო

სიტყვებს, აძლევენ სიმღერის ტექსტს დავალებად და გამოიკითხავენ მომდევნო გაკვეთილზე. ვფიქრობთ მოსწავლეებისათვის სიმღერის ამ სახით სწავლა მოსაწყენი და არაეფექტური პროცესია.

მასწავლებელთა უმრავლესობა იზიარებს სიმღერის სწავლების ზემოთ განხილულ ვერსიას, თუმცა არის ერთი საეჭვო გარემო: მოსწავლეთა 90%-თვის მიუწვდომელია აუდიომასალა. ამდენად, ძნელად წარმოსადგენია მოსწავლეებმა მოახერხონ სახლში დამოუკიდებლად ამ სიმღერების დამუშავება. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუკი მოსწავლეები ამ სიმღერებს სახლშიც მოუსმენდნენ. ეს გაუმარტივებდა მათ სიმღერის დასწავლას.

დაწყებით კლასებში მუსიკის გამოყენების აუცილებლობას უსვამს ხაზს ის ფაქტიც, რომ ავსტრიაში დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის სავალდებულოა მუსიკალური განათლების ქონა. ავსტრიელი მეთოდისტები მიიჩნევენ, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს დაწყებით კლასებში საგაკვეთილო პროცესში მუსიკალური აქტივობების ჩატარება. მათი აზრით, ეს გაკვეთილის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია.

სასწავლო პროცესში მუსიკის გამოყენებას არაერთი დადებითი მხარე აქვს: სიმღერა ხელს უწყობს სასწავლო მასალის მარტივად დამახსოვრებას; ბავშვები სწავლობენ სასიმღერო ტექსტებს და ლექსებს მარტივად და სწრაფად; სიმღერაში ჩართულია ყველა ბავშვი, რაც ხელს უწყობს მათი თავდაჯერებულობის ამაღლებას; სიმღერები და ლექსები ხელს უწყობს კონკრეტული ფრაზების თუ სიტყვების დამახსოვრებას.

მოსასმენ მასალას უნდა მოსდევდეს პატარა აქტივობები, რომლებიც გვაძლევს შესაძლებლობას გავაანალიზოთ გაგონილი მასალის და არა უბრალოდ მოვისმინოთ აუდიო ტექსტი. „გაკვეთილი უნდა იყოს აგებული თანმიმდევრული, პატარა და მარტივი სახის აქტივობებისაგან, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს გაკვეთილის გამრავალფეროვნებას და სახალისოდ გადაქცევას“ (ჰალიველი, 1992:35). მასწავლებელმა შესაძლოა სთხოვოს მოსწავლეებს, გამოიცნონ, რომელ სურათზე იყო საუბარი, დაალაგონ არეული ნახატები, შეავსონ ტექსტში გამოტოვებული სიტყვები, გააკეთონ „ჭეშმარიტია - მცდარია“ აქტივობა და ა. შ.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვედგინა - რამდენად ხშირად იყენებენ აუდიომასალას მასწავლებლები კლასში. იმავე საკვლევი ბაზის გამოყენებით ჩავატარეთ აღნიშნული პრობლემის კვლევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა - 56% მასწავლებელი იყენებს აუდიომასალას, როდესაც ასწავლის ტექსტებს, დიალოგებს, სიმღერებს, ლექსებს. 26% მასწავლებელი მათ იყენებს მხოლოდ სიმღერებისა და ლექსების სწავლების დროს, ხოლო 18% მასწავლებელი - მხოლოდ ტექსტების და დიალოგების სწავლების დროს.

როგორც ავღნიშნეთ, English world-is სახელმძღვანელოს ახლავს აუდიომასალა, სადაც ჩაწერილია ყველა ფონემური ბგერა, დიალოგი, საკითხავი ტექსტი, მოსასმენი აქტივობები, სიმღერები, ლექსები, ენის გასატეხები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას - კლასში გარკვეული მასალის ათვისების შემდეგ განმეორებით მოუსმინონ ამ დავალებებს და დამოუკიდებლად იმეცადონონ სახლში. ვფიქრობთ, ეს აუცილებელია, რადგან ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მოსმენის უნარის განვითა-რებაში. თუმცა, სამწუხაროდ, კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ 14%-ს აქვს სახლში სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიომასალის მოსმენის საშუალება. 19% მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მის კლასში მოსწავლეთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აქვს მოსასმენი მასალა სახლში, ხოლო 67% მასწავლებლის თქმით, მათ მოსწავლეებს არა აქვთ ეს მასალა.

საინტერესო იყო დაგვედგინა, რამდენად ხშირად აძლევენ მასწავლებლები მოსწავლეებს მოსასმენ აქტივობებს საშინაო დავალებად. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 16 მასწავლებელი სისტემატურად აძლევს დავალებად მოსასმენ აქტივობებს, 25 მასწავლებელი - იშვიათად, ხოლო 59 მასწავლებელი - არასოდეს. გავეცნოთ მასწავლეებელთა კომენტარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

- პირველი კლასის მოსწავლეები თვითონვე უსმენენ მათ კომპიუტერში ჩატვირთულ ინგლისურის გაკვეთილებს, თან ძალიან ხშირად და სიამოვნებით, თითქმის ყოველი გაკვეთილის შემდეგ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ხელს უწყობს სმენით-წარმოთქმითი უნარ-ჩვევების განვითარებას და ეხმარება მოსწავლეებს ისწავლონ სწორი გამოთქმები;

- ტექსტის, ასოების , სიმღერების, ლექსების სწავლების დროს;

- ვაძლევ იმ შემთხვევაში, თუ საშინაო დავალება შეიცავს მოსასმენ აქტივობას;

- ყველა ჩემს პირველკლასელს აქვს ჩაწერილი ის აუდიომასალა, რომელსაც ვიყენებ კლასში და სურვილისამებრ შეუძლიათ სახლში მათი მოსმენა, თუმცა არასოდეს არ ვაძლევ, როგორც საშინაო დავალებას;

- მოსასმენ აქტივობებს მოსწავლეები აკეთებენ სკოლაში, მასწავლებლის დახმარებით;

- რადგანაც ყველა მოსწავლეს არ გააჩნია აუდიომასალა სახლში, ვცდილობ, მოსასმენი აქტივობები სკოლაში გავაკეთებინო;

- არასოდეს ვაძლევ დავალებად, რადგან აუდიომასალა მათთვის არ არის ხელმისაწვდომი;

- არ ვაძლევ, რადგან არ აქვთ კონკრეტულად ამ სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიომასალა;

- მოსასმენ მასალას მივცემ მეორე სემესტრიდან;

- მოსასმენს გავდივართ კლასში, ხოლო დავალებად ვაძლევ დასაწერს ან წასაკითხს

- მოსასმენ აქტივობებს საშინაო დავალებად არ ვაძლევ, რადგანაც პირველი კლასის მოსწავლეებისათვის ეს რთულია;

- არ ვაძლევ, პირველ კლასში როგორ შეიძლება!

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორც უკვე ვთქვით, სწავლების ნებისმიერ და განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე, მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ საშუალებას, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად. ამ მოთხოვნის საფუძველზე შეგვიძლია გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოსასმენი აქტივობების ხშირი გამოყენება, როგორც საკლასო გარემოში, ასევე, მის გარეთ. მოსწავლეებს კლასში ვასწავლით დიალოგებთან, ლექსებთან, ტექსტებთან სწორად მუშაობას. შემდეგ ისინი ზუსტად იგივე მეთოდით სახლში აგრძელებენ აღნიშნულ მასალაზე მუშაობას. კლასში ტექსტის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ, მოსწავლე სახლში

უსმენს დავალებად მიცემულ ტექსტს, რათა შემდეგ გაკვეთილზე ის სწორად წაიკითხოს. მოსასმენის გარეშე ამის გაკეთება მოსწავლეს ძალიან უძნელდება. საქართველოში დაწყებითი კლასის მოსწავლეები არ განიცდიან თანამედროვე ტექნოლოგიების უქონლობას, ვინაიდან მათი უმრავლესობა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით. თუკი მასწავლებლებს აქვთ წიგნისათვის თანდართული აუდიომასალა, რომელსაც, როგორც თვითონ აღნიშნავენ, აქტიურად იყენებენ გაკვეთილებზე, მაშინ გაუგებარია, რატომ არ აქვთ მათ მოსწავლეებს წვდომა იგივე მასალასთან. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ეს არ არის მარტო პირველი კლასის მოსწავლეების პრობლემა. იგივე პრობლემა აქვთ მე-4 და მე-5-კლასელ მოსწავლეებსაც. მასწავლებელთა 80% აღნიშნავს, რომ მათ მოსწავლეებს არ აქვთ სახლში სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიომასალა.

მოსმენისა და წარმოთქმის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ეფექტურია სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება. English world 1-ის სახელმძღვანელოს, ასევე, ახლავს DVD მასალა, რომელიც შეიცავს საკმაოდ საინტერესო რესურსს: პოსტერების ანიმაციურ ვერსიას, დიალოგებს, ფონემური ბგერების დემონსტრაციებს, გრამატიკული სავარჯიშოების პრეზენტაციებს და სხვ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა 90% ვერ იყენებს ამ ვიდეორესურს, ვინაიდან კლასში მათ არა აქვთ შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობები. თანამედროვე ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება, აუდიო და ვიდეო მასალა სასარგებლო რესურსია. დიალოგები, გრამატიკული სავარჯიშოების პრეზენტაციები, ფონემური ბგერების დემონსტრირება ხელს უწყობს მოსმენის, სწორი გამოთქმის უნარის ჩამოყალიბებას

3.4. მეტყველების უნარის განვითარების ხელშემწყობი საშუალებები.

უცხო ენის სწავლების პროცესში სამეტყველო უნარებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს უცხო ენაზე მეტყველების უნარის განვითარებას, რაც სამიზნე ენის აქტიური გამოყენების გზით მიიღწევა. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, უცხო ენის სწავლების პირველ დონეზე სწავლება /სწავლის მისაღწევ შედეგში ვკითხულობთ- „მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითებების გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: სათანადოდ რეაგირებს მასწავლებლის მითითებებზე (ადექი, დაჯექი, მოდი დაფასთან, გადაშალე წიგნი და სხვა)“ (ესგ, თბილისი, 2016 : 465).

„მოსწავლეს შეუძლია შინაარსის გასაგებად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ვერბალურ თუ არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობით (ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, ილუსტრაცია)“ (ესგ , 2016 : 466).

აღნიშნული შედეგის მიღწევა შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევში, თუ გაკვეთილზე მოსწავლეებს შევუქმნით უცხოენოვან გარემოს. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები სამიზნე ენის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით საუბრობენ ენობრივი რესურსის სიმცირის პრობლემაზე, რაც ხელს უშლის მთელი საგაკვეთილო პროცესის სამიზნე ენაზე წარმართვას.

საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, საკლასო საგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების დროს ინსტრუქციის მიცემისას ყოველთვის ვცდილობთ გამოვიყენოთ სამიზნე ენა, ბავშვებისათვის მარტივად გასაგები ლექსიკური ერთეულებით და სხვადასხვა დამხმარე რესურსით.

აქედან გამომდინარე, უცხო ენის გაკვეთილზე მასწავლებელს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს საგაკვეთილო პროცესში მშობლიური ენის გამოყენება, რამეთუ მისი გადაჭარბებული გამოყენება ხელს უშლის უცხო ენაზე კომუნიკაციური უნარის განვითარებას. „მასწავლებელმა უცხო ენის გაკვეთილზე სისტემატურად უნდა გამოიყენოს მარტივი და გასაგები ფრაზები. მოსწავლეები

თანდათან გაიაზრებენ მათ მნიშვნელობას და შემდგომ თავადაც გამოიყენებენ საუბრის დროს“ (ჰალიველი, 1992:7).

ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, გთავაზობთ ფრაზების ჩამონათვალს, რომლებიც ხელს უწყობს დაწყებით საფეხურზე უცხო ენის შესწავლისას ზეპირი კომუნიკაციის განვითარებას:

- Are you ready?
- Be quiet, please.
- Please say it again .
- Stand up.
- Sit down
- Stand in a circle
- Open/close your book, please.
- Listen carefully, please.
- Listen and repeat, please.
- Repeat after me
- Please say it again, please
- Watch carefully. .
- Try again.
- Look at….
- Start again.
- It's your turn…
- Yes, that's right.
- Well done.
- That's ok
- Very good
- Fantastic
- Yes like that
- You'll get a sticker
- Put your hands up.

- Put your hands down.
- Read the text, please.
- Write it on the board, please.
- Excuse me, I have a question.
- Ask the question, please.
- Answer the question, please
- We are finished
- Touch
- Point to
- Show me
- Give me
- How many
- Where's
- Work alone/ Work in groups./ Work in pairs
- Get your …. (books, pencils, pens, rulers…)
- Come here
- Go over there
- Do it again
- Colour this red/ yellow, green, blue
- Try again
- Start now
- Stop now
- It's your turn
- Can you help me , please.
- Can I have…..
- Can I go to……
- May I go out?
- Can I drink some water?
- Could you help me please?

- What page we are on?
- How do we say…… in English?
- How is this word pronounced?
- How do we spell that word?
- I'm ready. May I start?
- I've finished
- What's this?
- Please line up
- Stick
- Count
- Sing
- Come to the board
- Can you speak more loudly?
- Can you speak more slowly?
- Is it right?
- What page we are on?
- Here you are
- Thank you
- You are welcome და ა.შ.

თავდაპირველად მოსწავლეები ვერ გებულობენ ინსტრუქციის მოთხოვნებს, ამიტომაც ვცდილობთ გამოვიყენოთ მარტივი ფრაზები და ლექსიკური ერთეულები, მარტივი წინადადებები, სათანადო ჟესტები, მიმიკები, ინტონაციები, მეტყველების სხვა არავერბალური საშუალებები - ილუსტრაციები, ნახატები, პოსტერები, დასურათებული ბარათები და ა.შ. მათი საშუალებით მოსწავლეებისათვის ეს მარტივი ინსტრუქციები გასაგები ხდება. ვცდილობთ არ ვთარგმნოთ, თუკი ამის აუცილებელი პირობა არ იქმნება. თანაც მოსწავლეები ისედაც თავად თარგმნიან მასწავლებლის ინსტრუქციებს, თითქოს ამით სხვებს ეხმარებიან. უცხო ენის სწავლების პროცესში ასეთი მიდგომა მცირე დროში ეფექტური შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ზეპირი კომუნიკაციის უნარების დახვეწას.

იმის დასადგენად, თუ მასწავლებლები რამდენად იყენებენ სამიზნე ენას უცხო ენის გაკვეთილებზე, ვაწარმოეთ კვლევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხული 100 მასწავლებლიდან 6% მასწავლებელი სამიზნე ენას იყენებს მხოლოდ მარტივი ინსტრუქციებისათვის, 60% მასწავლებელი ნაწილობრივ იყენებს სამიზნე ენას, ნაწილობრივ - მშობლიურს. გაკვეთილზე სამიზნე ენის გამოყენების უპირატესობას მხოლოდ 34% მასწავლებელი აფიქსირებს. აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესობას არა აქვს გაცნობირერებული უცხო ენის შესწავლის პროცესში სამიზნე ენის გამოყენების სიხშირის აუცილებლობა. შესაბამისად, ზეპირი კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელი შედეგის მიღწევა დროში იწელება ან საერთოდ ვერ დგება.

ვფიქრობთ, სამიზნე ენის გამოყენება აუცილებელია დავიწყოთ სწორედ პირველ დონეზე, ვინაიდან, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის მეორე დონეზე მოსწავლეს უკვე უნდა შეეძლოს მოკლედ უპასუხოს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე, ან რეაგირებას ახდენდეს მათზე არავერბალური საშუალებებით. მას უნდა შეეძლოს საუბარი საკუთარი თავის შესახებ - რა აქვს, რა ჰყავს, რა ჰქვია, რას აკეთებს, რა მოსწონს და მისთ. თუკი მასწავლებელი თავიდანვე შეძლებს უცხოენოვანი გარემოს შექმნას კლასში სამიზნე ენის გამოყენებით, მაშინ მეორე დონეზე მოსწავლეები უკვე თავისუფლად შეძლებენ კომუნიკაციაში შევიდნენ მასწავლებელთან ამავე უცხო ენის გამოყენების საშუალებით.

სამიზნე ენას გამოყენების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს დასურათებული ბარათების გამოყენებით სიტყვების სწავლება. მოსწავლეებს ვეხმარებით ბარათებზე დატანილი სურათების შესაბამისი სიტყვების გამოყენებით შეადგინოს სხვადასხვა წინადადება. ამავე გზით ვცდილობთ მარტივი ზმნების სწავლებას, რომლის დროსაც არა მარტო დასურათებული ბარათების გამოყენებას ვახერხებთ, არამედ, მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას თავად გამოხატონ აღნიშნული მოქმედებები, რაც ხელს უწყობს მახსოვრობის უნარის გაძლიერებას. აღნიშნული აქტივობა საგაკვეთილო პროცესში შემდეგნაირად შეგვიძლია ჩავატაროთ.: ვირჩევთ კონკრეტულ ზმნას და ვცდილობთ აქტივობაში განვახორციელოთ ამ ზმნით

გამოხატული მოქმედება, მაგ: I can swim, I can dance, I can jump, I can run, I can smile, I can read, I can write, I can paint, I can sleep, I can play the piano და ა. შ. მოსწავლეები ჩვენთან ერთად იმეორებენ, როგორც წინადადებას, ასევე მასწავლებლის მიერ გამოხატულ მოქმედებას. ეს აძლევს მათ შესაძლებლობას გაეცნონ ზმნებს აქტიურ მოქმედებებში და უფრო მარტივად აღიქვან მათი მნიშვნელობა. ამის შემდეგ ვსვამთ კითხვებს, მაგ.: Can you swim? Can you jump? Can you dance? Can you run? Can you smile? და ა. შ., მოსწავლეები კი პასუხობენ. კითხვითი ფორმების პრეზენტაციის შემდეგ, გამოგვყავს მოსწავლეები წყვილებად და ისინი უსვამენ ერთმანეთს იგივე კითხვებს, ამავე დროს, აქტიურად, მოქმედებაში გამოხატავენ ზმნით აღნიშნულ მოქმედებას.

ასეთი აქტივობები ახალისებს ბავშვებს და აძლევს შესაძლებლობას შეისწავლონ ახალი სიტყვები სახალისო გზით და მათი გამოყენებით შეადგინონ მარტივი წინადადებები.

უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება ჭირს, ამიტომაც სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ამ მიზნით მასწავლებლები იყენებენ ლექსებს, სიმღერებს, დიალოგებს, სკეტჩებს, როლურ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ალაპარაკებას.

3.4.1. საშინაო დავალების როლი სამეტყველო უნარების განვითარების პროცესში

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, განამტკიცონ მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა. მის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სრულყოფილი პედაგოგიური პროცესი. საშინაო დავალება, რომელიც მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად სრულდება, მტკიცედაა დაკავშირებული საკლასო მეცადინეობასთან. იგი მიზნად ისახავს მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე ახსნილი მასალის სახელმძღვანელოებით ან სხვა დამხმარე წყაროებით დასწავლას, გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევის განმტკიცებას. ნებისმიერი სახის საშინაო დავალება მოსწავლემ უნდა გაიაზროს, როგორც შინაარსობრივად, ისე მისი შესრულების გზებისა და ხერხების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს დადებითი დამოკიდებულება ცოდნის განმტკიცების ამ ფორმის მიმართ და ხშირ შემთხვევაში, უხალისოდ ასრულებენ მას.

განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალების შესასრულებლად. როგორც მკვლევარი ქეთი ვოთეროთი ამბობს, "საშინაო დავალება არ უნდა ითხოვდეს მასალის გაზეპირებას. დავალება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის გაღრმავებას და აუცილებელი უნარ-ჩვევების კონსტრუირებას" (ვოთეროთი, 2010:1). დიდი მნიშვნელობა აქვს მის სწორ დაგეგმვას. დ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ყოველი საშინაო დავალება მასწავლებელმა საფუძვლიანად უნდა განუმარტოს მოსწავლეს. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს უშინსკის ცნობილი გაფრთხილება: მასწავლებლისთვის არაფერია იმაზე ადვილი, რომ ფრჩხილით ან ფანქრით აღნიშნოს წიგნის გვერდი და მისცეს ის მოსწავლეს დასაწერად, მაგრამ ასეთი დავალება შედეგის მომტანი არ იქნება“ (ლორთქიფანიძე 1961: :241).

მოსწავლეთათვის საშინაო დავალების მიცემისას, პედაგოგმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად ეფექტიანია ჩემს მიერ მიცემული დავალება?
- რა მოცულობის დავალება ჯობს მივცე?

- სკოლის რომელ საფეხურზე რა ტიპის დავალებები არის უფრო ეფექტური სახლში გასაკეთებლად?
- როგორი უნდა იყოს მშობლების როლი საშინაო დაავლების შესრულების პროცესში?

საშინაო დავალების მიზნებია: მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება; კლასში ნასწავლი მასალის გამეორება და გამყარება; დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება; თვითდისციპლინის გამომუშავება; პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა; დროის სწორად განაწილების უნარის ჩამოყალიბება; მშობლების ჩართვა შვილის სწავლის პროცესში; მომზადება სხვა გაკვეთილებისა და თემებისათვის; კვლევისათვის აუცილებელი უნარების განვითარება; სკოლაში დაწყებული სასწავლო აქტივობების გაგრძელება. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

საშინაო დავალება შესაძლებელია ინდივიდუალური იყოს კლასის თითოეული მოსწავლისათვის, ან საერთო მთელი კლასისათვის. გამოყოფენ საშინაო დავალების სამ ტიპს (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:107):

1. პრაქტიკული დავალება – მისი მიზანია სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამყარება, თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. მოსამზადებელი დავალება – მისი მიზანია ინფორმაციის მოძიება და ანალიზი გარკვეული თემის გარშემო.

3. მასალის გაღრმავების დავალება – მისი მიზანია ათვისებული მასალის გარშემო მრავალფეროვანი პრაქტიკული მუშაობა, მოსწავლეების წახალისება - დამოუკიდებლად გაიღრმავონ ცოდნა. ამ დროს ბავშვები ეცნობიან ლიტერატურას და იფართოებენ თვალსაწიერს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ სატრენინგო მასალაში „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“ დასახელებულია საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენების რამდენიმე პრინციპი:

1. საშინაო დავალება არ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სასჯელი;

2. საშინაო დავალება უნდა გასწორდეს რაც შეიძლება სწრაფად და ზედმიწევნით;

3. დავალება ინტეგრირებული უნდა იყოს მასალასთან, რომელზეც მუშაობენ კლასში;

4. უნდა აღუძრას მოსწავლეს ინტერესი და იყოს დაძლევადი თითქმის ყველა მოსწავლისათვის. უჯობესია ჰქონდეს ინდივიდუალური სახე, გათვალისწინებული იყოს ბავშვების ინდივიდუალური შესაძლებლობები;

5. შეუსრულებელ დავალებებს ყოველთვის უნდა მოჰყვეს მასწავლებლის ადეკვატური რეაგირება;

6. შესაძლებელია დავალება მიეცეს მოსწავლეების ჯგუფს თანამშრომლობითი სწავლებისათვის;

7. გათვალისწინებული უნდა იყოს ასაკობრივი თავისებურებანი (სასწავლო პროცესის დაგეგმვა:107).

საშინაო დავალების მიცემისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენი დრო დასჭირდება მის შესრულებას, რამდენად მზად არიან მოსწავლეები დამოუკიდებლად შეასრულონ ის. არაადეკვატური დავალების მიცემისას ჩნდება მობეზრების, სწავლისაგან დაღლის, მშობლებსა და შვილებს შორის დაძაბულობის გაჩენის საშიშროება. დიდი რაოდენობით დავალების მიცემამ მოსწავლეს შეიძლება არ დაუტოვოს დრო კლასგარეშე აქტივობებისათვის და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის დავალებების გადაწერის ცუდ ჩვევას. ყოველივე ეს უარყოფითად განაწყობს ბავშვებს სწავლისა და სკოლის მიმართ. არის, ასევე, სოციალური უთანასწორობის გაღრმავების საშიშროება, ვინაიდან სოციალურ გაჭირვებაში მცხოვრები ბავშვები შეიძლება დაიჩაგრონ, მათ ხშირად არ აქვთ სახლში შესაბამისი რესურსი და სწავლისათვის ხელშემწყობი გარემო. ასეთ ოჯახებში ბავშვები ხშირად დამატებითი საქმიანობით არიან დატვირთული, რაც ხელს უშლის საშიანო დავალების წარმატებით შესრულებას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უნდა გვახსოვდეს, რომ საშინაო დავალების ეფექტურობას მისი შინაარსი და მიზანი განსაზღვრავს და არა მოცულობა.

რეკომენდებულია, რომ პირველი სამი კლასის განმავლობაში მოსწავლეებმა საშინაო დავალებას დაუთმოს 20 წუთი, დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპზე – 30-40 წუთი, ხოლო საბაზო საფეხურზე – 90 წუთი. ოჯახში მშობლებმა მშვიდი და მყუდრო გარემო უნდა შეუქმნან შვილებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის. საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ დახმარება უნდა გაუწიონ მათ და არა მათ ნაცვლად შეასრულონ დავალება. დაწყებით კლასებში მშობლების მხრიდან დახმარების გაწევა სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მოცულობის დავალება არ გულისხმობს, რომ მოსწავლეებს ვაძლევთ დიდ ცოდნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დავალება მათთვის რთულია და მოსწავლეები ვერ ახერხებენ მის შესრულებას. წარმოიდგინეთ, როგორ გრძნობს თავს მოსწავლე, რომელიც უყურებს ორგვერდიან დავალების ფურცელს, რომელსაც ვერ გებულობს. ხშირად ის უარს ამბობს მის შესრულებაზე საერთოდ. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, მთელი ოჯახი ერთვება დავალების შესრულების პროცესში. შედეგად, მასწავლებელი ახდენს არა მოსწავლის, არამედ მთელი ოჯახის მიერ შესრულებული დავალების შეფასებას. ამიტომაც საჭიროა მივცეთ მოსწავლეებს ნაკლები, თუმცა ყურადღებით შერჩეული დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს გაკვეთილზე ახსნილი მასალის განმტკიცებასა და გაღრმავებას. ეს დაზოგავს არა მარტო მოსწავლის, არამედ მასწავლებლის დროსაც, რომელმაც უნდა შეაფასოს შესრულებული დავალება.

განვიხილოთ, როგორ ხდება ინგლისური ენის შესწავლის ადრეულ საფეხურზე საშინაო დავალების მიცემა და ამავდროულად, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს.

მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს ერთი და იგივე სიტყვას მრავალჯერად დასაწერად. მათი აზრით, ასეთი ტიპის დავალება მიზნად ისახავს სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებას. „მასწავლებლები დარწმუნებული არიან, რომ ეს მეთოდი ხელს უწყობს სიტყვების მექანიკურად დამახსოვრებას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მასწავლებლებს, რომლებმაც თვითონაც ამ მეთოდით ისწავლეს წერა მოსწავლეობის ხანაში. მაგრამ განა ყველა მოსწავლე იმახსოვრებს სიტყვებს წერითი მეთოდით?“ (ვათეროთი 2010:1). ჩვენი მიზანი უნდა იყოს

მოსწავლეებმა ახალი სიტყვა დაიმახსოვრონ არა მექანიკურად, არამედ კონტექსტურად. ჩვენ მასწავლებლებს ვურჩევთ სასარგებლო მეთოდების და სავარჯიშოების გამოყენებას, რომლებიც მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისი იქნება. მაგ: ავაგოთ სიტყვები არეულად დალაგებული ასოებისაგან, ან შევქმნათ კროსვორდი მოცემული სიტყვების გამოყენებით. მოსწავლეები უკეთ იმახსოვრებენ სიტყვებს კონტექსტიდან, ამიტომაც ბევრად უმჯობესი იქნება, თუკი მოსწავლეები ამ სიტყვების გამოყენებით დამოუკიდებლად შეძლებენ წინადადებების, მოთხრობების, დიალოგების აგებას.

ტრადიციულად, არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის სწავლების დროს მასწავლებელი ასწავლის წესებს, შესაბამისი მაგალითების გამოყენებით. შემდეგ ჩართავს მოსწავლეებს საკლასო აქტივობებში, სადაც ხდება ამ მასალის განმტკიცება. მოსწავლეები უშეცდომოდ ასრულებენ მათთვის მიცემულ დავალებას. მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეებმა ყველაფერი გაიგეს. ის აძლევს მოსწავლეებს ახსნილ მასალასთან დაკავშირებულ 20-მდე სავარჯიშოს. თუმცა, სახლში მისული მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ვერ ხვდებიან, როგორ შეასრულონ მათთვის მიცემული დავალება. ის, რაც მასწავლებლის აზრით იყო კლასში ნასწავლი მასალის განმტკიცება, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლისთვის არის ახალი მასალის შესწავლა. ბავშვებს უწევთ საკმაოდ რთულ დავალებასთან შეჭიდება, ან, უარეს შემთხვევაში, ოცივე დავალების არასწორად შესრულება. დიდი მოცულობის ან რთულად დასაძლევი დავალება იწვევს მოსწავლის იმედგაცრუებასა და დაბნეულობას. ქეთი ვოთეროთი მიიჩნევს, რომ მეცადინეობა უფრო ეფექტურია, როდესაც მასალის მიწოდება ხდება მცირე მოცულობით, რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. 20-30 სავარჯიშოს შესრულების ნაცვლად, უმჯობესია მივცეთ 3-5 სავარჯიშო, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მასალის ცოდნის შესწავლა-განმტკიცებას, ამავე დროს კი შეგვიძლია მივცეთ რამდენიმე სავარჯიშო, რომლებიც ხელს შეუწყობს წინა საგაკვეთილო მასალის გამეორება-განმტკიცებას.

მნიშვნელოვანია, ასევე, ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებაც. დაწყებით კლასებში (1–3 კლასი) სასურველია მასწავლებელი მოსწავლეებს

აძლევდეს 20 წუთში შესასრულებელ დავალებას. ასაკის მატებასთან ერთად, შეგვიძლია გავზარდოთ დავალების მოცულობა.

მისოურის წმინდა ლუის სახელობის უნივერსიტეტის განათლების პროფესორი ქეთი ვათეროთი განიხილავს რა საშიანო დავალების როლს უცხო ენის სწავლებაში, ამბობს „არ არსებობს მოსწავლე, რომელიც არ ასრულებს დავალებას. ისინი არ ასრულებენ ჩვენს მიერ მიცემულ დავალებებს“. ვეთანხმებით მკვლევარის მოსაზრებას, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა მიიღოს მხედველობაში მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები, მისცეს მათ არჩევანის უფლება. გარკვეული თემის დამუშავების დროს, შეგვიძლია შევთავაზოთ მოსწავლეებს დავალების განსხვავებული ტიპები, მივცეთ შესაძლებლობა, თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი დავალება. თუკი გვსურს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, მივცეთ არჩევანის შესაძლებლობა – წაიკითხონ მათთვის სასურველი მოთხრობა, ისწავლონ ლექსი, რომელიც მოსწონთ, დაწერონ მათთვის საინტერესო ესეი, იმუშავონ მათთვის საინტერესო პროექტზე. მოსწავლეები ხშირად კარგავენ მოტივაციას, თუკი ვერ ახერხებენ დავალების შესრულებას სხვების დახმარების გარეშე. მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს შესაძლოა მიეცეთ ბევრად უფრო რთული დავალებები, ვიდრე დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენ დავალებას ვაძლევთ მოსწავლეებს, ეს საკითხი ხშირად არის მოსწავლეთა უკმაყოფილების მიზეზი, ვინაიდან დიდი მოცულობის დავალებების გამო მათ არ რჩებათ დრო კლასგარეშე სამუშაოების შესასრულებლად.

ინფორმაციის მოპოვებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით, საშინაო დავალებად ასევე სასურველია მოსწავლეს მივცეთ განსაზღვრული მოცულობის საკითხავი მასალა. თუმცა აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები, რამდენად შეუძლია საკითხავი მასალიდან ინფომაციის დახარისხება, ინფორმაციის მთავარი სათქმელის გააზრება და შემდგომი ანალიზი.

საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოსაკვლევად ჩავატარეთ, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისობრივი კვლევა. კვლევის კითხვარის ძირითადი შინაარსი ეხებოდა, თუ რამდენად ახერხებენ

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები უცხო ენაში საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულებას. კვლევის შედეგების ანალიზმა, რომლის მიხედვითაც მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას დამოუკიდებლად საშინაო დავალების შესრულება უჭირთ, გვიჩვენა, რომ აღნიშნულის მიზეზი უმთავრესად გახლავთ მასწავლებლის მხრიდან საშინაო დავალების შესრულების არასაკმარისი ინსტრუქცია.

ჩვენი კვლევის შედეგიდან გამოკვეთილი თვისების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშინაო დავალების მიცემას წინ უნდა უსწრებდეს მასწავლებლის მხრიდან დავალების შესრულების დეტალური ინსტრუქცია, მით უფრო არამართებული მეთოდია დაფაზე მხოლოდ გვერდების და სავარჯიშოთა ნომერაციის მიცემა. მოსწავლეები ვერ შეასრულებენ დავალებას, თუკი მათთვის გაუგებარია, რა ტიპის დავალების შესრულება უწევთ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ რაც ჩვენთვის მარტივი და გასაგებია, ხშირად მოსწავლეებისთვის გაუგებარი და რთულია.

საშინაო დავალების მიცემის დროს, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუკი დავალებად ვაძლევთ მათთვის უცნობ ახალ მასალას, შესაძლებელია, მათ გაუჭირდეთ შესასრულებელი დავალების შინაარსი. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეებს უდაბლდებათ მოტივაცია და ეკარგებათ სურვილი საკლასო სივრცეში დაბრუნებულებს აღნიშნული მასალის განხილვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საშინაო დავალების მიცემის წინ მისცეს მოსწავლეებს ზუსტი ინსტრუქცია, საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მითითებები, განუსაზღვროს საშინაო დავალების შესრულების მეთოდები და შეფასების პრინციპები.

უცხო ენის სწავლების პროცესში ეფექტურია მივცეთ მოსწავლეებს ერთმანეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ამ მიზნით სასურველია ინდივიდუალური მუშაობის ნაცვლად დავუგეგმოთ ჯგუფური სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების წარმატებულად გამოყენების, ასევე, მოსწავლეებს შორის პირადი კომუნიკაციის განვითარების შესაძლებლობას. ერთობლივი მუშაობის შედეგად მოსწავლეები წარმოადგენენ ბევრად უფრო საინტერესო პრეზენტაციას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში მოტივაციის ამაღლებას.

რაც შეეხება საშინაო დავალების შემოწმებას ეს უნდა მოხდეს უახლოეს პერიოდში. შემოწმება შეიძლება განვახორციელოთ მრავალი მეთოდით. მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მიცემული დავალების სახეობაზე. თუკი მოსწავლეები წერენ ესეის, სურათის აღწერას, მოთხრობის ანალიზს, მოთხრობას, ზღაპარს, ლექსს – მაშინ, შინაარსთან ერთად, მასწავლებელი უნდა ამოწმებდეს გრამატიკას, მართლწერასა და პუნქტუაციას. ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისათვის, შეგვიძლია ვთხოვოთ მოსწავლეებს, გამოგვიგზავნონ დაწერილი დავალებები ელექტრონული ვერსიით. ამ გზით მასწავლებელს შეუძლია მარტივად შეასწოროს დავალება და გადაუგზავნოს ის მოსწავლეებს კომენტარებთან ერთად. სასურველია დავავალოთ მოსწავლეებს გადაწერონ მასწავლებლის მიერ უკვე შემოწმებული ვერსია და შემდგომ კლასში წერილობითი სახით წარმოადგინონ, რის შემდეგაც მოხდება მათი ნაშრომის საბოლოო შეფასება. აღნიშნული სახით დავალების შემოწმება მისცემს მოსწავლეებს შესაძლებლობას – დააკვირდნენ, გაითავისონ და გააანალიზონ მასწავლებლის მიერ გაკეთებული შესწორებები. დავალების შემოწმების ასეთი მიდგომა ბევრად უფრო ეფექტურია, ვინაიდან ბავშვებს ნაკლებად მოსწონთ წითელი კალმით შესწორებული ნამუშევრის დანახვა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი იწყებენ წერას და უშვებენ ძალიან ბევრ შეცდომას. ეს შესწორებები ხშირად უკარგავს მათ წერითი დავალების შესრულების მოტივაციას.

მნიშვნელოვანია, რომ საშინაო დავალება ემსახურებოდეს მოსწავლეში კონკრეტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. მაგ.: ნასწავლის გავარჯიშება, ტერმინოლოგიის ათვისება და ა. შ.

English world-ის სახელმძღვანელოში ტექსტებს ახლავს სავარჯიშოები, რომლებიც ხელს უწყობს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების განმტკიცებას. იგივე ფუნქციას ემსახურება მოსწავლის წიგნისათვის თანდართული სამუშაო წიგნი. მასში წარმოდგენილი სავარჯიშოები გვაძლევს შესაძლებლობას, კიდევ უფრო განვამტკიცოთ მოსწავ-ლისთვის მიწოდებული მასალა. თუმცა, ამასთან ერთად, აუცილებლია ყურადღება მივაქციოთ მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემულ შემდეგ ინსტრუქციას: „ეს

სახელმძღვანელო გათვლილია იმისათვის, რომ თავდაპირველად მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს და აუხსნას ამ სავარჯიშოებში მოცემული მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს მოსწავლეებს დავალებად დამოუკიდებლად შეასრულონ ისინი საკლასო სამუშაოს ან საშინაო დავალების სახით. ეს სავარჯიშოები აძლევს მასწავლებელს შესაძლებლობას დაინახონ რისი მიღწევა შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობის დროს“ (ჰოკინგსი, 2009:7). დაწყებით კლასებში მოსწავლეებისათვის ხშირად გაუგებარია უცხოურ ენაზე მოცემული ინსტრუქციები და ზოგიერთი დავალების მოთხოვნები. ამიტომაც მასწავლებელი გულდასმით უნდა უხსნიდეს მოსწავლეებს საშინაო დავალების პირობას, აძლევდეს შესაბამის რეკომენდაციებს და მხოლოდ შემდეგ მისცეს დავალებად. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ხშირად მასწავლებლები ბოლო წუთში წერენ დაფაზე საშინაო დავალებად მიცემული სავარჯიშოების გვერდებს და მოსწავლეებს დამოუკიდებლად უწევთ მათი შესრულება, რასაც ისინი ვერ ახერხებენ უფროსების დახმარების გარეშე. ამ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გაკვეთილზე დაბრუნებული მოსწავლე მოიტანს არა მის მიერ დამოუკიდებლად შესრულებულ, არამედ ოჯახის სხვა რომელიმე წევრის მიერ დაწერილ დავალებას, რომლის შეფასებაც უწევს თვითონ მასწავლებელს.

ამგვარად, ინგლისური ენის სწავლების პროცესში უდავოდ მნიშვნელოვანია საშინაო დავალების სწორი ორგანიზება. საშიანაო დავალება უნდა აკმაყოფილებდეს მომავალი თაობის ინტერესებს და პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: ემსახურებოდეს დასახულ მიზანს, იყოს ეფექტური, ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს, იყოს მარტივად შესრულებადი და მრავალფეროვანი; მნიშვნელოვანია საშინაო დავალება გამომდინარეობდეს პროგრამის შესაბამისად გაკვეთილზე ახსნილი მასალიდან; მასწავლებელმა საშინაო დავალება უნდა მისცეს მას შემდეგ, რაც მასალა საფუძვლიანად აქვს გაგებული მოსწავლეს; საშინაო დავალების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის დღის რეჟიმს, მის დატვირთვას; საშინაო დავალება თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს დღეებზე, კვირის მანძილზე; საშინაო დავალების მიცემის დროს მასწავლებელი მოსწავლეს უნდა

განესაზღვროს შესრულების შესაბამისი მეთოდები და დავალების შემოწმების პრინციპები.

დასკვნები და რეკომენდაციები

უცხოური ენის შესწავლა ემსახურება საქართველოში სასკოლო განათლების მთავარი მიზნის განხორციელებას - თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უცხოური ენის ცოდნა პიროვნების კონკურენტუნარიანობის მთავარ ფასეულობადაა მიჩნეული. ამიტომ, მისი სწავლება სკოლაში საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

უცხო ენის შეწავლის პროცესი დაწყებითი საფეხურიდან უნდა განხორციელდეს და სწორედ ამავე საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი უცხო ენის შესწავლისა და კულტურისადმი დადებითი დამოკიდებულების აღზრდას.

ენა კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს მეტყველებას, მოსმენილის გაგებას და წერა-კითხვას უცხო ენაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, როცა ინგლისური ენის მასწავლებლები სასწავლო პროცეს გეგმავენ ბავშვთა ბუნებრივ უნარებსა და ინსტიქტებზე დაკვირვებით, ქმნიან ენის შესწავლისთვის პოზიტიურ გარემოს, იყენებენ მრავალფეროვან ლექსიკას, სასწავლო მასალას; გაკვეთილზე გამოყენებულ მეთოდებს, აქტივობებს შეუსაბამებენ მოსწავლის ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, დასწავლის სტილს, რითაც იწვევენ მოსწავლეში საგნისადმი ინტერეს, მოტივაციას ენის უკეთ ათვისებისა და შესწავლისათვის.

კვლევებმა აჩვენა, რომ პირველკლასელები ეფექტურად სწავლობენ მაშინ, როცა სწავლება/სწავლის პროცესში გამოვიყენეთ მათ შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიები.

ინგლისური ენის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მოსწავლეებმა უკეთ აითვისეს ინგლისური ენა, როცა გაკვეთილზე გამოვიყენეთ მათ დასწავლის სტილზე და ინტელექტზე: სმენით, ვიზუალურ, კინესტეტიკურ, ვერბალურ, მუსიკალურ, ინტრაპერსონალურ, ინერპერსონალურ მორგებული სხვადასხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა და აქტივობა. ამან განაპირობა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტელექტის გააქტიურება, ბუნებრივი სასწავლო

პროცესის განხორციელება, ენის შესწავლის პროცესი მოსწავლეებისათვის გახადა სასიამოვნო და მარტივი, უზრუნველყო მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, დააჩქარა ინგლისური ენის წარმატებულად ათვისების ტემპი. სწავლების მეთოდთა კომპლექსურად გამოყენებამ გაკვეთილზე შექმნა მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების შესაბამისი გარემო და საშუალება მისცა მოსწავლეს ეფექტურად წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლებზე ბევრადაა დამოკიდებული გამოავლინონ და დაეხმარონ მოსწავლეებს თავიანთი უნარების უკეთ შეცნობაში. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ინგლისური ენის გაკვეთილზე გავააქტუროთ რაც შეიძლება მეტი ინტელექტი. მაგალითად, როცა გაკვეთილის ნაწილს საუბარს, დიალოგს, კითხვასა და დაფაზე წერას ვუთმობთ, მოსწავლეებში ენობრივ-ლინგვისტურ ინტელექტს ვავითარებთ; ახალი სიტყვების შემოტანის დროს ეფექტურად ვიყენებთ ჟესტებს, მიმიკას, რითაც ხელს ვუწყობთ ფიზიკურ-კინესტეტიკური ინტელექტის განვითარებას; როდესაც ვასმენინებთ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, სიმღერებს, რომელშიც უნდა ამოიცნოს ესა თუ ის ფრაზა, აქცენტი გააკეთოს წარმოთქმაზე, მახვილებზე, ამით ვავითარებთ მუსიკალურ-რითმულ ინტელექტს; თვალსაჩინოების, ვიდეო მასალის გამოყენებით, ტექსტის შინაარსის, ნახატის სახით წარმოდგენით ან პირიქით სურათის ინგლისურად აღწერის დროს მოსწავლეებში ვითარდება სემიოტიკური კომპეტენცია, ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი; როცა მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას ისაუბრონ ინგლისურად საკუთარ განწყობაზე, ოჯახზე, სამომავლო გეგმებზე, საყვარელ სათამაშოზე, ამით ხელს ვუწყობთ მათში ინტრაპერსონალური ინტელექტის განვითარებას; საგაკვეთილო პროცესში წყვილებში და ჯგუფებში მუშაობით, როლური თამაშებით მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი მოთხრობები, ლექსები, დიალოგები ინტერპერსონალური ინტელექტის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

საგაკვეთილო პროცესში დასწავლის სტილის გათვალისწინება, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს ინფორმაციის მოკლევადიანი მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანას.

ინგლისური ენის სწავლება/ სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვას ხელს უწყობს პედაგოგის ზრუნვა დადებითი სასწავლო ატმოსფეროსა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. სწორად შერჩეული სასწავლო მეთოდები, მიმზიდველი სასწავლო გარემო მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, ცოდნისმოყვარეობას, აზროვნებას, ფიქრისა და ახლის აღმოჩენის უნარს. ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის, შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ: დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა, ზოგჯერ არჩევანის უფლების მინიჭება, თამაშის ტიპის სახალისო აქტივობებში ჩართვა სასწავლო პროცესში, წერილობითი ან სიტყვიერი შექება, პიროვნული ურთიერთობები. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება, მონოტონურობა და ერთფეროვნება მოსაწყენია, იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს სასწავლო პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს ჩვენ შევისწავლეთ, გავაანალიზეთ ინგლისური ენის სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, ბიჰევიორისტული და კონსტრუქტივისტული მიდგომები, ინგლისური ენის სწავლების განვითარების ეტაპები. სწავლების ტრადიციული მეთოდებიდან გავაანალიზეთ გრამატიკულ მთარგმნელობითი, პირდაპირი, აუდიო ლინგუალური და კომუნიკაციური მეთოდი. თითოეული ახალი მეთოდი იქმნებოდა წინამორბედის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით და სუსტი მხარეების უგულვებელყოფით. ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა კომუნიკაციური მეთოდის გამოყენების უპირატესობა, რომლის მიზანია: მოსწავლეებმა შეძლონ კომუნიკაცია სამიზნე ენის გამოყენებით; აღიქვან ახალი ცოდნა და გამოიყენონ რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში, შეძლონ ინფორმაციის და აზრების გაცვლა; განუვითარდეთ თანაბრად ოთხივე სამეტყველო უნარი; სასწავლო პროგრამის შერჩევა მოსწავლეების სურვილით ხდება, სილაბუსი არის მოქნილი და შემსწავლელზე ორიენტირებული, აღვიძებს უცხო ენაზე კომუნიკაციის სურვილს. მასწავლებელი არის პროცესის წარმმართველი,

ფასილიტატორი, ანალიტიკოსი, მრჩეველი, მენეჯერი და მოსწავლეც. ის ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესს მოსწავლეებს შორის, სხვადასხვა აქტივობებისა და ტექსტების საშუალებით. რესურსად საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ ავთენტურ მასალას გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან, ვიდეო რგოლებიდან.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში უცხოური ენის გაკვეთილი წარმოუდგენელია ინტერაქტიული სწავლების გარეშე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ქმნის აქტიური საქმიანობის ხელშემწყობ ემოციურ-ნებელობით ფონს; მოსწავლის მიერ პრობლემის გადაჭრის გზის დამოუკიდებლად ძიების და ღირებულებების ჩამოყალიბების უნარს, ასწავლის გუნდურ მუშაობას, სხვისი მოსაზრებების მოსმენას. პრაქტიკულმა გამოცდილებამ და ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჯგუფური მუშაობა ინგლისური ენის შესწავლის პროცესში ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ინგლისურ ენაზე კომუნიკაციას და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ჯგუფებში მომუშავე ბავშვები არიან უფრო კრეატიული, მოტივირებული, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობის დროს. მოსწავლეები ჯგუფებში უკეთ ითვისებენ ახალ ტერმინებსა და ფრაზებს, ეხმარებიან ერთმანეთს მათთვის უცნობი სიტყვების სწორ ინტერპრეტირებაში, უკეთ აღქმა-გაგებაში.

ინგლისური ენის სწავლების პროცესში ეფექტურ სტრატეგიად მიგვაჩნია თამაში, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ენობრივ-ლინგვისტური, სემიოტიკური, ციფრული, ინტერ და ინტრაპერსონალური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესტეტიკური კომპეტენციების ჩამოყალიბებას. თამაშის გამოყენებით მოსწავლეებში ხდება კითხვა, წერა, მოსმენა, ახალი სიტყვების სწავლება და გამოკითხვა. თამაში გვეხმარება ინგლისური ენის შესწავლის პროცესი გავხადოთ ეფექტური, მოსწავლეებს მივცეთ უცხო ენაზე თავისუფალი აზროვნების საშუალება, ვასწავლოთ რეალური ცხოვრებისეული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის გზების ძიება; განუვითაროთ მოსწავლეებს სწორი

წარმოთქმების, კითხვისა და წერის უნარები. თამაში გაკვეთილის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი დამხმარე ხერხია, რომელიც აღვიძებს, აძლიერებს მოსწავლეში შესასწავლი მასალისადმი ინტერესს; სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის საინტერესო და შინაარსიანია; ტექსტი, ახალი სიტყვები, ფრაზები უკეთ აღსაქმელი და დასამახსოვრებელია. თამაში, როგორც სწავლების მეთოდი ატარებს, როგორც საგანმანათლებლო, ასევე აღმზრდელობით და განმავითარებელ ფუნქციას.

კვლევით დავადგინეთ, რომ სწორად შერჩეული და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული სახელმძღვანელო, საგაკვეთილო თემაზე ორიენტირებული რესურსი: პლაკატები, დიაგრამები, სქემები, რუკები, მოდელები, მაკეტები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები, საგანამანათლებლო ვებ-გვერდი, აუდიო საშუალებები, მულტიმედიური პროდუქტები: ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი/აუდიოწიგნი, ანიმაცია, ლექსიკონი, დასურათებული ბარათები, და სხვ., განაპირობებს უცხოური ენის შესწავლის ეფექტურობას. არსებული რესურსის გარდა მასწავლებელს შეუძლია თავად შექმნას გაკვეთილის მიზნის შესაბამისი რესურსი.

დაწყებით საფეხურზე უცხო ენის შესწავლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეტყველო უნარების განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას წარმოადგენს კითხვის უნარის განვითარება. კითხვა განამტკიცებს ლექსიკას, გრამატიკულ სტრუქტურას, ისეთ შემეცნებით უნარებს, როგორიცაა ვარაუდი, ახალი სიტყვების გამოცნობა; ავარჯიშებს მეხსიერებას. აღნიშნული უნარის განვითარებისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სასწავლო პროგრამის შესაბამისი თემატიკის მოთხრობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათთვის ნაცნობი ენობრივი ერთეულების განმტკიცებას.

ჩვენს მიერ სადისერტაციაო შემოთავაზებული მიდგომები და სტრატეგიები: კოგნიტური სქემები, T დიაგრამა, ჭემარიტია/მცდარია, სიტყვების დაწყვილება/დაკავშირება, ვენის დიაგრამა, პაუზებით კითხვა, ტექსტის კითხვა ნიშანთა სისტემით, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და სხვ., ხელს შეუწყობს კითხვის უნარის განვითარების ისეთ ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: ზეპირი მეტყველება; წიგნისა და ტექსტის მახასიათებლის ცოდნა; ფონეტიკური

ცოდნა/ანბანის ცოდნა; ლექსიკური მარაგი/სიტყვების ცოდნა; გამართული კითხვა, გაგება/ გააზრება, მნიშვნელობის კონსტრუირება.

წერა რთულად ორგანიზებული ოპერაციაა, რომლის დაუფლება მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. წერის უნარის ათვისება მოითხოვს მოსწავლეებში ნატიფი მოტორიკის განვითარებას და წერა გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ხდება ავტომატური პროცესი. ინგლისურ ენაში მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად დასაწერად მოსწავლეს უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა. ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში, გახსენება ასოს სწორი მოყვანილობისა. წერის დასწავლის პროცესში აქცენტს ვაკეთებთ, არა მხოლოდ ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე, არამედ მნიშვნელოვანია, როგორ შეძლებს ის მოსმენილი სიტყვის, სიტყვებისგან კი - წინადადების აგებას. სიტყვები და წინადადებები მოსწავლეს საკუთარი ნააზრევის და განცდების გამოხატვის და გადმოცემის საშუალებას აძლევს. პარალელურად აუცილებელია სიტყვის შემადგენელი ერთეულების - ბგერების აღქმასა და დიფერენცირებაზე მუშაობა.

მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ საშუალებას, სწავლების პირველ ეტაპზე პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია ინგლისურ ენაზე გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას. ამიტომ, მოსწავლის სახელმძღვანელოებში მოცემული თითქმის ყველა აქტივობა დაკავშირებულია მოსასმენ მასალასთან. ინსტრუქციის მიხედვით, მოსწავლეებს სწორედ მოსასმენი აქტივობების მეშვეობით ვასწავლით სიმღერების, ლექსების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას. ეს აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიგონონ ახალი სიტყვები და ფრაზები, შეძლონ მათი აღქმა და მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევთ მოსწავლეებს მათი გამოყენების შესაძლებლობას. მოსმენის უნარის განვითარებისათვის ინგლისური ენის მასწავლებლებს გაცნობიერებული უნდა გვქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ხშირი გამოყენების მნიშვმნელობა, როგორც საკლასო გარემოში, ასევე მის გარეთ. თავდაპირველად მოსწავლეებს

კლასში ვასწავლით დიალოგებთან, ლექსებთან, ტექსტებთან, სიმღერებთან სწორად მუშაობას, შემდეგ კი, მსგავს მოსასმენებს ვაძლევთ საშინაო დავალებად.

უცხოური ენის სწავლების პროცესში სამეტყველო უნარებს შორის მეტყველების უნარის განვითარება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეტყველების უნარის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს უცხოენოვანი გარემოს შექმნა, ინსტრუქციების მიცემა სამიზნე ენაზე ბავშვებისათვის მარტივად გასაგები ლექსიკური ერთეულებით და სხვადასხვა დამხმარე რესურსით; უცხო ენის გაკვეთილზე მშობლიური ენის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა, რადგან მისი გადაჭარბებული გამოყენება ხელს უშლის უცხო ენაზე კომუნიკაციური უნარის განვითარებას.

სამეტყველო უნარის განვითარების დაწყებისას, უცხო ენაზე მოცემული ინსტრუქციის მოთხოვნები თავდაპირველად მოსწავლეებისათვის გაუგებარია, მაგრამ სათანადო ჟესტების, მიმიკების, ინტონაციების და მეტყველების სხვა არავერბალური საშუალებების, ილუსტრაციების, ნახატების, პოსტერების, დასურათებული ბარათების გამოყენება მოსწავლეებს უმარტივებს ახალი სიტყვების აღქმას და დამახსოვრებას.

ინგლისური ენის სრულად დაუფლება წარმოუდგენელია ვარჯიშის და საშინაო დავალების სწორი ორგანიზების გარეშე. საშინაო დავალება უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელის ინტერესებს და პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: ემსახურებოდეს დასახულ მიზანს, იყოს ეფექტური, ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს, იყოს მარტივად შესრულებადი და მრავალფეროვანი; მნიშვნელოვანია საშინაო დავალება გამომდინარეობდეს პროგრამის შესაბამისად გაკვეთილზე ახსნილი მასალიდან; კვლევის პროცესში საექსპერიმენტო ჯგუფებში საშინაო დავალებას ვაძლევდით მოსწავლეებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მასალა საფუძვლიანად ჰქონდათ გაგებული; საშინაო დავალების მოცულობა შეესაბამებოდა მოსწავლის დღის რეჟიმს, მის დატვირთვას; თანაბრად იყო განაწილებული დღეებზე, კვირის მანძილზე; წინასწარ ვაცნობდით მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულების შესაბამისს მეთოდების და დავალების შემოწმების პრინციპებს.

კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა საშინაო დავალების მიცემისა და შეფასების აღნიშნული მიდგომის უპირატესობა.

უცხოური ენის შესწავლის პროცესის მრავალგვარი სტრატეგიებით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ხელს უწყობს კითხვის, წერის, მოსმენის, მეტყველების უნარის განვითარებას, ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას. აღნიშნული სტრატეგიები ორიენტირებულია სწავლება/სწავლის ერთიან პროცესზე და გვეხმარება საბოლოო მიზნის მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილეიშვილი იური, თავდგირიძე ლელა, „საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები“, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011
2. ბოჭორიშვილი მანანა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, „თეორიული მასალა და ტესტები, პროფესიული უნარები“, ასოციაცია „ზეკარი“, თბილისი. 2017
3. ბასილაძე იმერი, ჭოხონელიძე ნინო, კოსტავა ნინო, „სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება“, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი. 2005
4. გოგებაშვილი იაკობ, “ბურჯი ეროვნებისა, რჩეული თხზულებები“, თბილისი. 1974
5. გოგოლაშვილი გიორგი (ივლისი, 2013). „მჯერა იაკობ გოგებაშვილი ახლაც გაიმარჯვებს“. მოძიებულია 1 ოქტომბერი, 2016 http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2013&art=7407
6. გობრონიძე ალექსანდრე, ბიბილეიშვილი იური, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“, ბათუმი. 2000
7. „განმარტებითი ლექსიკონი“,ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი. 2007
8. „ეროვნული სასწავლო გემა“, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2011-2016
9. თავდგირიძე ლელა, „თამაში, როგორც სწავლების მეთოდი“, ჟურნალი „საზრისი“ N 25, თბილისი. 2009
10. თავდგირიძე ლელა. (იანვარი, 2016). „ სწავლების მეთოდები, როგორც მოტივაციის ამაღლების საშუალება“. მოძიებულია 10 თებერვალი, 2017 http://www.ulstu.ru/main/view/article/18641
11. ინასარიძე მაია.(იანვარი, 2014). “გაგების და ანალიზის სქემები”, მოძიებულია 15 მარტი, 2015. mascwavlebeli.ge.http://ruskagonashvili.blogspot.com/2014_04_01_archive.html
12. კუტალაძე ია, „ეფექტიანი სწავლება“, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია. 2010
13. კომენსკი იან ამოს, „დიდი დიდაქტიკა“, თბილისი. 1949

14. „ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში“, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. (2016). მოძიებულია 17 ნოემბერი, 2017. http://dictionary.css.ge/content/intelligence
15. ლორთქიფანიძე დიმიტრი, „დიდაქტიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი .1981
16. ლობჟანიძე სოფიო, „თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები“, .8 იანვარი , 2015. http://mastsavlebeli.ge/?p=1795
17. მაღლაკელიძე ნათელა, „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა“ (I–VI კლასები), გამომცემლობა „ მერიდიანი“ , თბილისი. 2013
18. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2014
19. „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო-სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“(სატრენინგო მასალა), მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის პროფესიული განვითარების პროექტი, მოდული2, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016
20. მასწავლებლის ბიბლიოთეკა, „ინტერაქტიული მეთოდების კრებული და ტესტები“, თბილისი. 2013
21. „მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასება“,(სატრენინგო მასალა). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2016
22. ნიჟარაძე ნინო., მაკლეინი ქ., ბოლი ტ., გოგიჩაძე ნ., ლოდია თ., „სასწავლო და პროფესიული გარემო“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2012
23. „პედაგოგიკის საკითხები“, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ასოციაცია „ ზეკარი“, გამომცემლობა „ესტარი“, თბილისი. 2013
24. პაპავა პაატა, ნაცვლიშვილი ნათია, მახარობლიძე ნატო, მახარაძე მაკა, ფიცხელური ქეთი, „კითხვის ეფექტური მეთოდები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2007

25. პაჭკორია თათია, ჭინჭარაული თინათინ, ლაღიძე ანა, ბაგრატიონი მაია, „ინკლუზიური განათლება“ გზამკვლევი მასწავლებელთათვის, ეროვნული სასწავლო განათლებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი. 2011
26. „როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკატო გამოცდებისათვის“, პროფესიული უნარები, თ. ოთხმეზურის რედაქტორობით. გამოცდების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2008
27. „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“,(სატრენინგო მასალა), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (2014). მოძიებულია 20 აპრილი, 2016. www.tpdc.ge.
28. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება (საკითხავი მასალა). მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2017წ. www>tpdc.ge
29. „ სწავლება და შეფასება“, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. 2008 ISBN 978-9941-0-0674-6 ISBN 978-9941-0-0676-0
30. სულაკაური არჩილ, “რატომ არ უნდა ისწავლებოდეს ინგლისური პირველივე კლასიდან” .(ივნისი, 2010). მოძიებულია 20 აპრილი, 2016. http://www.tabula.ge/ge/story/52690-ratom-ar-unda-istsavlebodes-inglisuri-pirvelive-klasidan
31. სიხარულიძე მარიკა, უცხოური ენების სწავლება-ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტები, ჟურნალი“ მასწავლებელი“ №2, 2012
32. ტყემალაძე რუსუდან, დალაქიშვილი ნანა, თოფაძე ქეთევან, პაჭკორია თათია, ბუწაშვილი თამარ, „სწავლება და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2011
33. უშინსკი კონსტანტინე, „რჩეული პედაგოგიურ თხზულებანი“, თბილისი. 1974
34. უცხოური ენების სწავლების ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი.(2014). მოძიებულია 20 მაისი, 2016. http://ncp.ge/ge/utskhouri-enebi/utskhouri-enebis-stsavlebis-organizeba

35. ღლონტი ლიკა, ქიტიაშვილი ანასტასია, ლაბარტყავა ნინო, გვარამაძე ციცო ,,სწავლებისა და შეფასების მეთოდები- პროფესიულ განათლებაში", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი. 2009

36. შავერდაშვილი ეკატერინე, „ტექსტზე მუშაობა და კითხვის სტრატეგიები უცხო ენის გაკვეთილზე", ჟურნალი „მასწავლებელი", N 4, 2013

37. ჯანაშია ნათია, იმედაძე ნათელა, გორგაძე სოფიო, „განვითარებისა და სწავლების თეორიები", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2011

38. ჭყოიძე თეო, „წერის ორი ეფექტური სტრატეგია", ჟურნალი „მასწავლებელი", N 6, 2012

39. А. Андреев, "Педагогика высшей школы" – Москва . 2002 www.twirpx.com/file/60136/

40. Акопян Лев „Текст как средство коммуникации при обучении иностранному языку". (Август, 2009). მოძიებულია 5 მაისი, 2016. http://conference.osu.ru/assets/files/conf_info/conf5/15.pdf

41. Виготский Лев, „Избранные сочинения", т.3, Москва, 1983

42. Дудкина О.И., Буркитова А.А., Шакиров Р.Х., „Формативное оценивание в начальной школе", Практическое пособие для учителя, издательство „Билим". 2012

43. Сорокопуд Юри, „Педагогика Высшей школи", Ростов-на-Дону. 2011 elib.bsu.by/bitstream/123456789/.../1/СГ019.pdf

44. Современные технологии обучения на начальном этапе обучения/изучения иностранного языка http://www.tulunr.ru/budagovo/files/vinok_prez_texnol.pdf

45. Тавдгиридзе Лела, „Необходимость учета возрастных и индивидуальных особенностей в процессе изучения иностранного языка", материалы XVII конференции Школы-семинара имени Л.М. Скрелиной. გვ. 357-361, ISBN 978-5-98421-301-1, Москва. 2015

46. Тавдгиридзе Лела, Шотадзе Кетино," Метод развития письменной речи «пирамидная история» и особенности его употребления", Сборник научных трудов. Современные технологии обучения иностранным языкам, УлГТУ gv 535-540 УДК 681518 (04) ББК 32 96 я 43, Ульяновск .2015

47. Тавдгиридзе Лела, Необходимость учета возрастных и индивидуальных особенностей в процессе изучения иностранного языка, материалы XVII конференции Школы-семинара имени Л.М. Скрелиной. Ст: 357-361, ISBN 978-5-98421-301-1, Москва. 2015
48. Фокин Ю. Г. Преподавание и воспитание в высшей школе, М., 2002 г. www.gumer.info/.../fokin/index.php, www.twirpx.com/file/139440/
49. Black, P., Harrison, C., Lee, C., Marshall, B., & Wiliam, D. Assessment for Learning: Putting it into practice. Berkshire, England: Open University Press. 2003
50. Borisch, G. Effective teaching methods. Pearson. Merrill Prentice Hall. 2007
51. Black P & Wiliam D, Inside the Black Box: Raising Standards through Classroom Assessment London, Kings College. 1988
52. Cant Amanda, Superfine Wendy, "Developing resources for primary",Richmond Publishing.1997
53. Changing homework habits and perceptions.-2015.https://tveigga. wordpress.com/ 2015/03/16/changing-homework-habits-and-perceptions/?blogsub
54. The Centre for Learning and Professional Development at the University of Aberdeen, http://libweb.surrey.ac.uk/library/skills/Leicester%20Study%20skills/page_85.htm
55. Donald, Merlin " Origins of Modern Mind: Three Stages in Evolution of Culture and Cognition. USA, Harvard University Press, 1991.
56. Ene-Silvia Sarv. (March, 2003). „Teachers as developers of competences in classroom". მოძიებულია 19 დეკემბერი, 2017. file:///C:/Users/asus/Downloads/ESCompet-teach-paper-final1-2003.pdf
57. Eberly Center for Teaching Excellence & Educational Innovation, Carnegie Mellon University. 2008 მოძიებულია 18 ნოემბერი, 2017 https://www.cmu.edu/teaching/designteach/design/instructionalstrategies/groupprojects/benefits.html
58. Fromkin Victoria, Rodman Robert, Hyams Nina, "An introduction to language", Thomson Heinle. 2003

59. Fry Heather, Ketteringe Steve, Marshall Stephanie," A Handbook for Teaching and Learning in Higher Education Enhancing academic and Practice", New York . 2009
60. Gil-Garcia, Ana,"The Reflective Journal as a Learning and Professional Development, Tool for Teachers and Administrators". July, 2002. 19 December, 2017. https://files.eric.ed.gov/fulltext/ED480130.pdf
61. Halliwell Susan, Teaching English in the Primary Classroom, London, Longman, 1992.
62. Harmer Jeremy, "How to teach English. An introduction to the practice of English language teaching". Longman – Pearson education, ltd. 2001
63. Harmer Jeremy, "The Practice of English Language Teaching". Longman. – Pearson education, ltd 2007
64. How To Assign Highly Effective Homework Your Students Will Actually Enjoy http://busyteacher.org/5105-assign-effective-homework-students-will-enjoy.htmloy
65. Hocking Liz, Mary Bowen " English world 1 " , teachers book. Macmillan. 2009
66. Hocking Liz, Mary Bowen " English world 2 " , teachers book. Macmillan. 2009
67. Johnson Keith, " An introduction to foreign language learning and teaching», Pearson Education Limited. 2001
68. O'Grady William, "How children learn language", Cambridge University Press.2005
69. Planning the learning process and learning effective strategies.© National Center for Teacher Professional Development. 2015. www.tpdc.ge
70. Smith Alexandra., "Group work benefits pupils, study finds. მოძიებულია 15 მაისი, 2016 http://www.theguardian.com/education/2006/mar/31/schools.uk2
71. Kose Serhan, Teaching English as a foreign language to university students in a more brain compatible classroom, Temmuz 2011, Cilt1 Sayı 2, 5000079368-5000107737-1-PB
72. Kardamis Linda, " WHY YOU SHOULD GIVE WAY LESS HOMEWORK"//teaching. 2014. მოძიებულია 20 ივნისი, 2016. http://venec.ulstu.ru/lib/disk/2016/129.pdf
73. Ken Bain, „What the Best College Teachers Do" Harvard University Press. 2004 მოძიებულია 21 ივნისი, 2016 http://fdc.swjtu.edu.cn/uploadFiles/201409/28/_B_201409281035573540.pdf

74. Larsen-Freeman, “Techniques and Principles in Language Teaching”, Oxford University Press. 1986

75. Lombardi Judy, Practical Ways Brain-based Research Applies to ESL Learners, The Internet TESL Journal, Vol. X, No. 8, August 2004, მოძიებულია 20 იანვარი, 2016 http://iteslj.org/Articles/Lombardi-BrainResearch.html

76. Moultry L. Belcher: The Advantages of Group Work & Teamwork. Hearst Newspapers, LLC. 2015. მოძიებულია 15 გვისტო, 2016 http://smallbusiness.chron.com/advantages-group-work-teamwork-24031.html

77. Nuttall Christine, “Teaching reading skills in a foreign language”, Macmillan Heinemann English Language Teaching. 1996

78. Payne Elaine, Whittaker Lesley, Developing essential study skills”, Pearson Education,2006

79. Scrivener J., “Teaching English Grammar what to teach and how to teach it”. Macmillan books for teachers.

80. Senge Peter, Cambron-McCabe Nelda, Timothy Lucas, Smith Bryan, Dutton Janis, Kleiner Art, “Schools That Learn”, USA, published by Doubleday a division of Doubleday Dell Publishing Group, Inc. 1540 Broadway, New Your, 10036

81. Tomlin Lily, “Homework—To Give or Not to Give”// Teaming Up to Lead Instruction.- 2010.- Volume 52 | Number 12- Pages 1. http://www.ascd.org/ publications/ newsletters/education-update/dec10/vol52/num12/Homework%E2%80%94To-Give-or-Not-to-Give.aspx

82. Rusudan Tsitsishvili, Nino Nizharadze, Maya Darchia, Marina Tevzaia, Eka Tkavashvil. Becoming an English Teacher: Theory and Practice of Teaching English in Georgia (A pre-service teacher training course). 2008

83. Vatterott Cathy. Five Hallmarks of Good Homework// Giving Students Meaningful Work.- - Volume 68 | Number 1- Pages 10-15. 2010. მოძიებულია 22 ივნისი, 2016 HTTP://TEACH4THEHEART.COM/2014/09/29/WHY-YOU-SHOULD-GIVE-WAY-LESS-HOMEWORK

84. Weimer, Maryellen. Five Things Students Can Learn through Group Work. 2013. მოძიებულია 10 აგვისტო, 2016 http://www.facultyfocus.com/articles/teaching-professor-blog/five-things-students-can-learn-through-group-work/

85. Wolfe, Patricia Brain Matters: Translating Research into ClassroomPractice. USA: Association for Supervision and Curriculum Development Publications. 2001 მოძიებულია 14 სექტემბერს, 2016 http://www.ascd.org/publications/educational-leadership/sept10/vol68/num01/Five-Hallmarks-of-Good-Homework.aspx

დანართები:

კითხვარი პირველი კლასის მასწავლებლებისათვის:

თქვენი აზრით ინგლისური ენის სახელმძღვანელო „English world 1“ ხელს უწყობს თუ არა დაწყებით კლასებში უცხო ენის დაუფლებას?	
დიახ	36% მასწავლებელი
არა	16% მასწავლებელი
ნაწილობრივ	48% მასწავლებელი

დაახლოებით რამდენი გაკვეთილი გჭირდებათ აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით თითოეული unit-ის გასავლელად?	
11% მასწავლებელი	2 გაკვეთილი
11% მასწავლებელი	3 გაკვეთილი
17% მასწავლებელი	4 გაკვეთილი
13% მასწავლებელი	5 გაკვეთილი
17% მასაწვლებელი	7 გაკვეთილი
13% მასწავლებელი	8 გაკვეთილი
5% მასწავლებელი	9 გაკვეთილი
13% მასწავლებელი	10 გაკვეთილი

კვირაში რამდენი საათი ეთმობა ინგლისურ ენას სკოლაში? ეს რაოდენობა საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ მოსწავლეებს საკლასო გარემოში შეასწავლოთ ინგლისური ენა?	
5% მასწავლებელი	კვირაში 3 საათი
95% მასწავლებელი	კვირაში 2 საათი

აქვთ თუ არა მოსწავლეთა უმრავლესობას სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიო მასალა სახლში?	
დიახ	14%
არა	67%
ნაწილს აქვს	19%

რამდენად ხშირად იყენებთ აუდიო მასალას კლასში?	
როდესაც ვასწავლი დიალოგებს და ტექსტებს	18% მასწავლებელი
როდესაც ვასწავლი სიმღერებს და ლექსებს	26% მასწავლებელი
როდესაც ვასწავლი ტექსტებს, დიალოგებს, სიმღერებს, ლექსებს	56% მასწავლებელი

რა შემთხვევაში აძლევთ მოსწავლეებს მოსასმენ აქტივობებს საშინაო დავალებად და რამდენად ხშირად?	
14% მასწავლებელი	სისტემატურად
22% მასწავლებელი	იშვიათად
59% მასწავლებელი	არასოდეს

თქვენი აზრით, პირველი კლასის მოსწავლეს რამდენად უნდა ჰქონდეს მინიმალური ცოდნა უცხო ენაში?	
33 მასწავლებელი	არ არის აუცილებელი
67 მასწავლებელი	სასურველი ჰქონდეთ

თქვენი კლასის მაგალითზე პირველ კლასელ მოსწავლეთაგან დაახლოებით რამდენი პროცენტი ფლობს უცხო ენის მინიმალურ კომპეტენციებს?	
14% მასწავლებელი	10- 20 % მოსწავლე
19% მასწავლებელი	30-40 % მოსწავლე
27% მასწავლებელი	50-60 % მოსწავლე
26% მასწავლებელი	70-80 % მოსწავლე
14% მასწავლებელი	90-95 % მოსწავლე

როდის იწყებთ პირველ კლასელებთან დიალოგების წაკითხვას?	
პირველ სემესტრში	14 მასწავლებელი
მეორე სემესტრში	63 მასწავლებელი
სხვა პასუხი	23 მასწავლებელი

. როგორ ვასწავლით სახელმძღვანელოში მოცემულ სიმღერებს?	
12% მასწავლებელი	დაფაზე ჩამოვწერ სიმღერაში მოცემულ უცხო სიტყვებს, ვაძლევ სიმღერის ტექსტს დავალებად და გამოვიკითხავ მომდევნო გაკვეთილზე.
4% მასწავლებელი	წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს სიმღერაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და ტექსტს, შემდეგ კი ვაძლევ მას დავალებად და გამოვიკითხავ მომდევნო გაკვეთილზე.
84% მასწავლებელი	წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს სიმღერაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს და ტექტს, ვასმენინებ და ვამღერებ კლასში, შემდეგ ვაძლევ დავალებად და გამოვიკითხავ მომდევნო გაკვეთილზე.

. როგორ ვასწავლით სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებს?	
6% მასწავლებელი	ა) დაფაზე ჩამოვწერ ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს, ვაძლევ ტექსტს დავალებად და გამოვიკითხავ მომდევნო გაკვეთილზე.
43% მასწავლებელი	ბ) წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მოსწავლეებთან ერთად აღვწერ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიო ჩანაწერს, რის შემდეგაც მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით თვითონ კითხულობენ ტექსტს. მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევს მათ ტექსტს დავალებად.
39% მასწავლებელი	გ) წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მოსწავლეებთან ერთად აღვწერ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ ხმამაღლა ვუკითხავ მოსწავლეებს ტექტს, რის შემდეგაც მოსწავლეები თვითონ კითხულობენ ტექსტს. მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევს მათ ტექსტს დავალებად.
12% მასწავლებელი	დ) აღწერეთ ტექსტთან მუშაობის თქვენეული მეთოდი :

- ვკითხულობ რამდენჯერმე ტექსტს, შემდეგ ამოვუწერ დაფაზე უცხო სიტყვებს და კითხულობენ მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ;
- პირველ კლასში ტექსტებს არ ვასწავლი, სიტყვებს ვასწავლი ბარათებით;
- წინასწარ ვაცნობ მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს, მოსწავლეებთან ერთად აღვწერთ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიო ჩანაწერს, შემდეგაც მოსწავლეებს ხმამაღლა ვაკითხებ ტექსტს და ვათარგმნინებ. მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევს მათ ტექსტს დავალებად;

- პირველ კლასში კითხვა არ არის;
- პირველ კლასში ტექსტთან არ ვმუშაობ;
- პირველ კლასში მხოლოდ ასო - ბგერებს სწავლობენ და ამ ასოების გამოყეენბით სურათებს. მეორე სემსტრში კი ვიწყებთ ასო-ბგერების წერას;
- ვაკითხებ, განვიხილავ სიტყვის წარმოებას, დაფაზე ვწერ ახალ სიტყვებს, ვსვამ ტექსტის ირგვლივ შეკითხვებს, ვაკეთებთ კომენტარებს და შემდეგ ვაძლევ სახლში სასწავლად;
- წინასწარ ვაცნობ ლექსიკურ ერთეულებს, ავღწერთ სურათს, შემდეგ უსმენენ აუდიო ჩანაწერს, შემეგ უსმენენ აუდიო ჩანაწერს წყვეტით, ანუ ერთი წინადადების მოსმენის შემდეგ იმეორებენ, შემდეგ კითხულობენ ტექსტს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, შემდეგ ეძლევათ ტექსტი და ტექსტთან დაკავშირებული დავალებები;
- ვკითხულობ ხმამაღლა ტექსტს, დაფაზე ვწერ უცხო სიტყვებს ტექსტიდან და მოსწავლეებთან ერთად ვმუშაობ დაკავშირებულ მასალაზე;
- დააფზე ჩამოვწერ ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს და თითოეულ ბავშვს ვამეორებინებ;
- დაფაზე ჩამოვწერ ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებს, ვხსნი ტექსტში მოცემულ გრამატიკულ მასალას, ტექსტს ვკითხულობთ ერთად ხმამაღლა, შემდეგ შეძლებისდაგვარად ვუსმენთ აუდიო მასალას, ამის შემდეგ ვაძლევ ტექსტს დავალებად;
- ჯერ შევასწავლი უცხო სიტყვებს და ჩავაწერინებ მათ, შემდეგ მოვასმენინებ მთლიანად. მეორე მოსმენაზე ჩანაწერს ვაჩერებ, ვაკითხებ მოსწავლეს იმ ნაწილს და ვათარგმნინებ. შემდეგ ვაძლევ საშინაო დავალებად;
- წინასწარ მოსწავლეებთან ერთად ავღწერ ტექსტთან დაკავშირებულ სურათს, შემდეგ ხმამაღლა ვეუბნებით სიტყვებს და იმეორებენ ტექსტში მოპოვებულ სიტყვებს. ვუკითხავ ტექსტს, ვთარგმნით, შემდეგ თვითონ მოსწავლეები კითხულობენ . ვსვამ კითხვებს, პასუხობენ. ამის შემდეგ ვაძლევ დავალებას(უფრო მეტ დროს ვუთმობ თამაშით სწავლებას).

. რა მეთოდს იყენებთ დიალოგის გამოკითხვის დროს? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)	
13% მასწავლებელი	ა) მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხვითი ფორმით მაბარებენ დიალოგებს.
39% მასწავლებელი	ბ) მოსწავლეები წყვილებში კითხვითი ფორმით მაბარებენ დიალოგებს.
11% მასწავლებელი	გ) მოსწავლეები ინდივიდუალურად ზეპირი ფორმით მაბარებენ დიალოგებს.
29% მასწავლებელი	დ) მოსწავლეები წყვილებში ზეპირი ფორმით მაბარებენ დიალოგებს.
8% მასწავლებელი	ე) შეგიძლიათ აღწეროთ დიალოგის გამოკითხვის თქვენეული მეთოდი:

- ინდივიდუალურად ვაძლევ დიალოგს კითხვით, შემდეგ თხრობით, შემდეგ ვამუშავებ წყვილებში. მოსწავლეები წყვილებში მაბარებენ;
- არ გამოვრიცხავ ინდივიდუალურ გამოკითხვას;
- მოსწავლეები ჯერ კითხულობენ დიალოგებს წყვილებში (ჟურნალისტური კითხვა), შემდეგ არგებენ დიალოგებს თავის როლებს. ბოლოს წარუდგენენ კლასს;
- წიგნში გამოყენებულ დიალოგებს არ ვიყენებ პირველ კლასში. თუმცა ჩემი პირველი კლასელები ფლობენ ბევრ კითხვას და პასუხს და ძალიან ხშირად თითქმის ყველა გაკვეთილზე ისინი ესაუბრებიან ერთმანეთს წყვუილებში და ჯგუფებში, და აწყობენ ცოცხალ საუბარს, არ არიან შეზღუდულები იმაში თუ რა შეკითხვა დასვან, რა თქმა უნდა ნასწავლი მასალის ფარგლებში.

. რა დრო სჭირდება მოსწავლეებს იმისათვის, რომ დაეუფლონ ინგლისური ანბანის

ყველა ასო-ბგერას და შეძლონ მათი გამოყენება მარტივი წინადადებების კითხვის დროს?	
13% მასწავლებელი	1 თვე
12% მასწავლებელი	2 თვე
48% მასწავლებელი	მთელი პირველი სემესტრი
27% მასწავლებელი	განსხვავებული მოსაზრება

როგორც ვხედავთ განსხავებული მოსაზრება ჰქონდა 27% მასწავლებელს:

- ვფიქრობ ანბანის შესწავლა და კითხვა უნდა დაიწყოს მეორე კლასიდან;
- ანბანზე ვმუსაობთ მთელი მეორე სემესტრი;
- მეორე სემესტრიდან ვიწყებთ ანბანის წერას, თანადთან სწავლობენ მარტივი წინადადებების კითხვას;
- ჩემი აზრით პირველი სემესტრი მოსწალემ უნდა ისწავლოს ზეპირად წიგნში მოცემული სიტყვები, დიალოგები, მეორე სემსტრიდან კი ანბანის წერა კითხვა;
- მთელი პირველი კლასი ;
- მთელი მეორე სემესტრი ვუთმობ ანბანის შესწავლას, რომ მქონდეს ნორმალური სახელმძღავნელო მარტივი სიტყვების წაკითხვასაც ისწავლიდნენ;

. დაწყებით კლასებში უცხო ენის ეფექტურად სწავლებისათვის საჭირო რესურსებიდან რომლის გამოყენებას ვერ ახერხებთ სისტემატურად საკლასო გარემოში? (მონიშნეთ თითოეული მათგანი)	
12 მასწავლებელი	პოსტერები
10 მასწავლებელი	დასურათებულ ბარათები
25 მასწავლებელი	აუდიო ტექნიკა

57 მასწავლებელი	ვიდეო ტექნიკა

. რამდენად ხშირად იყენებთ სამიზნე ენას მოსწავლეებთან ?	
6% მასწავლებელი	მარტივი ინსტრუქციებისათვის
60% მასწავლებელი	ნაწილობრივ იყენებს სამიზნე ენას და ნაწილობრივ მშობლიურ ენას
34% მასწავლებელი	გაკვეთილზე უმეტესად იყენებს სამიზნე ენას, თუმცა ყოველთვის ცდილობს გამოიყენოს მოსწავლეებისათვის მარტივად მისახვედრი ლექსიკური ერთეულები და სხვა არავერბალური სამეტყველო საშუალებები.

. რამდენი მოსწავლე გყავთ თითოეულ კლასში?	
7 მასწავლებელი	15-19 მოსწავლე
8 მასწავლებელი	20-24 მოსწავლე
23 მასწავლებელი	25-29 მოსწავლე
32 მასწავლებელი	30-35 მოსწავლე

. დაწყებით კლასებში , რომელი უნარების განვითარება უჭირთ მოსწავლეებს ყველაზე მეტად?(მონიშნეთ ყველა თქვენს მიერ შერჩეული უნარი)	
36 მასწავლებელი	კითხვა
47 მასწავლებელი	წერა
39 მასწავლებელი	ლაპარაკი
19 მასწავლებელი	მოსმენა

18. ეთანხმებით, რომ თამაშით სწავლება ეფექტურია დაწყებით კლასები?	
78 მასწავლებელი	დიახ
0 მასწავლებელი	არა
22 მასწავლებელი	ნაწილობრივ

19. გავლილი თუ გაქვთ დაწყებით კლასებში უცხო ენის სწავლების ხელშემწყობი სასწავლო კურსი ან საგანმამანათლებლო ტრენინგი?	
71 მასწავლებელი	დიახ
29 მასწავლებელი	არა

მეოთხე კლასის მასწავლებლებისათვის

20. აქვთ თუ არა მე-4 კლასში მოსწავლეთა უმრავლესობას სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიო მასალა სახლში?	
7% მასწავლებელი	დიახ
80% მასწავლებელი	არა
13% მასწავლებელი	ნაწილს აქვს

მეხუთე კლასის მასწავლებლებისათვის

21. აქვთ თუ არა მე-5 კლასში მოსწავლეთა უმრავლესობას სახელმძღვანელოსთვის თანდართული აუდიო მასალა სახლში?	
8 მასწავლებელი	დიახ
78 მასწავლებელი	არა

14 მასწავლებელი	ნაწილს აქვს

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. მოგწონთ თუ არა ჯგუფური მუშაობა გაკვეთილზე
ა) დიახ - 90 %
ბ) არა - 10 %

2. რამდენად ხშირად იყენებს უცხო ენის მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის საკაგვეთილო მოდელს?
ა) თვეში ერთხელ - 18 %
ბ) კვირაში ერთხელ - 7 %
გ)კვირაში ორჯერ - 5
დ) არასოდეს -70%

გთხოვთ ჩამოთვალეთ ჯგუფური მუშაობის დადებითი მხარეები:

- ჯგუფური პრეზენტაციები გულისხმობს ერთმანეთის კონკურენციას. მოსწავლეებს სურთ იყონ გამარჯვებულნი. მასწავლებელი აწესებს ჯილდოს საუკეთესო თხზულებისთვის, ყველაზე საინტერესო იდეისთვის. კონკურენციის ელემენტები გვაძლევს მოტივაციას - ვიყოთ წარმატებული;
- ჯგუფებს შორის ხორციელდება კონკურენცია, რის გამოც საკუთარი ჯგუფის ინტერესების წარმოჩენა გვასწავლის ჯგუფის წევრებს შორის თანამშრომლობას;
- ეს ძალიან ეფექტურია მორცხვი მოსწავლეებისათვის, რომლებსაც არ აქვთ პრობლემის მოგვარების გამოცდილება სხვებთან თანამშრომლობის გზით;
- მოსწავლეები ჯგუფში მუშაობის დროს მარტივად წყვეტენ ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ, რადგან ჯგუფის წევრები ეხმარებიან ერთმანეთს;

- ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ბევრ საინტერესო იდეას, რომლებიც ხელს უწყობს გარკვეული საგნის შესახებ ცოდნის გაღრმავებას, წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარის განვითარებას;
- ის ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, ვინაიდან მთელი ჯგუფის წარმატება, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია თითოეული ჯგუფის წევრის უნარებსა და მიღწევებზე;
- სხვებთან ერთად მუშაობა სასიამოვნოა, განსაკუთრებით, როდესაც ვმუშაობთ რთულ დავალებებზე;
- ჯგუფის წევრები ვეხმარებით ერთმანეთს და თვითშეფასება მაღლდება, შენ უფრო დაცული ხარ, რადგან არ ხარ მარტო;
- ეს უფრო სახალისო, საინტერესო და მოტივაციის მომცემია;
- სხვებთან მუშაობა ბევრად უფრო მოსახერხებელია;
- ჯგუფური მუშაობა გაძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა აქტივობასა და შეჯიბრში;
- გეძლევა შესაძლებლობა ურთიერთობა გქონდეს ჯგუფის სხვა წევრებთან;
- მუშაობ მეგობრებთან ერთად და იძენ გამოცდილებას.

გთხოვთ ჩამოთვალეთ ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეები:

- ზოგჯერ ჯგუფური მუშაობა მიდის კონფლიქტამდე და ის ხდება ძალიან ხმაურიანი; ზოგიერთი ჯგუფის წევრი არ იზიარებს შენს აზრებს, ამიტომაც ხდება შენი იდეების იგნორირება; ჯგუფური მუშაობა ხმაურის გამომწვევია, ვინაიდან ამ დროს ყველა ერთად ლაპარაკობს;
- მარტო მუშაობის დროს ეჩვევი პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას სხვების დახმარების გარეშე, ეს გაძლევს შესაძლებლობას იყო დამოუკიდებელი;
- არავინ გაწყვეტინებს, არავინ გიშლის ხელს, არავინ გაკარგვინებს დროს;
- შენ არ ექცევი სხვების იდეებისა და შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ;
- დროის მართვა მიადვილდება, როდესაც ვმუშაობ მარტო;
- გარკვეულ ამოცანაზე კონცენტრირება უფრო მარტივია, როდესაც ვმუშაობ მარტო;

- არ გაქვს კონფლიქტი სხვა მოსწავლეებთან;
- ბევრი მოსწავლისათვის ჯგუფური მუშაობა სულაც არ არის საგანმანათლებლო პროცესი - ეს მათთვის თამაშია, რომელიც აძლევს შესაძლებლობას დრო გაიყვანონ გაკვეთილზე.